ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 24 ივლისი, 2013 | №173 (6174) | ფასი: 30 თეთრი

24 ივლისიდან!
„ახალი თაობა“
+
დარვინი
8 ლარი



საზარელი მკვლელობა ბათუმში

16 წლის მარიამ კოჩალიძე გაძარცვის მიზნით მოკლეს გვ.4

ნინო ბურჯანაძე: „ბოკერიამ სასულიერო პირებს პროვოკაცია მოუწყო“ გვ.3

„გაოცებული ვარ იმით, რომ პირველი ოქტომბრის არჩევნებიდან ათი თვის თავზე კვლავ კუბლაშვილის სასამართლოში ვართ და ვართ იმის მომსწრენი, რომ ბოკერიასა და ნაცმოძრაობის პროვოკაციის შედეგად ეკლესიის მსახურებს ასამართლებენ. ნაცმოძრაობა და მათი წარმომადგენლები ხალხს ფიზიკურად უსწორდებოდნენ, ციხეებში აუპატიურებდნენ. ამ სისტემის შემქმნელები გარეთ თავისუფლად დადიან და ვიდრე ეს ასე იქნება, ყოველთვის იქნება უსამართლობის განცდა. სოლიდარობას ვუცხადებ სასულიერო პირებს, რომლებმაც 17 მაისს, შესაძლოა, ზედმეტი ემოცია გამოხატეს, მაგრამ მათი მხრიდან იმის მეასედიც არ ყოფილა, რაც 26 მაისს ხალხის წინააღმდეგ მოხდა“.



შალვა ხაჭაპურიძე: „ნაციონალებს აქვთ ბერკეტები, რომ ქვეყანას პრობლემები შეუქმნან“ გვ.2

გიგი წერეთელი: „ზუგდიდის დარბევა „ქართული ოცნების“ ორგანიზებული იყო“ გვ.5

რა შედეგით დასრულდება ილია II-ისა და ვლადიმერ პუტინის შეხვედრა გვ.5

სოფიო ხორგუანი: „დავით ბაქრაძე ცდილობს, ნაცმოძრაობის დანაშაულებრივ ქმედებებს გაემიჯნოს“ გვ.4

თემურ მურვანიძე: „სამართლიანი არჩევნების ჩატარება კითხვის ნიშნის ქვეშ დგას“ გვ.6

გედევან ფოფხაძემ შესაძლოა სადეპუტატო უფლებამოსილება მოიხსნას

საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი, ბორჯომის მაჟორიტარი დეპუტატი გედევად ფოფხაძე სადეპუტატო უფლებამოსილების მოხსნას აპირებს. როგორც მან იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე განაცხადა, ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ სახელმწიფო იპოთეკით დატვირთულ ქონებებთან და მასთან დაკავშირებულ აღსრულებით ღონისძიებებზე 6 თვის განმავლობაში ქმედით ღონისძიებებს ვერ შეიმუშავებს და ამ მხრივ არსებულ პრობლემას ვერ გადაჭრის. მისი თქმით, ამ შემთხვევაში 6 თვეში ბორჯომში ხელახალი მაჟორიტარული არჩევნები იქნება ჩასატარებელი.

მედიანიუსი

25 ივლისიდან!
„ახალი თაობა“
+
„მგლის ბილიკი“
6 ლარი

ISSN 1987-9385

3 სკანდალი ბაჩო ახალაიას სასამართლო პროცესზე

7 დავით ნემსაძე: „თავდაცვის სამინისტროში ისევ რჩებიან „მასტერას“ კადრები“

2 მიხეილ სააკაშვილი: „შეძრწუნებული ვარ 16 წლის მოზარდის მკვლელობით. საქმე სასწრაფოდ გამოსაძიებელია“

7 მიკროავტობუსები გაფიცვას აპირებენ?

შალვა ხაჭაპურიძე: „ნაციონალებს აქვთ ბერკეტები, რომ ქვეყანას პრობლემები შეუქმნან“

მონოპოლიები ისევ ადეიშვილის, კეზერაშვილისა და მისნაირი ტიპების ხელშია

ნონა ცაბაძე

ინტერვიუ ადვოკატ შალვა ხაჭაპურიძესთან

— ბატონო შალვა, რატომ დუმს ამერიკის საელჩო და რატომ არ აკეთებს კომენტარს სააკაშვილის ასეთ სკანდალურ განცხადებაზე? თქვენი აზრით, რამდენად შეეფერება მისი ნათქვამი სიმართლეს?

— სააკაშვილის ტრიუკები და მისი გამონათქვამები რომ ბევრ პოლიტიკურ ავანტიურას შეიცავს, ეს ჩვენთვის ახალი არ არის, ძველია და კარგად ვიცით ეგ ამბავი. პირადად მე მჯერა, რომ ეს ავანტიურასთან იყო დაკავშირებული, მაგრამ ეს გარკვეულ კითხვებს აჩენს. იმედია, ამერიკის საელჩო ამას გამოეხმაურება, რადგან წარმოუდგენელია თუ ამას პირდაპირ ეთერში უყურებდნენ ეფბიაის წარმომადგენლები და დასკვნა დაიდო, გამოდის, რომ ხალხის დარბევა წინასწარ იყო შეთანხმებული. ეს წარმოუდგენელი რამ არის, მათ წინასწარ იცოდნენ, რომ ასე დაირბეოდა ეს აქცია? სხვათა შორის, მინდა ერთი საინტერესო დეტალი გავიხსენო ჩემი პოლიტიკური ბიოგრაფიიდან. როდესაც მე ჰაიგაში სარჩელი გავაგზავნე, გახსოვთ, მერე უშიშროების საბჭოს წევრ ხუთივე სახელმწიფოს მივმართე, რომ დაჩქარებულიყო ეგ საქმე და მაშინ მომიწია მე ამერიკის საელჩოში ელჩის მოადგილესთან შეხვედრა. როდესაც ეს დოკუმენტი წინ დავუდე, აღმოჩნდა, რომ ის ამ დოკუმენტს ჩემ გარეშეც მშვენივრად იცნობდა. როდესაც მან წაიკითხა ეს დოკუმენტი, სადაც საუბარი იყო იმაზე, რომ სააკაშვილი გენოციდს უწყობს საკუთარ მოსახლეობას, იქ საუბარი იყო 7 ნოემბერზე, ყვანიას მკვლელობაზე და ასე შემდეგ, წაკითხვის შემდეგ უკმაყოფილება გამოეხატა სახეზე და ასეთივე უკმაყოფილო ტონით მკითხა — ეს რა არის, რა წერია აქ, დარწმუნებული ხართ რასაც წერთო?! ფაქტიურად უკმაყოფილო დარჩა ეს ადამიანი იმითი, რაც მე იქ მეწერა. რაც ამ დოკუმენტში წერია, ეს მთელმა საქართველომ იცის და ყველაფერი ფაქტობრივად არის დადასტურებული, ის, რაც მთელი 9 წლის განმავლობაში ყოფილმა ხელისუფლებამ საქართველოს მოსახლეობას დამართა. თუმცა ამერიკის საელჩოში ეს არ მოეწონათ. აქედან გამომდინარე, მე გარკვეული ეჭვიც კი გამიჩნდა, რომ შეიძლება ვიღაცა ტვინგახურებული მართლაც იჯდა იქ, ამათ მიერ დალობირებული პიროვნება, მაგრამ თუ ასეთ სერიოზულ სამსახურს ამათ მიერ დალობირებული თანამშრომლები ჰყავთ ასეთ სტრუქტურაში, მაშინ ეს ყველაფერი უნდა გაირკვეს.

— როგორ აპირებთ ამის გარკვევას?

— თუ ამერიკის საელჩო დროულად ამ ყველაფერზე რეაგირებას არ მოახდენს, მაშინ მე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტსაც მივმართავ და გავუგზავნი 26 მაისის კადრებს და პლუს სააკაშვილის განცხადებას და ამერიკის პრეზიდენტმა მიიღოს სათანადო ზომები. ამ საკითხთან დაკავშირებით გენერალურ პროკურატურასაც, რომელიც 26 მაისის მოვლენებს იძიებს, მივმართავ, რომ დაიკითხოს მოწმის სახით ამერიკის შეერთებული შტატების მაშინდელი ელჩი. არც იმას გამოვრიცხავ, რომ მივმართო საზღვრის დაცვის დეპარტამენტსაც, თუ ვინ შემოვიდა იმ პერიოდში ამერიკის შეერთებული შტატებიდან, კონკრეტულად ამერიკის საელჩოში და მოვითხოვო ამ ადამიანების გვარები და სახელები და გადავამოწმო, ვინ არის ეს ხალხი და რა სამსახურებში მუშაობენ. რადგან ეს არის საკმაოდ მნიშვნელოვანი თემა. თუ ყველაფერი ასე მოხდა, როგორც სააკაშვილი ამბობს, მინდა გითხრათ, საქართველოს მოსახლეობის განწყობა რადიკალურად შეიცვლება ჩვენს პარტნიორ სახელმწიფოსადმი, რაც, რა თქმა უნდა, მიუღებელია ჩვენთვის და დაუშვებელია, მაგრამ არ გამოვრიცხავ, რომ რომელიმე სტრუქტურაში იჯდეს რომელიმე კორუმპირებული ან ლობისტურად დამოკიდებული პიროვნება. თუმცა ასეთ სტრუქტურებში არ უნდა იყვნენ ასეთი ადამიანები. მე ველოდები ყოველ წუთს, იქნებ რაიმე გამოხმაურება იყოს ამერიკის საელჩოს მხრიდან. სამწუხაროდ, ჯერჯერობით არაფერი არ არის.

— თქვენი აზრით, რაში დასჭირდა სააკაშვილს ამ განცხადების გაკეთება?

— სააკაშვილი ვაჭრობს, ოღონდ ძალიან ცუდ თემას შეეხო მინდა გითხრათ. მისთვის ქვეყნის ინტერესები რომ არაფერს წარმოადგენს, ეს გასაგებია. ამ ადამიანისთვის საერთოდ ეს გრძნობა, სამშობლო და ქვეყანა, მიუღებელია. ის ყველანაირად ცდილობს, რომ რამენაირად შეინარჩუნოს თავისი ქონება და ხელშეუხებლობის გარანტიები მიიღოს. როგორც ჩანს, შეერთებული შტატები, რაც შევარდნაძეს გაუკეთეს და მისცეს ხელშეუხებლობის გარანტია, იგივე ხელშეუხებლობის გარანტიას სააკაშვილს ვერ აძლევს. მე ზუსტად ვიცი ბიძინა ივანიშვილის დამოკიდებულება, ის ზუსტად ასახავს ქართველი ხალხის დამოკიდებულებას სააკაშვილისადმი და, როგორც ჩანს, ამერიკამ გადაწყვიტა, ამ მოვლენებში არ ჩაერიოს და ხელი არ შეუშალოს. ეს იცის კარგად სააკაშვილმა და გამწარებულმა, მიიღო ეს გადაწყვეტილება, რომ დაიწყოს ამითი ვაჭრობა ამერიკასთან. გახსოვთ თქვენ, მას ასეთი მეთოდები არაერთხელ გამოუყენებია, მაგალითად, ირანთან დაკავშირებით, როდესაც ირანთან სავიზო რეჟიმი მოხსნა, გაამარტივა ყველაფერი, მაშინ, როცა მთელმა მსოფლიომ მკაცრი სანქციები დააწესა ირანთან დაკავშირებით. მაშინ კარგად ივაჭრა სააკაშვილმა. აგვისტოს ომთან დაკავშირებითაც გახსოვთ, რომ საკმაოდ სერიოზულად ივაჭრა და ეს მისი კარგად აპრობირებული მეთოდია. ამას იყენებდა თავის დროზე შევარდნაძეც და მასწავლებელი კარგი ჰყავს. მე მეეჭვება, რომ ეს სიმართლე იყოს, რადგან სპეცსამსახურის წარმომადგენლები არ არიან ასეთი გულუბრყვილოები, რომ დამჯდარიყვნენ იქ და მტკიცებულება შეექმნათ სააკაშვილისთვის. ამ თემასთან დაკავშირებით ვანო მერაბიშვილიც გამოსაკითხი იქნება, იმიტომ, რომ კითხვები გაჩნდა და ამ კითხვებს პასუხი უნდა გაეცეს. მე არ მგონია, რომ მარტო საელჩოს განცხადებით შემოიფარგლოს ამ კითხვებზე პასუხის გაცემა. იცით თქვენ, ფაქტობრივად რა მდგომარეობაც არის ქვეყანაში, ამ დროისთვის ნაციონალური მოძრაობა დამთავრებულია, თუმცა ისინი თავს დამთავრებულად არ თვლიან და მათ საკმაოდ სერიოზული ბერკეტები გააჩნიათ იმისთვის, რომ ქვეყნის უსაფრთხოებას შეუქმნან საკმაოდ სერიოზული პრობლემები.

— რა ბერკეტებს გულისხმობთ?

— დავიწყოთ ტელევიზიებით, ვიცით, რომ გარკვეული ტელევიზიები მათ ხელშია, ისინი არ არიან ის ტელევიზიები, რომლებიც ტიპიურ სატელევიზიო ფორმატში მუშაობენ. ფაქტობრივად ეს ტელევიზიები ნაციონალური მოძრაობის პროპაგანდას ახორციელებენ. რასაც გებელსი ავალებდა თავის საინფორმაციო საშუალებებს, იგივე ფუნქცია აქვთ მათაც. პირდაპირ პროპაგანდისტული დავალება. ფაქტიურად ნაციონალებს დღეს გააჩნიათ სამინისტრო, რომელიც ეწევა პროპაგანდისტულ საქმიანობას. მეორე ბერკეტი, რაც მათ გააჩნიათ ხელში და საკმაოდ სერიოზულად ებღაუჭებიან, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებია. ასევე სახელმწიფო სტრუქტურებში მათ ჰყავთ ისეთი ადამიანები, რომლებიც აშკარად მათი მომხრეები არიან და ეს ხალხი, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს,

განსაკუთრებით შენარჩუნებულები არიან ძალოვან სტრუქტურებში. ამისათვის უამრავი მაგალითი არსებობს და არ არის გამორიცხული, რომ დასჭირდეს მიხეილ სააკაშვილს, ვიხილოთ ეს ადამიანები იარაღით ხელში. გარდა ამისა, საარჩევნო ადმინისტრაცია აბსოლუტურად შეუცვლელია, დაწყებული ცენტრალური საარჩევნო კომისიიდან, დამთავრებული საუბნო კომისიის წევრამდე, ისევ ნაციონალების ხელში არიან. ამ ყველაფერს დავამატოთ ის ფინანსური რესურსი, რომელიც კვლავ მათ ხელშია და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სასამართლოები კვლავაც ნაციონალების ხელში რჩება, თავისი იუსტიციის საბჭოთი. ღვთის წყალობით, ახლა გამოჩდნენ როგორც პირველ, ისე მეორე და მესამე ისტანციის სასამართლოებში მოსამართლეები, რომლებიც აღარ ემორჩილებიან მათ და იღებენ ობიექტურ გადაწყვეტილებას, მაგრამ ფაქტობრივად თავმჯდომარეები, რომლებსაც აქვთ გავლენა თავის მოსამართლეებზე, ისევ მათ ხელში არიან მოქცეულები. ვნახეთ გუშინ, რომ ახალაიას თანამონაწილეს აღმკვეთი ღონისძიება შეუცვალეს. მე პირდაპირ გამაჩნია ინფორმაცია, ახალაიას და უგულავას საქმეს ვინც იხილავს, ახლა ასევე ემზადებიან გვარამიას საქმესთან დაკავშირებითაც, პირდაპირ აქვთ დავალება მიცემული ნაციონალური მოძრაობის ხელმძღვანელობიდან, რომ მათზე დადგეს გამამართლებელი განაჩენი.

— ეს ინფორმაცია საიდან გაქვთ?

— მე ამას მკითხაობით კი არ ვაცხადებ, გამაჩნია კონკრეტული ინფორმაციები. ეს ყველაფერი ხდება, როგორც სინდრომი. სასამართლოებს დავალება აქვთ პირდაპირ მიცემული, რომ რაც შეიძლება მეტი კრიმინალი გამოუშვით, რაც შეიძლება ისეთი გადაწყვეტილებები გამოიტანეთ, რაც საზოგადოებაში გამოიწვევს სერიოზულ უკმაყოფილებას. თქვენ წარმოიდგინეთ, ახლა ახალაიას გათავისუფლება რა რეაქციებს გამოიწვევს საქართველოში! რაც მეტი დაპირისპირების კერა გაჩნდება, ეს აწყობს ნაციონალურ მოძრაობას, ვინაიდან ისინი თვლიან, რომ არსად არ წასულან და ემზადებიან რევანშისთვის. რაც შეეხება მონოპოლიებთან დაკავშირებულ საქმეებს, ხვალ არის უმნიშვნელოვანესი სასამართლო პროცესი. იცით თქვენ, ახალმა ხელისუფლებამ, მონოპოლიების დასანგრევად მიიღო კანონი თავისუფალი ვაჭრობისა და საქმიანობის შესახებ, ევროკავშირის და ევროსაბჭოს წარმომადგენლების მეშვეობით იქნა ეს კანონი მიღებული და მონოპოლიების დანგრევისაკენ არის მიმართული. ეს თემა იმიტომ არის დღეს ასე მნიშვნელოვანი, რომ ბიზნესი და ეკონომიკა განვითარდეს ჩვენს ქვეყანაში და რაც მთავარია, დღეს მონოპოლიები ადეიშვილის, კეზერაშვილის და მისნაირი ტიპების ხელშია. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ძალიან საინტერესო მოვლენასთან გვაქვს საქმე, კეზერაშვილის ფირმას ფოთის საზღვაო ნავსადგურთან დადებული აქვს ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც არგოტრანს ლიმიტების გარდა, ოცი წლის განმავლობაში სხვა ვერავინ ტვირთს ვერ შემოიტანს. მე და თქვენ რომ მოგვინდეს ხვალ ფოთის საზღვაო ნავსადგურიდან საქართველოში რაიმე ტვირთის შემოტანა, უნდა წავიდეთ და კეზერაშვილს ვკითხოთ, შეგვიძლია თუ არა. სწორედ ამ საქმეს იხილავენ ხვალ სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეები — წიკლაური, იოსელიანი და ხარჩილავა და ამ ადამიანებზე აშკარა ზეწოლას ახორციელებს სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე ცერცვაძე, რომელიც თავის მხრივ დაკავშირებულია ადეიშვილ-კეზერაშვილთან. თუ ეს საქმე დადებითად გადაწყდა და ეს მონოპოლია დაინგრა, ეს ხდება პრეცედენტი მთლიანად საქართველოს მასშტაბით და, შესაბამისად, ჩათვალეთ, რომ ამ პრეცედენტით ბიზნეს გარემო არის გათავისუფლებული მთლიანად საქართველოში და ერთხელ და სამუდამოდ წერტილი ესმება მონოპოლიებს. საერთო ჯამში, რომ შევხედოთ, ვითომ პოლიტიკური სივრციდან გატანილი ნაციონალური მოძრაობა არსადაც არ წასულა. ამ ბერკეტების მეშვეობით ისინი ყველანაირად ცდილობენ, რომ რამენაირად მოახდინონ ისეთი პროვოცირება და საბოლოო ჯამში, ქვეყანა დაასუსტონ. ანუ იგივე მოდელი აამუშაონ, რაც თავის დროზე შევარდნაძის დროს აამუშავეს -დასუსტდეს ხელისუფლება და ხელისუფლების დასუსტების შემდეგ თქვან, რომ ეს რეჟიმი იყო, დიქტატურა იყო და რაღაც განახლებული სახით მოგვეელინონ. თქვა კიდეც სააკაშვილმა, მე არსად წასვლას არ ვაპირებ პოლიტიკიდანო. ამიტომ ეს საფრთხეები რეალურად არსებობს.

— ბატონო შალვა, მერე ამ ფონზე, როდესაც თქვენ ასეთ საფრთხეზე საუბრობთ, რამდენად გამართლებულია ნაციონალებთან ასეთი მოფერება, კოალიციურ ტრფობაში შესვლა და ასე შემდეგ. საზოგადოება ამ ყველაფრით საკმაოდ გაღიზიანებულია. ასევე ითქვა, რომ წინასაარჩევნოდ სამართლიანობის აღდგენის პროცესი შეჩერდებაო. რას მოგვიტანს ეს ყველაფერი?

— მე ამას ვუწოდებდი, სამართალში არსებობს ეგეთი თეორია, გერმანელების მიერ შედგენილი — ოქროს ხიდის თეორია. ალბათ ამ სამართლის ტერმინს გამოვიყენებდი პოლიტიკაში. ანუ ოქროს ხიდის მომენტი გვაქვს და რას ნიშნავს ეს ოქროს ხიდის თეორია? ჩვენ, რა თქმა უნდა, არ უნდა დავიწყოთ ანგარიშსწორება და ქვებით და რაღაც უბედურებებით არ უნდა გამოვხატოთ ეს პროტესტი. ამ შემთხვევაში კანონმა და სამართლიანობამ უნდა დაიკავოს თავისი სამართლებრივი მახვილი და დროულად აღდგეს სამართლიანობა ქვეყანაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვშიშობ, ეს არ გადაიზარდოს საზოგადოების გაბრაზებაში, თორემ მერე, მტრის და ავისას, 17 მაისი მონაგონი იქნება, აქ ისეთი ამბავი დატრიალდება. ამიტომ სასწრაფოდ, დაჩქარებული ტემპით, თან ისე, რომ დავიცვათ ოქროს ხიდის თეორია, გავიაროთ ბეწვის ხიდზე, არ დაირღვეს სამართლიანობა და ყველაფერი მოხდეს კანონიერების ფარგლებში. ამერიკის სასამართლოში რომ შედიხართ, იქ არის გამოკრული ასეთი ტერმინი — დაგვიანებული სამართალი უკვე უსამართლობაა. რამენაირად ჩვენ უნდა გავითავისოთ ეს და დროულად მოხდეს სამართლიანობის აღდგენა. ხალხი გამოხატავს საკმაოდ სერიოზულ უკმაყოფილებას. გასაკეთებელი ძალიან ბევრია, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება ცუდ პროცესებთან მოგვიწიოს ჩვენ შეხება, მით უმეტეს, როდესაც ნაციონალური მოძრაობა ძალიან სერიოზულ ბერკეტებს ფლობს ჯერ კიდევ. მე აბსოლუტურად ვემხრობი ბიძინა ივანიშვილის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ ზომიერება უნდა იქნეს დაცული, თუმცა ამ ზომიერებაში, ვფიქრობ, რომ ტემპი უკვე ასაჩქარებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ძალა ყოველთვის ეცდება ანგარიშსწორებას. ისინი ახალ ტაქტიკაზე გადავიდნენ, ოფიციალურად აცხადებენ, რომ, კი ბატონო, დავმარცხდით, შიგადაშიგ ბოდიშსაც იხდიან, ამბობენ, რომ შეცდომები მოგვივიდა, ანუ ყურადღების მოდუნების მომენტი აქვთ გამოყენებული, სინამდვილეში კი იატაკქვეშეთში სერიოზულად მუშაობენ. არსად წასვლას ეს ხალხი არ აპირებს. ამ ყველაფერს კი ხალხი არ აპატიებს ნაციონალურ მოძრაობას და მეშინია, რომ ეს არ გადავიდეს თვალი თვალისა წილ! რაც ყოველად მიუღებელი და დაუშვებელია.! ასეთი მიდგომები არ გამოგვადგება, ახლა არჩევნებიაო, მერე კიდევ რაღაც სხვა გამოჩნდება, და ამ რაღაც—რაღაცეებში სამართლიანობის აღდგენა დავივიწყოთ? ნათქვამია, ნაბან წყალს ბავშვი არ უნდა გადავაყოლოთო. ამ პერიოდში ნაციონალები სულს ითქვამენ და ნოკაუტიდან გამოდიან. სააკაშვილი უკვე ძალაზეა მოსული და აქეთ შეტევაზე გადმოდის. ეს ყოვლად დაუშვებელია. ახლა არჩევნების გამო სამართლიანობა შეჩერდესო, პირდაპირ გეუბნებით, ამის უფლება არავის არა აქვს. არსებობს კოდექსი, არსებობს კანონმდებლობა და უნდა ვიმოქმედოთ ამითი. თუ კანონებს უარვყოფთ, მაშინ ხალხი დაიწყებს ჩვენს უარყოფას. ვიმეორებ, ტემპები უნდა დაჩქარდეს.

მიხეილ სააკაშვილი: „შეძრწუნებული ვარ 16 წლის მოზარდის მკვლელობით. საქმე სასწრაფოდ გამოსაძიებელია“

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, ბათუმში, 16 წლის გოგონას მკვლელობის საკითხს ეხმიანება და აცხადებს, რომ ეს კონკრეტული ტრაგედია სასწრაფო გამოძიებას საჭიროებს.

„შეძრწუნებული ვარ 16 წლის მარიამ კოჩალიძის მკვლელობით. სიცოცხლით სავსე ფრიადოსან გოგოს სიცოცხლე სასტიკად მოუსწრაფეს. საღამოს ველოსიპედით გასული და შინ არ დაბრუნებული გოგონა ბათუმის ახალ ბულვარზე იპოვეს. ქალიშვილი რომ მყოლოდა, ალბათ, ისეთივე იქნებოდა, როგორიც მარიამი. მე, როგორც მამას, არ მსურს, რომ ჩვენი ქვეყანა გადაიქცეს ადგილად, სადაც შვილების გარეთ გაშვების შეგვეშინდება.

ეს კონკრეტული ტრაგედია სასწრაფოდ გამოსაძიებელია, მაგრამ მინდა პოლიციამ ყურადღება მიაქციოს იმას, რაზეც ბევრი ბათუმელი და ქუთაისელი მესაუბრა — ამ ბოლო ხანს ამ ქალაქებში ისევ დაიწყო ხმაურიანი ქუჩის გარჩევები და ბევრად გათამამდნენ კრიმინალები. ეს, რა თქმა უნდა, აუარესებს უსაფრთხოების საერთო სიტუაციას. ამას ისიც მალაპარაკებს, რომ ამას წინათ თბილისში, საბურთალოზე, ჩემს გვერდზე სადარბაზოში მცხოვრები უწესიერესი 21 წლის ახალგაზრდა ვიღაც ნაძირალამ სიცოცხლეს გამოასალმა. სასწრაფოდ ზომებია მისაღები, რათა ჩვენს შვილებს საფრთხე მომავალში მაინც აღარ დაემუქროს“ — ნათქვამია პრეზიდენტის განცხადებაში, რომელიც მიხეილ სააკაშვილის ვებ-გვერდზე განთავსდა.

ნიუსპრესი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი — სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი — ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე — შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური — კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური — 2-94-02-55
გავრცელების სამსახური — მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი — ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება — ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ნინო ბურჯანაძე: „ბოკერიამ სასულიერო პირებს პროვოკაცია მოუწყო“

ნათია ხურცილავა

17 მაისის ინციდენტში ბრალდებული ორი სასულიერო პირისა და მათთან ერთად ბრალდებული სამი სამოქალაქო პირის პროცესი გუშინ განახლდა. თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე სასამართლო პროცესი 1 აგვისტოსთვის გადაიდო.

წინასასამართლო სხდომაზე განიხილავდნენ შუამდგომლობებს მტკიცებულებების დაშვების შესახებ.

სასამართლო პროცესის გადადების მიზეზი, როგორც გაირკვა, უკვე ჩანიშნული პროცესები გახდა. მოსამართლესაც და ადვოკატებსაც სხვადასხვა სასამართლო პროცესი ჰქონდათ ჩანიშნული და ვერ ესწრებოდა შუამდგომლობების განხილვა, შესაბამისად, მოსამართლემ მიიღო გადაწყვეტილება სასამართლო სხდომის 1 აგვისტოს გაგრძელების შესახებ.

მოსამართლემ ჯერ განაცხადა, რომ სასამართლო სხდომა გაგრძელებულიყო 30 ივლისს, თუმცა სასულიერო პირებმა განაცხადეს, რომ ამ დღეს საეკლესიო დღესასწაულია და ყველანი ეკლესიებში უნდა იყვნენ. ამის შემდეგ მოსამართლემ სასამართლო 1 აგვისტოს დანიშნა.

თამაზ ბიჩინაშვილს (მამა ანთიმოზი), ირაკლი ბასილაიას (მამა იოთამი), ტიტან დავრიშიანს, ბექა სალუქვაძესა და გიორგი ბასიაშვილის ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 161-ე მუხლით აქვთ წაყენებული, რაც გულისხმობს შეკრების ან მანიფესტაციის მოწყობის ანდა მასში მონაწილეობის უფლების განხორციელებისათვის უკანონოდ ხელის შეშლას – ძალადობით, ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. ეს მუხლი ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

სასამართლო პროცესს ყველა ბრალდებული ესწრებოდა.

საქმეს მოსამართლე მერაბ ჯორბენაძე განიხილავს, პროკურორი – გოჩა ქორაია.

რაც შეეხება ბრალდებულებს – თამაზ ბიჩინაშვილი, ირაკლი ბასილაია, ბექა სალუქვაძე, გიორგი ბასიაშვილი, ტიტან დავრიშიანი (რომელიც ამჟამად მსჯავრდებულია სხვა საქმეზე) – არც ერთი მათგანი წარდგენილ ბრალდებაში თავს დამნაშავედ არ ცნობს.

პროცესი თბილისის საქალაქო სასამართლოს დიდ დარბაზში გაიმართა, სადაც 150 ადამიანი ეტევა. მსურველი უფრო მეტი იყო. სასამართლო პროცესს სასულიერო პირები, მათი მრევლი, ასევე პოლიტიკოსები – კახა კუკავა და ჯონდი ბაღათურია ესწრებიან. სასამართლოს დაწყებამდე საქალაქო სასამართლოში იყვნენ პრეზიდენტობის კანდიდატი ნინო ბურჯანაძე და მისი გუნდის წევრები. თუმცა, ბურჯანაძე პროცესს არ დასწრებია, რათა პრეზიდენტობის კანდიდატის მხრიდან ეს არ აღქმულიყო სასამართლოზე ზეწოლად.

სასამართლო პროცესის გადადების შემდეგ მამა ანთიმოზმა პრესასთან კომენტარი გააკეთა:

– ცოტა იუმორით შევხედოთ. თავისუფლების მოედანზე, არის ძეგლი „წმინდა გიორგი და ურჩხული“. წმინდა გიორგისა და ურჩხულის ძეგლია. მალე უცხოელი უფლებადამცველები, რომლებიც ჩვენს უფლებადამცველებს აფინანსებენ, იტყვიან, რომ წმინდა გიორგი აგრესიული და მოძალადეა და დავიცვათ ურჩხულის უფლებებიო. ეს ხუმრობით, რა თქმა უნდა. მე დავსვი შეკითხვა, დაირღვა თუ არა ჩემი უფლებები, თუმცა არც საიას, არც მაიას, არც თინიკოს, არც ნატოს ხმა არ ამოუღიათ. მეორე შეკითხვას დავსვამ – სიმბოლურად რას ნიშნავს ურჩხული თავისუფლების მოედანზე? ამ კითხვას ყველას ვუსვამ, – განაცხადა მამა ანთიმოზმა.

ჟურნალისტების ჩაკითხვის შემდეგ, თუ ვინ იყო ამ კითხვების ადრესატი, არქიმანდრიტმა განაცხადა – საზოგადოება.

17 მაისის მოვლენებში მონაწილე ორ სასულიერო პირს – სამების ტაძრის არქიმანდრიტს, მამა ანთიმოზ (თამაზ) ბიჩინაშვილსა და იოანე და თორნიკე ერისთავის სახელობის დედათა მონასტრის იღუმენს, მამა იოთამ (ირაკლი) ბასილაიას ბრალი 23 მაისს წაუყენეს. გამოძიება მათ სისხლის სამართლის კოდექსის 161-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულს ედავება, რაც შეკრების ან მანიფესტაციის უფლების ხელყოფას, უკანონოდ და ძალადობით ხელის შეშლას გულისხმობს.

წინასასამართლო სხდომაზე პროკურორმა გოჩა ქორაიამ ბრალდების მხარის მტკიცებულებათა ნუსხა წარმოადგინა, რომელიც დაახლოებით 72 მოწმის მიერ მიცემულ ჩვენებებს, დასაკითხ პირთა სიას, რომელთა შორის გამომძიებლები, ექსპერტები შედიან, დაზიანებული მანქანების დათვალიერების ოქმებს, დისკებს და სხვა მტკიცებულებებს მოიცავს.

ამის შემდეგ მამა ანთიმოზისა (თამაზ ბიჩინაშვილმა) და მამა იოთამის (ირაკლი ბასილაია) ადვოკატებმა მოითხოვეს, რომ დაუშვებელ მტკიცებულებად იქნეს ცნობილი დადგენილებები პირის ბრალდების შესახებ. ადვოკატის მტკიცებით, ბრალის დადგენილებაში წერია, რომ ირაკლი ბასილაია იყო შეკრებისა და ხელშეშლის ორგანიზატორი, რომ მან ძალით გაარღვია კორდონი, ფიზიკურად ძალადობდა და ხალხს მოუწოდებდა, ღგბტ-ეების აქცია დაერღვია. ადვოკატის თქმით, საქმეში ამის დამადასტურებელი არც ერთი ჩვენება და არც ერთი მტკიცებულება არ მოიპოვება, რაც გამორიცხავს მის მიერ კონკრეტული დანაშაულის ჩადენას. დაცვის მხარის ადვოკატების განცხადებით, ბრალის დადგენილებაში სასულიერო პირები მოხსენიებულები არიან საერო სახელებით, რაც ეკლესიის შეურაცხყოფა და კონკორდატის პირობების დარღვევაა. ასევე, თამაზ ბიჩინაშვილის ადვოკატი მიიჩნევს, რომ დადგენილება მისი დაცვის ქვეშ მყოფის შესახებ ასევე დაუსაბუთებელია და დასაშვებ მტკიცებულებად არ უნდა იქნეს ცნობილი.

აღნიშნულთან დაკავშირებით ბრალდების მხარეს პოზიცია ჯერ არ დაუფიქსირებია. პროცესზე გაირკვა, რომ ამ ეტაპზე მხარეთა შორის საპროცესო შეთანხმება მიღწეული არ არის.

იმავე საქმეზე ბრალდებულ მღვდელ იოთამ (ირაკლი) ბასილაიას სასამართლო სხდომის დასრულების შემდეგ კომენტარი არ გაუკეთებია.

ბესარიონ ქარსივაძე, ადვოკატი:

– წინა სასამართლო პროცესი გაიმართა, ბრალდებამ მტკიცებულებები წარმოადგინა, ჩვენ ვაპროტესტებთ და მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებების დაცვის არანაირი ფაქტობრივი გარემობა არ არის. პირველი შუამდგომლობა დავაყენეთ, რომელიც არის ბრალდების დადგენილების დაუშვებლად ცნობა. ის ინკრიმინირებული დანაშაული, რომელსაც მამა ანთიმოზს ედავება ბრალდება არ არსებობს. მტკიცებულება არ არსებობს, რეალობა არ არსებობს, მამტკიცებელი არ არსებობს. ჩვენ გვაქვს კიდევ რამდენიმე შუამდგომლობა. სასამართლო პროცესი გადაიდო 1 აგვისტომდე, სადაც დაცვა მტკიცებულებებს დააყენებს და ბრალდება მოუსმენს დაცვის არგუმენტს. ჩვენ შევეცდებით, ერთმნიშვნელოვნად დავადასტუროთ, რომ ბრალდების პოზიცია უსუსურია. რაც შეეხება სხვა გარემოებას ჩვენი მოწადინებაა, რომ არ მოხდეს არსებით განხილვაში სასამართლოს გადაზრდა და ამ პროცესზე დასრულდეს სისხლისსამართლებრივი დევნა. ჩვენ ერთმნიშვნელოვნად დავამტკიცებთ, რომ ბრალდება არ არის რეალურად ჩამოყალიბებული კონკრეტულ საქმეზე. არც ერთი დაზარალებული მამა ანთიმოზს დანაშაულებრივ ქმედებაში არ ამხელს. უფრო მეტიც, ტელეკომპანიების მიერ წარმოდგენილი მასალების ექსპერტიზა არ ჩაატარა ბრალდებამ. არ არის ხმის ექსპერტიზა ჩატარებული, არ არის ფირების ურღვევობის ექსპერტიზა ჩატარებული.

გელა ნიკოლაიშვილი, ადვოკატი:

– ჩვენ ვითხოვთ, რომ მამა იოთამის, იგივე ირაკლი ბასილაიას მიმართ წაყენებული ბრალდების დადგენილება დაუშვებელ მტკიცებულებად იქნეს ცნობილი ანუ საქმე არსებით განხილვას არ გადაეცეს. საქმის მასალებში არ არის კონკრეტული მტკიცებულებები.

– სისხლის სამართლის დევნის შეწყვეტის შუამდგომლობით მიმართავთ სასამართლოს?

– დიახ, მივმართავთ ამ შუამდგომლობით სასამართლოს, რომ არ იქნეს საქმე გადაცემული არსებითად განხილვისთვის. არ არის ის სტანდარტი, რომელსაც კანონი მოითხოვს. თუ მოსამართლემაც ჩათვალა, რომ მტკიცებულებები არ აკმაყოფილებს კანონის სტანდარტს, მაშინ საქმეს შეწყვეტს. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი, პრეზიდენტობის კანდიდატი ნინო ბურჯანაძე სოლიდარობას უცხადებს სასულიერო პირებს, რომლებსაც ბოკერიასა და ნაცმოძრაობის პროვოკაციის შედეგად ასამართლებენ.

როგორც აღვნიშნეთ, ნინო ბურჯანაძე სასამართლო პროცესის დაწყებამდე საქალაქო სასამართლოში იმყოფებოდა და ჟურნალისტებთან განცხადება გააკეთა:

– გაოცებული ვარ იმით, რომ პირველი ოქტომბრის არჩევნებიდან ათი თვის თავზე კვლავ კუბლაშვილის სასამართლოში ვართ და ვართ იმის მომსწრენი, რომ ბოკერიასა და ნაცმოძრაობის პროვოკაციის შედეგად ეკლესიის მსახურებს ასამართლებენ. ნაცმოძრაობა და მათი წარმომადგენლები ხალხს ფიზიკურად უსწორდებოდნენ, ციხეებში აუპატიურებდნენ. ამ სისტემის შემქმნელები გარეთ თავისუფლად დადიან და ვიდრე ეს ასე იქნება, ყოველთვის იქნება უსამართლობის განცდა. სოლიდარობას ვუცხადებ სასულიერო პირებს, რომლებმაც 17 მაისს, შესაძლოა, ზედმეტი ემოცია გამოხატეს, მაგრამ მათი მხრიდან იმის მეასედიც არ ყოფილა, რაც 26 მაისს ხალხის წინააღმდეგ მოხდა. – განაცხადა ბურჯანაძემ.

მისივე თქმით, პროცესს არ დაესწრება, რათა ეს სასამართლოზე ზეწოლად არ ჩაითვალოს.

ჯონდი ბაღათურია, „ქართული დასის“ ლიდერი:

– აქ შეკრებილი საზოგადოება ივანიშვილის თანამებრძოლია, ახლა ეს საზოგადოება მიატოვა ივანიშვილმა და მეორე მხარეს გადავიდა, მოწინააღმდეგე ბანაკში გადავიდა, სადაც დგას „ლიბერასტები“, ელგებეტე საზოგადოება, სააკაშვილი და ეს გუნდი. სწორედ მათთან ერთად ასამართლებს სასამართლოში შეკრებილ საზოგადოებას. დღეს აქ ხდება თითოეული მორწმუნე ადამიანის გასამართლება. მასამართლებენ მე, იმას ვინც ჩემნაირად ფიქრობს. ამიტომ ვამბობ, რომ ღალატის განცდა საზოგადოებაში არის. ივანიშვილი ნუ გაყვება სააკაშვილს, ბოკერია-ჩერგოლეიშვილსა და უსუფაშვილ-ხიდაშელს. ასეთი სამარცხვინო და უსუსური ბრალდება გაუგებარია. როგორ შეიძლება, ინტერნეტში მოპოვებული და შემდეგ დამონტაჟებული მასალა ძიებამ სასამართლოზე წარმოადგინოს მტკიცებულებად ისე, რომ მისი ავთენტურობა არც კი დააზუსტოს. ეს ხომ არის უპასუხისმგებლობა და პოლიტიკური შეკვეთა?!

სკანდალი ბაჩო ახალაიას სასამართლო პროცესზე

ნათია ხურცილავა

თავდაცვისა და შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრ ბაჩო ახალაიას სასამართლო პროცესი გუშინ განახლდა.

ახალაიას საქმესთან დაკავშირებით მოსამართლემ განაჩენი 7 აგვისტომდე უნდა გამოიტანოს. გუშინ სასამართლომ მხარეების დასკვნითი სიტყვა მოისმინა. პროცესს ესწრებოდა თავად ბაჩო ახალაია.

სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას, დასკვნითი სიტყვის წარმოთქმისას პროკურორის მობილურზე ზარი გაისმა, რის გამოც მოსამართლემ პროკურორი ჯემალ კობაიძე 100 ლარით დააჯარიმა.

პროკურორის თქმით, მას ტელეფონი გამორთული აქვს და ეს საათის ზარი იყო, თუმცა მოსამართლე გიორგი დარახველიძემ მას ტელეფონის მწყობრში მოყვანა დაავალა და 100 ლარით დააჯარიმა.

ბრალდების მხარე დასკვნით სიტყვას ხუთ საათზე მეტ ხანს კითხულობდა.

გუშინ განსახილველი საქმე ეხებოდა სამხედრო მოსამსახურეებისთვის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებას, თავისუფლების აღკვეთის ეპიზოდებსა და ზვიად აბესაძესთან დაკავშირებულ ეპიზოდს, როდესაც მას პროკურატურის ინფორმაციით, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და თავისუფლება აღუკვეთეს.

ბაჩო ახალაიასთან ერთად აღნიშნულ პროცესზე ბრალდებულების გიორგი კალანდაძის, ალექსანდრე გორგაძის, ზურაბ შამათავას, მერაბ კიკაბიძის, მანუჩარ დარასელიასა და გიორგი კინწურაშვილის საქმეები განიხილება, თუმცა მათგან დარასელია და კინწურაშვილი მიმალვაში არიან და შესაბამისად, პროცესს არ ესწრებიან.

აღნიშნულ საქმეზე განაჩენი 7 აგვისტომდე უნდა იქნას გამოტანილი.

გუშინდელ სასამართლო პროცესს წინ ინციდენტიც უძღოდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოში პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებულ გიორგი გაბედავასა და თავდაცვის ექსმინისტრ ბაჩო ახალაიას ადვოკატ გიორგი ონიანს, ასევე დეპუტატ როლანდ ახალაიას შორის ინციდენტი მოხდა.

როლანდ ახალაია თავდაცვის ექსმინისტრის ადვოკატებთან – გიორგი ონიანთან და რომეო საჯაიასთან ერთად სასამართლოს ეზოში იდგა, როდესაც შენობაში მყოფმა გიორგი გაბედავამ მას თავისი პროკურორობის დროინდელი საქმიანობა შეახსენა, რის შემდეგაც ადვოკატმა გიორგი ონიანმა გაბედავას მიმართულებით ყავის ჭიქა ისროლა.

– გიორგი გაბედავამ გვაგინა და შეურაცხყოფა მოგვაყენა. ეს იყო კარგად ორგანიზებული პროვოკაცია, რომელიც არ მომდინარეობდა გაბედავასგან, არამედ მომდინარეობდა მათგან, ვინც ასეთ ადამიანებს პოლიტპატიმარი დაარქვა, – განაცხადა ონიანმა.

თავად გიორგი გაბედავა უარყოფს, რომ როლანდ ახალაიას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.

– მე როლანდ ახალაიასთვის სიტყვიერი შეურაცხყოფა არ მიმიყენებია. ახალაიამ პროკურორობის დროს ჩემს ოჯახს ბევრი ცუდი გაუკეთა, უსამართლოდ შეუფარდა გარკვეული სასჯელები და მე მას უბრალოდ ის პერიოდი გავახსენე და ამის გამო გაღიზიანდა, – განაცხადა გაბედავამ და დასძინა, რომ ახალაიას ხალხი გაასამართლებს.

გიორგი ონიანი, ადვოკატი:

– გაბედავამ ფანჯრიდან გადმოიხედა და დაიწყო ასაკოვანი ადამიანის, როლანდ ახალაიას შეურაცხყოფა და, შესაბამისად, პასუხი მიიღო. ამ ადამიანს თავისი გასაჭირი აქვს, თავისი შვილის პრობლემა აქვს და საერთოდ არ სცალია არც გაბედავასთვის და არც სხვა ე.წ. პოლიტპატიმრისთვის. ეს იყო კარგად ორგანიზებული პროვოკაცია, რომელიც არ მოდიოდა გაბედავასგან. ეს არის იმ ადამიანების მიერ ორგანიზებული, ვინც ამ ადამიანებს დაარქვა პოლიტპატიმრები. ეს არის სწორედ ე.წ. ამნისტიის შედეგი, რომელიც თითქოს კეთილი მიზნებით განხორციელდა. კეთილი მიზნებით კი არ განხორციელდა სწორედ ამის მოსაწყობად გამოვიდნენ ეს ადამიანები. არ მომხდარა ამ ადამიანების საქმეების შესწავლა, ყველას ერთად უწოდეს პოლიტპატიმარი.

როლანდ ახალაიამ ინციდენტთან დაკავშირებით ჟურნალისტებთან კომენტარი გააკეთა.

– ეს არის ხულიგანი, რომელიც პოლიტპატიმრის სტატუსით გაათავისუფლეს, ვითომ პოლიტპატიმარია, სინამდვილეში პროვოკატორი და ბანდიტია. ციხეში უნდა იჯდეს ასეთი ხალხი. სამწუხაროდ, დღეს გარეთ რომ არიან, იმის ბრალია ყველაფერი. – ამბობს ახალაია.

სოფიო ხორგუანი: „დავით ბაქრაძე ცდილობს, ნაცმოძრაობის დანაშაულებრივ ქმედებებს გაემიჯნოს“

თამარ ნინიძე

ინტერვიუ სოფიო ხორგუანთან

– გოგა ხაინდრავას ჰქონდა მოსაზრება, შსს-ში შენახული ფირები რომ განადგურდეს, მეორე დღესვე მის ასლებს გამოიყენებენ ადამიანების შანტაჟისთვის, ამიტომ ეს ფირები არ უნდა განადგურდეს, რადგან ეს ადამიანებისთვის ერთგვარი გარანტი იქნება. თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?

– გაცილებით ადრე ასეთი პოზიცია ჰქონდა ვასილ მაღლაფერიძეს. არიან ექსპერტები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ სამართლებრივი თვალსაზრისით ეს ფირები არ უნდა განადგურდეს იმის გამო, რომ ეს ამხელს დამნაშავეებს. განადგურდება თუ არა, რა დროს მოხდება ამის განადგურება, ამ საკითხში ჩართულია საზოგადოება, მაგრამ მთავარია, გავიაზროთ ყველამ, რომ საჭიროა ამ ბოროტებასთან კავშირის საბოლოოდ ჩაჭრა. ეს რომ გააკეთოს ხელისუფლებამ, ეს იქნება მისი მოღვაწეობის ყველაზე წარმატებული ნაბიჯი. უნდა გავიაზროთ თითოეულმა ჩვენგანმა, რომ ეს საშინელება ჩვენ გვჭირდა, თანამონაწილე ვართ ამის, დავით ბაქრაძის ინსინუაციები მივისმინე, რომ თითქოს მასზეც იყო ეს ჩანაწერები, წარმოუდგენელია ეს, თანაც აბრალებს იმ კომისიის წევრებს, მაგრამ ისინი ამბობენ, ჩვენ ეს არ გვინახავს და მისი იდენტიფიკაცია შეუძლებელიაო. ფაქტობრივად, ბაქრაძე იტყუება, მე მისი ტყუილის უფრო მჯერა და არა კომისიის წევრების ტყუილისა. ეს სულ იქნება სპეკულაციის თემა. ამ ბოროტებასთან კავშირის ჩაჭრაა მთავარი და არა ამ ფირების განადგურება ან დატოვება. ეს უნდა მოახერხოს ხელისუფლებამ და საზოგადოებამ. ჩვენ ჩვენი ჯიბიდან ვაფინანსებდით სისტემას, რომელმაც ასეთი დანაშაული ჩაიდინა. როგორც ფაშისტურმა გერმანიამ თავის დროზე აღიარა, რაც სჭირდა, მთელი ერის პრობლემა გახდა. როცა გავიაზრებთ, რომ ეს ჩვენი პრობლემა იყო, ამის შემდეგ ავაშენებთ კარგ სახელმწიფოს. მე თუ არ ვარ ამ ფირებზე, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს მე არ მეხება. ეს ბოროტება ყველას შეგვეხო.

ძალიან ცუდი ტენდენციაა, გახშირდა სექსუალური ძალადობის ფაქტები, განსაკუთრებით რეგიონებში, ესეც კვლევებით დადასტურებულია, რომ პოსტტოტალიტარულ და პოსტკონფლიქტურ ქვეყნებში არის ეს შემთხვევები. ყველაფერი ამის შედეგია. რეგიონებში სერიოზული პრობლემები გვაქვს, დარჩენილი არიან მხოლოდ მოხუცები და ბავშვები, არალეგალურად საზღვარგარეთ მუშაობენ ქალები და შუა ხნის ადამიანები. ეს ის ქვეყანაა, რომელზეც სააკაშვილი ამბობდა, ეკონომიკურად განვითარდაო. თუ ეკონომიკური პროგრესი იყო, რატომ გარბოდა ქვეყნიდან ამდენი ადამიანი? ტყუილი იყო ის ყველაფერი, რაშიც მიხეილ სააკაშვილი გვაცხოვრებდა.

– დავით ბაქრაძემ მსხვერპლად წარმოაჩინა თავი, როცა თქვა, ჩემზეც ყოფილა ფირი გადაღებულიო. ეს ხომ არ არის წინასაარჩევნოდ პიარი მისი მხრიდან?

– ცდილობს, თავი დაიძვრინოს და წარმოაჩინოს, როგორც მსხვერპლი. კომისიის წევრები უარყოფენ ამას და ამბობენ, რომ მათ ასეთი ინფორმაცია არ გააჩნიათ. მჯერა, რომ ბაქრაძე ამბობს ტყუილს და არა ნდობით აღჭურვილი კომისიის წევრები. წინასაარჩევნო პიარსვლაა, ბარამიძის არ იყოს, რომ ამბობდა, თუ ჩემზეც იყო რამე, ეს ამაზრზენიაო. მომხრეებზეც ექნებოდათ კომპრომატები, ამით ეკავათ ერთმანეთი. დიახ, ერთი გუნდი და ერთმანეთზე გადაბმული დანაშაულებრივი სისტემა იყო. ცუდ საქმეებში ჩართვითა და დაშინებით ეკავათ ერთმანეთი და თანამონაწილეები იყვნენ.

– ბაქრაძემ კიდევ ერთი სკანდალური განცხადება გააკეთა, რაც სოციალურ ქსელებში მსჯელობის თემა გახდა. ნაცმოძრაობა დასრულდაო, თქვა. რა ჰქონდა მას მხედველობაში?

– კარგი პიარტექნოლოგი ჰყავს, ცდილობს, გაემიჯნოს ნაცმოძრაობის დანაშაულებრივ ქმედებებს, მაგრამ ეს მაინც ნაცმოძრაობის წევრია და სავლე პავლედ ვერ იქცევა. პასუხისმგებლობა მას ისევ აქვს, თუმცა, დიახ, ნაცმოძრაობა დასრულდა იმით, რომ აღარ არის ხელისუფლებაში. ის, როგორც პარტია, ვერ გადარჩება, შეიძლება, სახელი შეიცვალოს ან ახალი სახეები გამოაჩინონ. მთავარი აქტორების როლი არსად გამქრალა.

– სააკაშვილმა სინანულით თქვა, ხელი რომ მიუწვდებოდეს მთავრობის კონტროლზე, ის მთავრობაში აუცილებლად ახალ ადამიანებს მოიყვანდა.

– მიხეილ სააკაშვილს ხელეწიფებოდა ყველანაირი კონტროლი ხელისუფლებაზე. ჩვენ ვნახეთ მისი კონტროლის შედეგები. კონფლიქტებთან დაკავშირებით უმძიმესი ვითარებაა, გაცილებით ბევრი რამ დაკარგა საქართველომ, ვიდრე შევარდნაძის დროს, მაშინ სტატუს-კვო იყო და არ იყო აღიარებული ტერიტორიები რუსეთის მიერ, ახლა აღიარებულიც არის და მეტი ტერიტორიაა დაკარგული. კოდორი დღესაც ჩვენია, მაგრამ სააკაშვილმა ეს გააფორმა, რასაც შევარდნაძეს უკიჟინებდა. რაც ყველაზე საშინელი იყო, სწორედ სააკაშვილის მმართველობის დროს მოხდა.

– ლავრენტი ბერია გაიხსენა მან და თქვა, რომ ცოდვებთან ერთად ბერიას ჰქონდა აღმშენებლობის უნარი და თბილისში ბევრი შენობა ააშენა, ფაქტობრივად, ირიბად ბერიას შეადარა თავი.

– წამოსცდა, რომ ისიც იყო დიქტატორი, ხვალ შეიძლება პინოჩეტს ან მუსოლინის შეადაროს თავი, მუსოლინის მმართველობის პერიოდში აშენდა იტალიაში იდეალური გზები და დღემდე ამ გზებით სარგებლობენ, დიახ მე ვიყავი დიქტატორი, დიახ მე მქონდა ოცდაჩვიდმეტი წელი ქვეყანაში და ვძალადობდი ადამიანებზეო, ამბობს. გახსოვთ ალბათ აღიარებითი ჩვენებები, რომლებიდან არც ერთი არ იყო მტკიცებულება და უდანაშაულო ადამიანები ციხეში ჰყავდათ. აბრალებდნენ ტერაქტების მოწყობას და რუსეთის სპეცსამსახურებთან კავშირს. ეს ამბები არსად წასულა. ოცდაათიან წლებში სამი, ოთხი მოწმე მაინც იყო, ვისაც ერთმანეთზე აბრალებინებდნენ რაღაცას, აქ ეს მოწმეებიც არ ჩანდნენ.

– ხმაურის ეფექტი გამოიწვია სააკაშვილის განცხადებამ, რომ ამერიკის ფედერალური საგამოძიებო ბიუროს ჯგუფი იჯდა მიშასთან და აკონტროლებდა 26 მაისის დარბევას, ხოლო შემდეგ დასკვნა დადეს, რომ დარბევა კანონის ჩარჩოებში იყო მოქცეული. ამაზე არს იტყვით?

– არის ასეთი მეთოდი, როცა გინდა თქვა ნახევარი სიმართლე და ნახევარი ტყუილი. სიმართლეა ის, რომ ამერიკა და ევროპა ჩვენ გვეხმარებოდნენ, დღემდე გვეხმარებიან. ინტერპოლიც გვეხმარებოდა, კომუნიკაციები გვქონდა საგამოძიებო ბიუროსთანაც, მაგრამ დიდი ტყუილია, რომ უყურებდნენ პროცესების განვითარებას და იძლეოდნენ განკარგულებებს. სააკაშვილის ჩანაფიქრია, რომ დააშანტაჟოს ამერიკელები, მაგრამ რეალურად არანაირი საფუძველი არა აქვს, ასანთი მას ხელში არ უჭირავს, წვრილმან შანტაჟს მიმართავს. მოკლე ჭკუით ფიქრობს, რომ დააშანტაჟებს ამერიკელებს, მას ჰგონია, რომ ამერიკის ადმინისტრაცია და საგამოძიებო ბიურო ფეხებში ჩაუვარდებიან ივანიშვილს და სთხოვენ მას, რომ სააკაშვილს ხელი არ ახლოს. ვერ ხვდება სააკაშვილი, რომ ასეთი რამ არ უნდა ილაპარაკოს. მუხრან მაჭავარიანის სახლში აგვისტოს ომის მერე სააკაშვილმა თქვა, რომ ევროპელებმა მიგვატოვესო. ამას რომ სააკაშვილი ამბობს, ნეგატიურ დამოკიდებულებას ზრდის, მაგრამ მისი არავის სჯერა, თუმცა შეიძლება ვინმე გამოჩნდეს, რომ მისი ბოდვები დაიჯეროს. აღშფოთდება, რომ აღარ გვინდა ამერიკა და ევროპა, მერე გამოვა სააკაშვილი და იტყვის, ხედავთ, როგორი ბნელი მოქალაქეები გვყავს, რა უნდა მექნა, დიქტატორი რომ არ ვყოფილიყავი, ამათ როგორ ვმართავდიო, იტყოდა. როცა პრობლემა შეექმნა სააკაშვილს ერთხელ, უცებ ზვიადისტებმა გადაწყვიტეს გამსახურდიას საფლავის ამოთხრა, სააკაშვილმა თქვა, ნახეთ, რას აკეთებენო. ესენი არიან ველურები, რომლებსაც უნდათ რუსეთის მონობა, ეს არის მისი ტაქტიკა. იაფფასიანი ტრიუკებია. დიდი ხანია, მისი არ გვჯერა, მის წვრილმანი შანტაჟის არ გვეშინია არც ჩვენ და არც ამერიკას.

– ამას შეფასება არ მისცა ამერიკის საელჩომ, იმდენად დიდ ნაბოდვრად მიიჩნიეს, რომ პასუხის ღირსად არ ჩათვალეს.

– რა უნდა ეთქვა ელჩს. უნდა ეთქვა, მე არ ვარ სპილოო? ასეთი აბსურდული ბრალდება, რომ ამერიკა და ევროპა ამართლებდეს იმას, რაც 26 მაისს ჩვენ ვნახეთ, შეუძლებელია და წარმოუდგენელია. ერთადერთი, შეიძლება თქვას საელჩომ, მოვუწოდებთ ოპოზიციასა და ხელისუფლებას, წინასაარჩევნო კამპანიის დროს თავი შეიკავოს სტრატეგიული პარტნიორული ურთიერთობების საზიანო განცხადებებისგან.

– გიორგი ვაშაძის განცხადება იყო, რომ ნაცმოძრაობა აუცილებლად დაბრუნდება ხელისუფლებაში და აქვე სოსო ცინცაძის კომენტარი იყო ერთ-ერთი სააგენტოსთვის, რომ სააკაშვილს შეუძლია, 10-15 წლის შემდეგ ისევ პრეზიდენტად იყაროს კენჭი.

– ეს არაფერს ნიშნავს. როგორი იქნება საქართველო 10 წლის შემდეგ, ეს ყველა ჩვენგანზეა დამოკიდებული. რას ფიქრობს ვაშაძე თავის პოლიტიკურ მომავალზე, ეს არ არის საინტერესო, ჩემთვის უფრო საინტერესოა, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ როგორ განვითარდება ქვეყანაში ეკონომიკა, ვინ იქნება ეკონომიკის, ფინანსთა და განათლების მინისტრი, რამდენად წარმატებულები იქნებიან ისინი. აი, ეს არის მნიშვნელოვანი. ვაშაძე და ძმანი მისნი რას ფიქრობენ საკუთარ პოლიტიკურ მომავალზე, ეს არ არის საინტერესო. წარმოუდგენელია, რომ მოხდეს ნაცმოძრაობის რეანიმაცია და წარსულში დაბრუნება. მნიშვნელოვანი უწყებები და სამინისტროები როგორ იმუშავებენ, იქნება თუ არა მათი საქმიანობა ეფექტური და დადებით შედეგზე ორიენტირებული.

– „ქართული ოცნების“ ლიდერებმა განაცხადეს, რომ მათი კოალიცია ემიჯნება ძალადობას და მწვავე შეფასებები იყო ზუგდიდსა და ბათუმში ნაცმოძრაობის პრაიმერის დროს საპროტესტო აქციებზე განვითარებული მოვლენების მიმართ. ამას როგორ შეაფასებთ?

– ძალიან საინტერესო რამ მოხდა იქ, ნაცმოძრაობის ლიდერებმა ატეხეს ერთი ამბავი, რომ ქვის ხანაა სამეგრელოში, რა ხდება ბათუმში, მაგრამ მერე მიხვდნენ და ორი დღის მერე დაიწყეს მოფერება, არა, ჩვენ მეგრელები გვიყვარს და რა კარგები არიან ბათუმელებიო, სამეგრელო ჩვენ მხარს გვიჭერსო. წვრილმანი ხულიგნობისთვის ადამიანები რომ დააჯარიმეს ეს ნორმალური ქვეყნისთვის მისაღებია. არიან ადამიანები, რომლებიც ამით საკუთარ პროტესტს გამოხატავენ. დიახ, ეს მათი უფლებაა, თუნდაც წვრილმან ხულიგნობაზე მიდიან.

– თქვენ ამბობთ, რომ ხიდი უნდა ჩავჭრათ ბოროტებასთან და ამას უნდა გავემიჯნოთ, მაგრამ ამ დროს ამ ბოროტებასთან კოჰაბიტაცია აქვს ხელისუფლებას. იქნებ სჯობდა, თავიდანვე აგვეკრძალა ნაცმოძრაობა, მისთვის ნიურნბერგის მსგავსი სასამართლო მოგვეწყო? ეს კოჰაბიტაცია ადამიანებს ნერვებს უშლის.

– ყველამ, მათ შორის ნაცმოძრაობამაც უნდა ვაღიაროთ, რომ ეს იყო დანაშაულებრივი სისტემა. ისინი ბოდიშს არ იხდიან. მე ვამბობ, რომ ერთად უნდა ვაღიაროთ, რაც დაგვემართა. ეს ჩვენ ვაუპატიურებდით ჯოხით კაცებს. ეს არ არის კინოში ნანახი, ეს რეალობა იყო. დაგროვილი აგრესია ადამიანებში რაც არის, არსად წასულა.

– ეს აგრესია ზუსტად იქიდან მოდის, რომ ხელისუფლება მშვენივრად თანამშრომლობს, იმის ნაცვლად, რომ აკრძალოს მისი პოლიტიკური საქმიანობა და გასამართლდეს ეს რეჟიმი. მაშინ არც ორხელისუფლებიანობა იქნებოდა ქვეყანაში და არც უამრავი პრობლემა, რასაც ახლა გათამამებული ნაციონალები ქმნიან.

– მე არ ვარ რადიკალური მეთოდების მომხრე. ეს ხელისუფლება არ უნდა დაემსგავსოს წინა ხელისუფლებას. ის უნდა იყოს ყველას ხელისუფლება, მათ შორის ნაცმოძრაობის მხარდამჭერებისაც. პრემიერ-მინისტრი და პრეზიდენტი უნდა იყვნენ ყველას ინტერესების დამცველნი. ეს არის პროგრესი და არა ის, რასაც ნაცმოძრაობა და სააკაშვილი აკეთებდნენ, რომ მხოლოდ ნაცმოძრაობისა და მათი ფანების პრეზიდენტი იყო. ხელისუფლება უჯერებს საზოგადოებას. ერთი ამბავი ატყდა, პრემიერმა რექტორები უნდა დანიშნოსო, გახსოვთ, ალბათ, საზოგადაოების პროტესტი მერე ეს უკან წაიღო ხელისუფლებამ და საზოგადოებას ანგარიში გაუწია. კარგი ხელისუფლებაა რომელიც უსმენს საზოგადოებას.

– ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსიტიტუტის სოციოლოგიურმა კვლევებმა აჟიოტაჟი გამოიწვია უცნაური ციფრები იყო გამოქვეყნებული. როგორ შეაფასებთ ამ კვლევებს?

– სააკაშვილმა მოახერხა, რომ ამ კვლევების მიმართ ნდობა არ არსებობს. ამ ინსტიტუტის დევალვაცია მოხდა. აქ მნიშვნელოვანია, კითხვა როგორ დაისმება, მაგალითად, როცა არის კითხვა, ნაცმოძრაობიდან ყველაზე მეტად რომელი ლიდერი გესიმპათიურებათ, აქ მისცემენ ხმას ბაქრაძეს, რომელიც სხვებთან შედარებით უფრო ნაკლებ აგრესიას იწვევს. ეს ის კითხვა არ არის, ყველაზე მეტად ვის ენდობით და თურმე 46% ბაქრაძეს ენდობა საქართველოში, ეს სიცრუეა.

– აქვს შანსი ბაქრაძეს, რომ მეორე ადგილი დაიკავოს?

– დიახ, გასაგებია, ბრძოლა მიდის მეორე ადგილისთვის, შეეცდებიან, ნაცმოძრაობა გავიდეს, რათა შეინარჩუნონ მთავარი ოპოზიციური ძალის ფუნქცია. მათ ეს სჭირდებათ იმისათვის, რომ იწივლონ და იკივლონ, როცა მათ კრიმინალურ საქმეებს მიადგებიან, არიქა, პოლიტიკურ ძალას გვდევნიანო. ქვეყანაზე ისინი არ დარდობენ. მნიშვნელოვანია, სალომე ზურაბიშვილი დარეგისტრირდება თუ არა, მარგველაშვილის ყველაზე წონიანი კონკურენტი სალომე ზურაბიშვილია. დღევანდელი მოცემულობით შეუძლებელია „ქართული ოცნების“ კანდიდატი არ გახდეს პრეზიდენტი. ბურჯანაძეს რაც შეეხება, სერიოზულ ძალად ვერ ვხედავ. რეალურ კონკურენციას მარგველაშვილს ვერავინ გაუწევს. საპრეზიდენტო კამპანიას სჭირდება გუნდი, ადამიანური რესურსი, ფინანსურთან ერთად. ეს რესურსი ბურჯანაძეს უფრო აქვს, ვიდრე ზურაბიშვილს. მე მეორე ტურს გამოვრიცხავ.

საზარელი მკვლელობა ბათუმში

16 წლის მარიამ კოჩალიძე გაძარცვის მიზნით მოკლეს

შორენა მარსაგიშვილი

გუშინ ბათუმი და მთელი საქართველო შოკში ჩააგდო 16 წლის გოგონას მკვლელობამ. მარიამ კოჩალიძის ცხედარი ბათუმის ბულვარში დილით იპოვეს. მშობლები და ახლობლები მას მთელი ღამის განმავლობაში ეძებდნენ. გოგონა ყოველ საღამოს ველოსიპედით სეირნობდა. 22 ივლისის საღამოსაც გავიდა სასეირნოდ ეს გასეირნება მარიამისთვის საბედისწერო აღმოჩნდა.

მარიამ კოჩალიძის დედა ჟუჟუნა ბერიძე ფიქრობს, რომ მისი შვილი ძარცვის მიზნით მოკლეს.

– 22 ივლისს, საღამოს 7 საათზე ბულვარში ველოსიპედით გავუშვით. ყოველთვის ვამოწმებდით, ტელეფონზე რომ არ გვიპასუხა დავიწყეთ ძებნა. ვნახეთ, ბავშვი ზღვისპირზე, ყელგამოჭრილი, ლოდი ჰქონდა დადებული. არც ტელეფონი აღმოაჩნდა და არც ველოსიპედი. ვფიქრობ ძარცვის გამო მოკლეს, ჩვენს ოჯახს არაფერი დაუშავებია, – აღნიშნა ჟუჟუნა ბერიძემ.

16 წლის მარიამ კოჩალიძის მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით რამდენიმე ვერსია ვრცელდება. ერთ-ერთი ვერსიით, ეჭვი არსებობს უცხო ქვეყნის მოქალაქეზე, რომელიც მიმდებარე ტერიტორიაზე, გვირაბში ორი თვის მანძილზე ათევდა ღამეს.

ადგილობრივებს ის აღნიშნულ ტერიტორიაზე, არაერთხელ ჰყავთ შემჩნეული.

ამ ინფორმაციას ნაწილობრივ ადასტურებს აჭარის სამხარეო პოლიციის უფროსი თელია. მისი თქმით, პიროვმება რომელზეც ეჭვები არსებობს არაქასრთული გარეგნობისაა.

ბათუმში მოკლული 16 წლის გოგონას მკვლელის ვინაობის დასადგენად ინტენსიური საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს. ამის შესახებ შსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ნინო გიორგობიანმა გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

– გვსურს, სამძიმარი გამოვუცხადოთ გარდაცვლილის ოჯახს. ამ საქმესთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით. ამ დროისთვის მიმდინარეობს ინტენსიური საგამოძიებო მოქმედებები, რათა დადგინდეს სავარაუდო მკვლელის ვინაობა და მოხდეს მისი დაკავება. ეს პირი, ვინც იქნება, კანონის შესაბამისად, უმკაცრესად დაისჯება, – განაცხადა გიორგობიანმა.

იმედი ვიქონიოთ, რომ ეს საქმე მალე გაიხსნება და მსგავსი დანაშაული აღარასდროს მოხდება. ასევე კარგი იქნება ისიც, თუ პრეზიდენტი და სხვა პოლიტიკოსები ასეთი ტრაგედიით პიარს არ გაიკეთებენ.

იოანე პავლე მეორე წმინდანად აღიარეს

ვატიკანის სასულიერო კომისიამ, რომის პაპი იოანე პავლე II წმინდანად აღიარა.

მედიის ინფორმაციით, მკვლევარებმა, კათოლიკური ეკლესიის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პანტიფიკის მიერ განხორციელებული ოთხი სასწაულის დამადასტურებელი საბუთი მოიძიეს. ბეატიფიკაციის პროცედურას რამდენიმე წელი დასჭირდა. ვარაუდობენ, რომ ოფიციალური ცერემონია დეკემბერში გაიმართება.

ნიუსპრესი

გიგი წერეთელი: „ზუგდიდის დარბევა „ქართული ოცნების“ ორგანიზებული იყო“

ბოკერია შსს-ს ზუგდიდის მსგავს ინციდენტებზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისკენ მოუწოდებს

შორენა მარსაგიშვილი

20 ივლისს ზუგდიდში მომხდარ ინციდენტს ნაცმოძი ვერ ივიწყებს. მიხეილ სააკაშვილის თანაპარტიელები ამტკიცებენ, რომ მათ პროვოკაცია ზუგდიდში „ქართულმა ოცნებამ“ მოუწყო. მეოცნებეებმა იმავე დღეს გაავრცელეს განცხადება და კვერცხების სროლა დაგმეს. სამართალდამცავებმა 12 პირიც დააკავეს, რომლებმაც კვერცხები და ქვები ისროლეს.

ნაცმოძი მაინც უკმაყოფილო იყო. განსაკუთრებით მას შემდეგ გამწარდნენ, რაც გაიგეს, რომ დაკავებულები სასამართლომ 100-100-ლარიანი ჯარიმის სანაცვლოდ გაათავისუფლა. ნაციონალებს არც კოტე კუბლაშვილის განცხადება მოეწონათ. უზენაესი სასამართლოს თავკაცის განმარტებით, ზუგდიდში 12 პირმა 100-ლარიანი დანაშაული ჩაიდინა მხოლოდ.

დეპუტატმა გიგი წერეთელმა გუშინ საგანგებო ბრიფინგი მოიწვია, სადაც ვიდეომასალა წარმოადგინა. მისი თქმით, ამ ვიდეომასალით დასტურდება, რომ ნაცმოძის დაწიოკება მეოცნებეების დაგეგმილი იყო.

ნაციონალურმა მოძრაობამ იმ პირების ვინაობაც დაასახელა, რომლებმაც, მათივე ინფორმაციით, ზუგდიდში ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ გამართული აქციის მონაწილეების შეკრების ორგანიზება მოახდინეს.

– მოგეხსენებათ, რომ მიმდინარე წლის 20 ივლისს ქალაქ ზუგდიდში გაიმართა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პრაიმერის მორიგი ტური, საპრეზიდენტო კანდიდატის გამოსავლენად. მაშინ, როდესაც კოალიცია „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები და მათი ლიდერი, ბიძინა ივანიშვილი თავისი განცხადებით, მთლიანად ემიჯნებიან და გმობენ ძალადობას და მსგავს ფაქტებს, რეალობა სრულიად სხვაგვარია. ღონისძიება „ქართული ოცნების“ აქტივისტების პროვოკაციის ფონზე მიმდინარეობდა.

ზემოთქმულს ნათლად ადასტურებს ჩვენს ხელთ არსებული ვიდეომასალა, სადაც მკაფიოდ ჩანს, რომ ზუგდიდის თეატრთან შეკრებილი ადამიანების მობილიზებას, რომლებმაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებსა და დელეგატებს ქვები და ბოთლები დაუშინეს, უშუალოდ „ქართული ოცნების“ აქტივისტები, გამგებლები, მათი მოადგილეები, მუნიციპალიტეტის თანამშრომლები და სხვადასხვა სახელმწიფო უწყებაში დასაქმებული „ქართული ოცნების“ აქტივისტები ახდენდნენ. მათ შორის არიან: ირაკლი ქოჩუა – ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დევნილთა სამმართველოს უფროსი; კობა ქანთარია – გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის სამეგრელო-ზემო სვანეთის განყოფილების უფროსი; დავით სორდია – საქართველოს ფოსტის სამეგრელო-ზემო სვანეთის განყოფილების უფროსი; კოტე გურგულიანი – მუზეუმების გაერთიანების უფროსი (დაჯარიმდა ასი ლარით); მურთაზ წურწუმია – სოფელ ორულუს გამგებელი; ზაზა ჯანჯღავა – სოფელ ცაიშის გამგებელი; მარინა სამელია – სოფელ ცაიშის გამგებლის მოადგილე; გოჩა შენგელია – სოფელ შამგონის გამგებელი; რაინდი უბილავა – სოფელ ოქტომბრის გამგეობის თანამშრომელი, დალი ბუკია – მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის მთავარი სპეციალისტი; ლევან ფაჟავა – ქალაქ ზუგდიდის გამგეობის სპეციალისტი და მთავარი ორგანიზატორი ლალი ანთია, რომლის შვილი გურგენ სართანია ზუგდიდის გამგებლის მოადგილეა, – განაცხადა პარტიის სახელით გიგი წერეთელმა.

ნაციონალების ღაღადს, ბუნებრივია, მეოცნებეებიც გამოეხმაურნენ. პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიას განცხადებით, „ბრალდება, რომ „ქართული ოცნება“ ზუგდიდში აქციის დაგეგმვაში მონაწილეობდა, უტიფარი ტყუილია.

– ბრალდება, რომ „ქართული ოცნება“ აქციის დაგეგმვაში მონაწილეობდა, უტიფარი ტყუილი და ძალიან დიდი სირცხვილია, როდესაც ამაზე პოლიტიკური პარტიის ლიდერები საუბრობენ. ნაციონალური მოძრაობის წევრებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ რეგიონებში და განსაკუთრებით სამეგრელოში, ძალიან კრიტიკულად და შეიძლება, აგრესიულად განწყობილი საზოგადოებრივი ჯგუფები იქნებიან. ჩვენი მოვალეობაა, რომ ავიცილოთ ქვები, ბოთლები და მსგავსი საგნები, იმიტომ რომ ეს არ არის პოლიტიკური ბრძოლის იარაღი, მაგრამ მათ უნდა გააცნობიერონ, რომ ამ კრიტიკულად განწყობილ ნაწილსაც უნდა დაელაპარაკონ, – განაცხადა ბესელიამ

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის გედევან ფოფხაძის განცხადებით, ყველა ქვა და კვერცხი, რომელსაც ნაციონალური მოძრაობის მისამართით ისვრიან, ქართულ სახელმწიფოს ხვდება.

მე მინდა, ცალსახად ვთქვა, რომ თუ იქ ვინმემ, პერსონალურად რაიმე ფორმით დაკავშირებულმა „ქართულ ოცნებასთან“ მიიღო მონაწილეობა, ამ ადამიანებს ძალიან კარგად უნდა ესმოდეთ, რომ ყველა ქვა და კვერცხი, რომელსაც ისინი ისვრიან ნაციონალური მოძრაობის მისამართით, ხვდება ქართულ სახელმწიფოს. ეს იყო სწორედ პირველი ოქტომბრის წარმატების წინაპირობა, რომ ჩვენ არჩევნების გზით, კანონიერად და კონსტიტუციურად უნდა შეგვეცვალა პოლიტიკური რეალობა და არა ძალადობით. ამიტომ, თუ ვინმემ ამ პროცესებში მიიღო მონაწილეობა, „ქართული ოცნება“ მათ ცალსახად გაემიჯნება, – განაცხადა ფოფხაძემ.

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორისი კომისია ზუგდიდსა და ბათუმში მომხდარ ინციდენტზე და სამართალდამცავი ორგანოების არაადეკვატური რეაგირების გამო შეშფოთებას გამოთქვამს და სამართალდამცავ ორგანოებს მოუწოდებს, ასეთი ტიპის საქმეებზე სისხლისსამართლებრივი დევნა განახორციელოს.

ამის შესახებ უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარის სახელით განცხადება უშიშროების საბჭოს ვებგვერდზე გავრცელდა.

„თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარე შეშფოთებას გამოთქვამს 2013 წლის 20 ივნისს ქალაქ ზუგდიდში და 21 ივლისს ქალაქ ბათუმში ოპოზიციური პარტიის მიმართ განხორციელებული ძალადობრივი ქმედებებისა და ამ ინციდენტებზე სამართალდამცავი ორგანოების არაადეკვატური რეაგირების გამო. მსგავსი ინციდენტები და მათზე არასათანადო რეაგირება წინააღმდეგობაშია იმ გზავნილებთან, რომლებიც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა 2013 წლის 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების თავისუფალ და სამართლიან გარემოში ჩატარებასთან დაკავშირებით გააკეთა.

მიუხედავად იმისა, რომ ადგილზე მობილიზებული იყო პოლიცია, რომლის მოქმედების შედეგად აქტივისტებს არ მიეცათ შესაძლებლობა, ჩაეშალათ ნაციონალური მოძრაობის ღონისძიება, პოლიციამ ვერც პირისპირ შეურაცხყოფა და ვერც ფიზიკური შეურაცხყოფა ვერ აღკვეთა, უფრო მეტიც, სახეზე იყო პოლიციის მიმართ კონტრდემონსტრანტთა მხრიდან წინააღმდეგობის გაწევა და აშკარა დაუმორჩილებლობა. ამასთანავე, მოძალადეთა მიმართ 100-ლარიანი ადმინისტრაციული ჯარიმის გამოყენება არაადეკვატური სასჯელია, რაც შემდგომში ძალადობის წამახალისებელ ფაქტორადაც კი შეიძლება იქცეს, მით უმეტეს, იმ ფონზე, როცა სახეზეა შემთხვევები, როცა მშვიდობიანი პროტესტის გამო სტუდენტებს 1000 ლარით აჯარიმებენ.

პოლიტიკური მოტივით ძალადობის პრევენციის მიზნით მნიშვნელოვანია, ანალოგიურ შემთხვევებში სამართალდამცავმა ორგანოებმა ან ადმინისტრაციულ პატიმრობას ან უფრო სერიოზულ ვითარებაში, როგორიცაა ზუგდიდის შემთხვევა, სისხლისსამართლებრივ დევნას მიმართონ, მით უმეტეს, რომ არსებობს გონივრული ეჭვი, რომ ეს აქცია ხელისუფლების ცალკეულ წარმომადგენელთა მიერ იყო ორგანიზებული. მნიშვნელოვანია ასევე, რომ წინასაარჩევნო პერიოდში პოლიციამ ითანამშრომლოს საარჩევნო სუბიექტებთან როგორც ინფორმაციის გაცვლის, ასევე შესაძლო კონფრონტაციის შემთხვევაში მყისიერი და ეფექტური რეაგირების კუთხით, – აღნიშნულია განცხადებაში.

იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი ზუგდიდსა და ბათუმში ნაციონალური მოძრაობის პრაიმერისას მომხდარ ინციდენტებს სამარცხვინოდ მიიჩნევს. ამის შესახებ წულუკიანმა ჟურნალისტებს თბილისის 23-ე საჯარო სკოლაში განუცხადა, სადაც ის პროექტის „წერილი ჯარისკაცებს“ მონაწილეებს ხვდება.

– არაფერი აქვს ახალ ხელისუფლებას საერთო ამ ქვების სროლასთან. დემოკრატიულ საზოგადოებაში ნებისმიერ პარტიას, მათ შორის, დღევანდელ საპარლამენტო ოპოზიციას უნდა შეეძლოს, თავის მხარდამჭერს შეხვდეს, – განაცხადა იუსტიციის მინისტრმა.

რა შედეგით დასრულდება ილია II-ისა და ვლადიმერ პუტინის შეხვედრა

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II გუშინ თანმხლებ პირებთან ერთად რუსეთში გაემგზავრა. ქართული ეკლესიის წინამძღოლი მოსკოვში რუსეთის პატრიარქმა კირილმა მიიწვია. ჩვენი პატრიარქი რუსეთის გაქრისტიანების 1025 წლის საიუბილეო თარიღის აღნიშვნაში მიიღებს მონაწილეობას. სადღესასწაულო ღონისძიებები მოსკოვში, კიევსა და მინსკში გაიმართება.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ოფიციალური დელეგაციის შემადგენლობაში არიან ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის, აშშ-ისა და ჩრდილოეთ ამერიკის ქართული სამრევლოების მმართველი, მიტროპოლიტი, დიმიტრი (შიოლაშვილი); საქართველოს საპატრიარქოს საგარეო განყოფილების თავმჯდომარე, ზუგდიდ-ცაიშის მიტროპოლიტი გერასიმე (შარაშენიძე); კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი, ახალციხისა და ტაოკლარჯეთის მიტროპოლიტი თეოდორე (ჭუაძე); თბილისის სასულიერო სემინარია-აკადემიისა და საღვთისმეტყველო ინსტიტუტის რექტორი, სიონის საპატრიარქო ტაძრის წინამძღვარი, პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე და სხვა სასულიერო პირები.

ვიზიტის ფარგლებში კათოლიკოს-პატრიარქი ილია II თანმხლებ პირებთან ერთად შეხვედრებს გამართავს.

უწმინდესი მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქს, უწმინდეს კირილს შეხვდება, კიევში კი შეხვედრა გაიმართება სრულიად უკრაინის მიტროპოლიტ ვლადიმერთან. რაც შეეხება მინსკს, იქ ილია მეორე სრულიად ბელორუსის საპატრიარქო ეგზარქოსს, მინსკისა და სლუცკის მიტროპოლიტ ფილარეტსთან გამართავს შეხვედრას.

როგორც საპატრიარქოში განმარტეს, რუსეთის ეკლესიის პატრიარქ კირილთან შეხვედრისას საუბარი იმ თემებს შეეხება, რომლებიც საქართველოსა და რუსეთის ეკლესიებს შორის არსებობს. ეს არის აფხაზეთის თემა და ქართველი მეფეების ნეშტების გადმოსვენების საკითხი.

რუსეთის გაქრისტიანებიდან 1025 წლისთავზე რუსეთში ჩასული ილია II გუშინვე შეხვდა რუსეთის პატრიარქ კირილს. როგორც რუსულენოვანი გამოცემა „ინფოროს.რუ“ წერს, ილია II-მ რუსეთის პატრიარქთან შეხვედრის დროს რუსთასა და რუს ერს კეთილდღეობა უსურვა. ამ შეხვედრის ფოტომასალა რუსეთის

გაგრძელება მე-6 გვერდზე

სიახლე! იაფი იპოთეკური სესხი ლარში ლიბერთი ბანკისგან ყველაზე დაბალ პროცენტად — წლიური 8.99%!

იაფი იპოთეკური სესხით სარგებლობის შემთხვევაში მსესხებელი ყველაზე დაბალ პროცენტთან ერთად მიიღებს ბონუს პროდუქტებს უფასოდ

იაფი იპოთეკური სესხის აღება შესაძლებელია:

- საცხოვრებელი და კომერციული ფართების შესაძენად / რემონტისათვის / ასაშენებლად
- მიწის ნაკვეთის შესაძენად, პირადი ავტომობილის შესაძენად
- სამომხმარებლო მიზნების დასაფინანსებლად
- ერთი ან რამდენიმე კომერციული ბანკის მიერ გაცემული სესხების კონსოლიდაცია-რეფინანსირებისათვის

იაფი იპოთეკური სესხის ძირითადი პირობები:

- ვალუტა – ლარი
- ვადა – მინიმუ 6 თვე – მაქსიმუმ 15 წელი
- წლიური საპროცენტო განაკვეთი – 8.99%-დან[1]
- სესხის მოცულობა – მინიმალური – 5 000 ლარი / მაქსიმალური – 300 000 ლარი
- მსესხებლის თვიური მინიმალური შემოსავალი – 800 ლარი

ბონუს პროდუქტები:

- ლიბერთი ანგარიშის სპეციალური საბაზისო პაკეტი უფასოდ, რომელშიც გათვალისწინებულია:
  - მულტისავალუტო ანგარიში
  - საბანკო ბარათი – Visa Gold ან MasterCard Gold
  - პრემიალური შმარტივი ბარათი[2]
  - ინტერნეტ ბანკ
  - SMS ბანკი
  - მოთხოვნამდე ანაბარი „პატრიოტი“
- ყველა მსესხებელს, რომელიც ისარგებლებს იაფი იპოთეკური სესხით ლიბერთი ანგარიშზე დაერიცხება საპროცენტო სარგებელი წლიური 7.00%-ის ოდენობით[3]
- მსესხებლის სურვილის შემთხვევაში იაფი იპოთეკური სესხის აღებისას მას (მსესხებელს) გადაეცემა საკრედიტო ბარათი მეჯიქ ბარათი (Magic Card) მსესხებლის ყოველთვიური ხელზე ასაღები შემოსავლის არაუმეტეს ორმაგი მოცულობის საკრედიტო ლიმიტით

იაფ იპოთეკურ სესხთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაციის მისაღებად დარეკეთ ბანკის 24 საათიან საინფორმაციო ცენტრში +995 32 255 55 00 ან *55 00 (მობილურიდან).

[1] ლიბერთი ბანკის იპოთეკური სესხის საპროცენტო განაკვეთი შედგება სხვადასხვა ნაწილებისგან. აღნიშნული ნაწილებიდან ერთ-ერთი წარმოადგენს ცვლად საპროცენტო განაკვეთს, რომელიც განისაზღვრება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთით

[2] სესხის მოქმედების განმავლობაში პრემიალურ შმარტივს არ ერიცხება ბარათის მომსახურების ყოველთვიური საკომისიო

[3] სესხის მოქმედების განმავლობაში საპროცენტო სარგებლის დარიცხვა ხორციელდება ანგარიშზე მხოლოდ ლარში არსებულ დადებით ნაშთზე

თემურ მურვანიძე: „სამართლიანი არჩევნების ჩატარება კითხვის ნიშნის ქვეშ დგას“

შორენა კოწოწაშვილი

საპრეზიდენტო არჩევნების წინ არასაპარლამენტო ოპოზიცია მმართველ კოალიციას არათანაბარ მდგომარეობაში ჩაყენებაში ადანაშაულებს. არასაპარლამენტო ოპოზიცია დაფინანსების გაზრდას ითხოვს და მიაჩნია, რომ მსგავს ვითარებაში არჩევნები დემოკრატიულად ვერ ჩატარდება.

რა ხდებოდა ინტერფრაქციული ჯგუფის მუშაობის ეტაპზე და მართლაც გადაადგმ თუ არა „ქართულმა ოცნებამ“ ინტერფრაქციული ჯგუფი და მის მიერ მიღწეული შეთანხმებები? – ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს „საქართველოს გზის“ თავმჯდომარე თეიმურაზ მურვანიძესთან.

– ბატონო თემურ, საპრეზიდენტო არჩევნების წინ საკმაოდ დიდი ხმაური გამოიწვია საპარლამენტო უმრავლესობასა და ოპოზიციას შორის იმ ნაბიჯმა, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ პატიების დაფინანსების კუთხით გადადგა. სამართლიანია საპარლამენტო უმრავლესობის მიდგომა?

– ამ კითხვაზე პასუხს გარკვეული წინაისტორია აქვს. თქვენ იცით, რომ საპარლამენტო ინტერფრაქციულ ჯგუფში არასაპარლამენტო პარტიები სათათბირო ხმის უფლებით ვიყავით მიწვეული, თუმცა არსებობდა შეთანხმება მმართველ კოალიციასთან, რომ ის საკითხები, რაზეც შეთანხმება მოხდებოდა, აუცილებლად იქნებოდა ინიცირებული კანონპროექტის სახით პარლამენტში. თუმცა აღსანიშნავია ერთი ფაქტი, რომ ინტერფრაქციული ჯგუფის ხელმძღვანელ ზაქარია ქუცნაშვილის მცდელობის მიუხედავად, თავად კოალიციის შიგნით გარკვეული ძალები მზად არ აღმოჩნდნენ, რომ დაფინანსების შესახებ შეთანხმება პარლამენტში გაეტანათ. ობიექტურობისთვის ისიც უნდა ითქვას, რომ ქრისტიან-დემოკრატიულმა პარტიამ და ნინო ბურჯანაძის პარტიამ უარი განაცხადეს მიღწეულ შეთანხმებაზე ხელმოწერაზე. მე აქ სხვა ქვეტექსტს ვხედავ. დადგა შედეგი – პარტიათა დაფინანსების კუთხით საკითხი შეფერხდა. მინდა გითხრათ, რომ ჩვენი პარტიისთვის იმთავითვე უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისკენ მიმართულ ცვლილებებს. მმართველი კოალიციის მხრიდან უსამართლო იქნებოდა ამ საკითხის გადადება, მათ რომ არ მოეხდინათ ყველა სხვა ცვლილების ინიცირება პარლამენტში, რამაც უნდა უზრუნველყოს პირველი სამართლიანი არჩევნების ჩატარება ქვეყანაში. როდესაც ინტერფრაქციული ჯგუფის ბოლო სხდომაზე ბათუმში თორმეტმა არასაპარლამენტო პარტიამ წარმოადგინა საბაზისო დაფინანსების გაზრდის საკითხი, საყოველთაო ინტერესებიდან გამომდინარე, ჩვენი პარტიაც დაეთანხმა ამ სიახლეს, რადგან დღევანდელ პირობებში პარტიების დაფინანსების გაზრდა უზრუნველყოფს მრავალპარტიული დემოკრატიის მხარდაჭერას პოსტნაციონალური ტოტალიტარული პერიოდის შემდეგ, როდესაც პარტიებს ელემენტარული სახსრები არ ჰქონდათ ფუნქციონირებისათვის. ამ საკითხის ჩაგდებაში მე ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობისა და „დემოკრატიული მოძრაობის“ მეტ „დამსახურებას“ ვხედავ, ვიდრე კოალიციის.

– ამ ორი პარტიის „დამსახურებაში“ რას გულისხმობთ?

– პირველი: ქდმ სხვა პარტიებთან შედარებით საკმაოდ დიდი დაფინანსებას იღებს და, ამასთან, მას ჰყავს სატელიტი პარტია, რომლის მეშვეობითაც, პრაქტიკულად, ორმაგად მეტი ფინანსური რესურსები აქვთ, სხვებთან შედარებით. მათ ასევე ჰყავთ პრეზიდენტობის კანდიდატი და ამის გამო ჩააგდეს ეს საკითხი, რადგან სხვა პარტიებისთვის, რომლებსაც ან ჰყავთ საპრეზიდენტო კანდიდატი, ან რომელიმე კანდიდატს დაუჭერენ მხარს, შეეზღუდათ ფინანსური რესურსები; მეორე – „დემოკრატიული მოძრაობა“ გახლავთ არაკავალიფიციური პარტია და მას საბიუჯეტო დაფინანსება არ აქვს. თუმცა მათ ასევე ჰყავთ საპრეზიდენტო კანდიდატი და ამ შემთხვევაში მათი და ქდმ-ს ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა – დაეტოვებინათ სხვა პარტიები გაზრდილი დაფინანსების გარეშე. სწორედ ეს იყო მათი მთავარი მიზანი და ქდმ-ს შემთხვევაში ერთი წევრი საარჩევნო კომისიაში და ამ საკითხის წამოწევა უბრალო საბაბია, რომ მათ საკუთარი რეალური მიზანი დაეფარათ.

– არასაპარლამენტო ოპოზიცია ივანიშვილის უმრავლესობის არადემოკრატიულ გადაწყვეტილებებზე საუბრობს? სამართლიანია ეს კრიტიკა?

– თუ თქვენ იმ განცხადებას გულისხმობთ, რომ კოალიციის საბჭოს სხდომაზე მოხდა პარტიათა დაფინანსების საკითხის დაბლოკვა ივანიშვილის მიერ, მე ასეთ ინფორმაციას არ ვფლობ. გამიჭირდება რაიმე აზრიანი კომენტარის გაკეთება ამაზე. საერთოდ, მიმაჩნია, რომ მსგავს დაუდასტურებელ დეტალებზე დაყრდნობა მხოლოდ პიარის ელემენტადაა გამოყენებული გარკვეული ძალების მიერ.

– თქვენ ხართ იმ ინტერფრაქციული ჯგუფის წევრი, რომელიც საკმაოდ დიდი ხანია მუშაობს და გარკვეული შეთანხმებებიც იყო მიღწეული საპარლამენტო უმრავლესობასთან. რა მოხდა, რატომ არ იქნა გათვალისწინებული მმართველი გუნდისგან ის შეთანხმება, რაც ფაქტობრივად მიღწეული იყო?

– დიახ, ჩვენ თავიდანვე ვიყავით ჩართული ინტერფრაქციული ჯგუფის მუშაობაში. ჩვენ გვქონდა გარკვეული დღის წესრიგი ანუ საკითხების ჯგუფები, რომლებზეც ეტაპობრივად უნდა გვემსჯელა. პირველი ეტაპი იყო ის საკითხები, რომლებიც საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებას ეხებოდა. მათ შორის საარჩევნო სიებს, ამომრჩეველთა რეგისტრაციისა და იდენტიფიკაციის საკითხებს, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შეზღუდვას, აგიტაციისა და რეკლამის საკითხებს და ა.შ. ყველა ამ საკითხზე იყო მსჯელობები და დიდი მოცულობის სამუშაო ჩატარდა. მინდა გითხრათ, რომ ყველა ეს საკითხი უკვე ინიცირებულია პარლამენტში და მალე აისახება კანონშიც. ამგვარად, ყველა ეს შეთანხმება მმართველ გუნდთან პრაქტიკაში რეალიზებულია, რაც მაძლევს საფუძველს, რომ განვაცხადო, მომავალი არჩევნები იქნება თვისობრივად ახალი და განსხვავებული ყველა იმ არჩევნებისაგან, რომელიც პრაქტიკულად ჩატარებულა ჩვენს ქვეყანაში. ამ საკითხების დახვეწისთვის დიდი სამუშაო გასწიეს ასევე არასაპარლამენტო პარტიათა ჯგუფებმა და პირადად ზაქარია ქუცნაშვილმა. ერთადერთი, რაც მოხდა – რამდენიმე პარტიამ ჩაგდო პარტიათა დაფინანსების საკითხი. ასე რომ, მმართველ გუნდს ვერ ვუსაყვედურებ.. ჯერ ერთი, ყველა მნიშვნელოვანი საკითხი გასულია პარლამენტში, ხოლო მეორე – ქდმ-ს და „დემოკრატიულ მოძრაობას“ რომ არ ჩაეგდო ეს საკითხი, მაშინ ჩვენც მათთან ერთად გავაკრიტიკებდით გია გაჩეჩილაძეს, რომ საფრთხე შეუქმნა საყოველთაო შეთანხმებას. სამწუხაროდ, საკითხი ჩავარდა და ისეთი საჭირო ფორმატი, როგორიც იყო ინტერფრაქციული ჯგუფი, საფრთხის ქვეშ დგას. პრაქტიკულად ეს იყო ერთადერთი ფორმატი, სადაც არასაპარლამენტო პარტიებს შესაძლებლობა ჰქონდათ, მმართველ კოალიციასთან დაგვეყენებინა ჩვენთვის მნიშვნელოვანი საკითხები.

– დააზარალებს უმრავლესობის მსგავსი ქმედება საპრეზიდენტო არჩევნების დემოკრატიულად და სამართლიანად ჩატარებას?

– უმრავლესობას აუცილებლად დააზარალებდა ის, რომ მას არ გადაედგა ნაბიჯები იმ მანკიერი წესების გამოსასწორებლად, რაც წინა ხელისუფლების დროს იყო დადგენილი. მინდა გითხრათ, რომ პრაქტიკულად ყველა ის წინადადება, რომელზეც შეთანხმება იყო ინტერფრაქციულ ჯგუფში (გარდა პარტიების დაფინანსების საკითხისა), გათვალისწინებულია პარლამენტში ინიცირებულ საკითხთა შორის. ვიცი, რომ უმეტესობა ქუცნაშვილის სახელითაა შესული და ამისთვის მას დიდი მადლობა, რადგან ეს ნათლად აჩვენებს კოალიციის სურვილს – გამოსწორებულ იქნეს საარჩევნო გარემო.

– სააკაშვილის უმრავლესობის პირობებში ოპოზიცია მუდმივად საარჩევნო სიისა და საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისთვის იბრძოდა. ეს საკითხები დღესაც საბრძოლველია? თუ არ ვცდები, კახა კუკავა ამბობდა, რომ თუ ასეთ ვითარებაში ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნები, დასავლეთში გააჟღერებენ, რომ არადემოკრატული არჩევნები ჩაატარა ივანიშვილის ხელისუფლებამ.

– საზოგადოებას კარგად ახსოვს ის უმნიშვნელოვანესი პროცესები, რომელიც სააკაშვილის დროს მიმდინარეობდა ე.წ. რვიანის, ექვსიანის ფორმატები, სადაც ოპოზიციური პარტიები მუდმივად სთავაზობდნენ მაშინდელ ხელისუფლებას საარჩევნო ცვლილებებს. ჩვენ წარმოუდგენელი ძალისხმევა მივმართეთ ამ საკითხების მოსაგვარებლად, საარჩევნო სისტემის კუთხით განვიხილეთ ყველა შესაძლო ვარიანტი და ხელისუფლებას ელექტრონული არჩევნების იდეა შევთავაზეთ, რაზეც, სამწუხაროდ, უარი მივიღეთ. ზოგადად რომ შევხედოთ, რა თქმა უნდა, ყველა საკითხი საბრძოლველია, მაგრამ დღევანდელ სიტუაციასა და სააკაშვილის რეალობას შორის არის პრინციპული განსხვავება: დღეს ამ ბრძოლას აზრი აქვს და დღევანდელი ხელისუფლებაც მომართულია იმისაკენ, რომ თვისობრივად შეიცვალოს არჩევნების მანკიერი პრაქტიკა. მას ბევრი მათი დეკლარირებული პრინციპი და კონკრეტული ნაბიჯებიც მოწმობს. და კიდევ ერთი საკითხი: მმართველ კოალიციას მოუწევს, დიდი ყურადღება მიაქციოს იმ ცუდ ტენდენციას, რომელიც ჯერ კიდევ ნაციონალური მოძრაობის დროს დაინერგა. ვგულისხმობ ადამიანებს საარჩევნო კომისიებში, რომლებიც ნაციონალების სასარგებლოდ აყალბებდნენ არჩევნებს. სწორედ ამიტომ მივმართეთ ჩვენ ერთი თვის წინ პროკურატურას, რომ შექმნილიყო სპეციალური ჯგუფი, რომელიც საარჩევნო კუთხით ჩადენილ დანაშაულებს გამოიძიებდა.

– ეს აუცილებელი იყო?

– მიგვაჩნდა, უნდა შექმნილიყო პრეცედენტი, რომ არჩევნების გაყალბებისთვის ვიღაც დაისაჯა; რომ მომავალ არჩევნებზე არავის გასჩენოდა უკანონო აქტივობის სურვილი. სამწუხაროა, რომ პროკურატურამ უყურადღებოდ დატოვა ჩვენი ეს შეთავაზება. მიუხედავად ამისა, დარწმუნებული ვარ, მომავალი არჩევნები მართლაც მაღალი სტანდარტების იქნება. სწორედ ამიტომაა საჭირო ოპოზიციისა და მმართველი გუნდის ურთიერთობის გარკვეული ფორმატების არსებობა და ინტერფრაქციული სამუშაო ჯგუფი ამის კარგი შესაძლებლობა იყო. ვფიქრობ, თუ კოალიციის მხრიდან „ბონუს“ დაფინანსების საკითხი იქნება დათმობილი, ხოლო ოპოზიციის მხრიდან – ქდმ-ს უკვე ყბადაღებული ერთი კომისიის წევრი, ეს ფორმატი შესაძლოა წარმატებულად აღდგეს, რაც დიდი წვლილი იქნება მომავალი არჩევნების მაღალ დონეზე ჩასატარებლად და ალბათ ესაა ის კომპრომისები, რომელიც ორივე მხარემ უნდა გაითვალისწინოს. ეს იქნება ჩვენი შეთავაზება დაპირისპირებული მხარეებისთვის.

„ტრაქტორების საქმესთან“ დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრო განცხადებას ავრცელებს

შინაგან საქმეთა სამინისტრო, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ტრაქტორების შესყიდვის ფაქტთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს, რომელსაც „ნიუსპრესი“ უცვლელად გთავაზობთ:

„2013 წლის 23 ივლისს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე კომპანია „ზეტორის“ საქართველოს წარმომადგენლობის მენეჯერს, ბრალდებულ გივი ქაიხოსროშვილს წარედგინა ახალი ბრალდება ორგანიზებული ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით საბიუჯეტო სახსრების გაფლანგვაში წაქეზების, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების წაქეზების, მტკიცებულებათა ფალსიფიკაციასა და ექსპერტებზე ზემოქმედების განხორციელებისათვის.

ახალი ბრალდების წარდგენას საფუძვლად დაედო საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიებებით მოპოვებული მტკიცებულებათა ერთობლიობა, მათ შორის საგამოძიებო ექსპერიმენტის შედეგი, რომელიც ჩატარდა შპს აგრარული უნივერსიტეტის საცდელი ბაზების სართიჭალის საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე 2013 წლის 17 ივლისს, რომლის შედეგებსაც საზოგადოების ინტერესიდან გამომდინარე ვასაჯაროებთ.

საგამოძიებო ექსპერიმენტის შედეგად: „ZETOR PROXIMA POWER 120“ მარკისა და „NEW HOLLAND TD5 110“ მარკის ტრაქტორების ურთიერთშედარებით დადგინდა, რომ ექსპერიმენტის ოთხივე კომპონენტში, რაც მოიცავდა: საცდელი ხნულების გატარებას, მიწის მოხვნას, ხნულების სიღრმესა და მოხვნის დროს „NEW HOLLAND TD5 110“ მარკის ტრაქტორმა მოიპოვა აბსოლუტური უპირატესობა. ექსპერიმენტის მიმდინარეობამ, რომელშიც მონაწილეობდნენ გამოცდილების მქონე მექანიზატორები, ცხადყო, რომ „ZETOR PROXIMA POWER 120“ მარკის ტრაქტორმა შეფერხებით შეასრულა მიწის სამუშაოები.

საგამოძიებო ექსპერიმენტის შედეგები გამყარებულია მტკიცებულებათა ერთობლიობით, მათ შორის მოწმეთა ჩვენებებით.

ექსპერიმენტში მონაწილე „NEW HOLLAND TD5 110“ მარკის ტრაქტორი, იმ ტრაქტორების გაუმჯობესებული მოდელია, რომელიც 2001-2002 წლებში, დავით კირვალიძის მინისტრობის პერიოდში იქნა შესყიდული სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ.

ხოლო, „ZETOR PROXIMA POWER 120“ მარკის ტრაქტორი სწორედ ის მარკაა, რომლის საქართველოს ბაზარზე შემოყვანას უკვე 2012 წლის ბოლოს ერთობლივად ლობირებდნენ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირები და შპს „მექანიზატორის“ ხელმძღვანელები, ხოლო ჩეხური კომპანიის წარმომადგენლობას საქართველოში ხელმძღვანელობდა შპს „მექანიზატორის“ დირექტორთან – ვაჟა ნახუცრიშვილთან დაახლოებული პირი – ბრალდებული გივი ქაიხოსროშვილი.

ZETOR-ის გამარჯვების უზრუნველსაყოფად, სწორედ ვაჟა ნახუცრიშვილმა და გივი ქაიხოსროშვილმა, ურთიერთშეთანხმებულად და მიზანმიმართულად შეაცვლევინეს „ზეტორის“ სათაო ოფისის წარმომადგენლებს თავისუფალი წვდომის ინტენეტ-რესურსზე გამოქვეყნებული მახასიათებლები და ხელოვნურად გააზრდევინეს ტრაქტორის ცხენის ძალა იმ ნიშნულამდე, რომელიც, მინისტრის ბრძანებით შექმნილი და ნდობით აღჭურვილი პირებით დაკომპლექტებულმა სამუშაო ჯგუფმა ზეტორის სასარგებლოდ მიზანმიმართულად განსაზღვრეს.

მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით გამოძიება ასაჯაროებს ვაჟა ნახუცრიშვილს, გივი ქაიხოსროშვილსა და „ზეტორის“ სათაო ოფისის წარმომადგენლებს შორის სპეციფიკაციების შეცვლასთან დაკავშირებული საუბრის შინაარსს“ – ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

ნიუსპრესი

რა შედეგით დასრულდება ილია II-ისა და ვლადიმერ პუტინის შეხვედრა

დასაწყისი მე-5 გვერდზე

საპატრიარქომ გაავრცელა.

ჩვენი პატრიარქის ბოლო ვიზიტი რუსეთში მიმდინარე წლის იანვარში შედგა. მაშინ ილია მეორე რუსეთში მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ კირილის მიწვევით ჩავიდა და ვიზიტის ფარგლებში რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინსაც შეხვდა.

ამ შეხვედრამ საქართველოში დიდი წიოკი გამოიწვია. განსაკუთრებით ნაციონალები იყვნენ აღშფოთებული. მათ აღშფოთებას კიდევ ერთხელ უნდა ველოდოთ. რადგანაც პატრიარქი პუტინს კიდევ ერთხელ შეხვდება.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II მოსკოვში ვიზიტის ფარგლებში რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს 25 ივლისს შეხვდება.

როგორც „ნიუსპრესს“ საპატრიარქოს პრესსამსახურიდან აცნობეს, ვლადიმერ პუტინი პატრიარქსა და ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაციებს კრემლში მიიღებს. კათოლიკოს-პატრიარქმა ვიზიტთან დაკავშირებით გამგზავრებამდე ჟურნალისტებთან მცირე კომენტარიც გააკეთა.

– ჩვენ მივემგზავრებით მოსკოვში, კიევსა და მინსკში. რუსეთის ეკლესია გაქრისტიანების 1025 წელს აღნიშნავს. შეხვედრები გვექნება რუსეთის პატრიარქ კირილთან და სხვა მღვდელმთავრებთან, ასევე შევხვდებით პრეზიდენტებსაც. იმედია, კარგი შედეგებით დავბრუნდებით, – განაცხადა აეროპორტში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ილია II რუსეთში ბოლოს იანვარში იმყოფებოდა. ის რუსეთის პატრიარქთან ერთად რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს შეხვდა. შეხვედრა დახურულ კარს მიღმა გაიმართა.

– მინდა გადმოგცეთ მოკითხვა ჩვენი ახალი პრემიერ-მინისტრისგან. ის აკეთებს ყველაფერს რუსეთთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლად. ვფიქრობ, რომ პრობლემები, რომლებიც ჩვენ შორის არსებობს, მოგვარდება და ვიცხოვრებთ ძველებურად ძმურად, – უთხრა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს.

მაშინ ვლადიმერ პუტინმა ილია II-ს მიულოცა 80 წლის იუბილე და აღსაყდრებიდან 35 წელი, ასევე რუსეთის საპატრიარქოსგან მიღებული ჯილდო.

– განსაკუთრებული მადლიერება მინდა გამოვხატო იმისთვის, რომ თქვენ ასეთ რთულ ვითარებაში, ვგულისხმობ საქართველო-რუსეთს შორის არსებულ ურთიერთობას, აკეთებთ ყველაფერს, რაც შესაძლებელია გაკეთდეს ჰუმანიტარული, სულიერი და კულტურული კონტაქტების მხარდასაჭერად ჩვენს მომმე ერებს შორის, – მიმართა ვლადიმერ პუტინმა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს.

საქართველოში იმ შეხვედრისგან დიდ შედეგს ელოდნენ. ყველა დარწმუნებულია, რომ რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირებაში თუ ვინმე დაგვეხმარება ეს ჩვენ პატრიარქია. მას იმ ქვეყანაშიც დიდ პატივს სცემენ.

ის შეხვედრა 23 იანვარს გაიმართა. იმ შეხვედრიდან ნახევარი წლის შემდეგ საქართველოს პატრიარქი ისევ ხვდება რუსეთის პრეზიდენტს. ვნახოთ, რა შედეგით დასრულდება ეს შეხვედრა. საქართველოსა და რუსეთს შორის ვითარება ჯერ ისევ დაძაბულია. ქართული მიწა კვლავ რუსების მიერ არის ოკუპირებული.

დავით ნემსაძე: „თავდაცვის სამინისტროში ისევ რჩებიან „მასტერას“ კადრები“

როლანდ ხოჯანაშვილი

შედარებით ამ ეტაპზე ნაკლებს საუბრობენ ბაჩო ახალაიას შესახებ. თუმცა, თავდაცვის მინისტრობის პერიოდზე როცა ედავებიან, ის აცხადებს, რომ მას არ აქვს დანაშაული. ,,ახალი თაობა“ ესაუბრა თავდაცვის სამინისტროდან დათხოვილ საზენიტო სარაკეტო კომპლექსების ინჟინერ-ოპერატორს, განსაკუთრებულ დავალებათა ოფიცერს, ლეიტენანტ დავით ნემსაძეს, რომელიც არც ახალი ხელისუფლების კმაყოფილია, რადგან სიმართლეს არც ,,ახლები“ უყურებენ და სამართალი მისთვის უსაშველოდ იგვიანებს.

– ბატონო დავით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან როგორ და ვინ დაგითხოვათ?

– შეიარაღებული ძალებდან დამითხოვეს 2010 წელს. მიზეზი ოფიციალურად იყო ,,თ“ და ,,ე“ პუნქტი კონტრაქტის მიხედვით, ანუ მეთაურის ღირსების შეურაცხოფა და კონტრაქტის მრავალჯერადი დარღვევა. მართალი გითხრათ, ეს იყო მიზეზი იმ მიზეზთა გამო, რაც ზეც მე უარი ვთქვი! არ ვემორჩილებოდი ზემდგომ ხელმძღვანელობას რიგ საკითხებში: ეს იყო ჯარისკაცებში თანხის უკანონო მოგროვება ფსევდომოტივაციით. თითქოსდა, თანხა სჭირდებოდათ საზენიტო კომპლექსების ,,ბუკ მ1“ სარეკეტო სისტემის სარემონტოდ; საბრძოლო მორიგეობებზე პერმანენტულად საწვავი ავზებიდან დიზელის ქურდობა აპრობირებული მეთოდებით და ჯარისკაცების ზეწოლა ანუ ,,ვერბოვკა“ რუსული მეთოდით; ხელმძღვანელობის მიერ ხდებოდა სხვადასხვა ბინძური მეთოდებით ადამიანების დათრგუნვა. ჩემი დათხოვნაც სახელდახელოდ შეკერეს თეთრი ძაფით და სიანმდვილესთან არანაირი შეხება არ ჰქონდა. გავასაჩივრე ჩემი სამანდატო დათხოვნის ოქმი, თუმცა ძალაში დატოვა ანუ დაეთანმა ჩემს წინააღმდეგ გამოტანილ გადაწყვეტილებას დღევანდელი გენშტაბის უფროსი ძნელაძე! მიჭირს დეტალებზე ვისაუბრო იმიტომ, რომ დღემდე ათასი მუქარა განვიცადე ამ ადამიანების მხრიდან, ათასი საბოტაჟი და ათასი პროვოცირება. ჩემს საქმეში ბევრი დეტალია, რაც სიმართლეს მოჰფენს ნათელს. მაგალითად, აღურიცხავი ტყვია-წამლის ჯარისკაცებზე ჩადება კომპრომეტირების მიზნით. დღეს ვინმეს უკვირს, რომ სადმე ორმოში სამხედრო საბრძლო მასალას პოულობენ? თავი და თავი თავდაცვის სამინისტროდან მოდის, ანუ საიდან ჩნდებოდა აღურიცხავი მასალა ჯარისკაცთა ზურგჩანთებში, მაშინ როდესაც ის იქ არ უნდა ყოფილიყო!

– სახელდობრ შეგიძლიათ ვინმეს ხელი დაადოთ?!

– ვგულისხმობ კაპრალ ონიანს, თემა ძალიან ვრცელია და არსებობს ამის ნივთმტკიცებები. პოლკოვნიკი ურიდია, შენგელია, ფოჩხუა, ვიცეპოლკოვნიკი ავთანდილ ჯიქია და მაიორი მაჩიტიძე– სწორედ ესენი იყვნენ უამრავი უბედურების ორგანიზატორები, მაგრამ ხელშემწყობი ამათი იყო სისტემა და იმდროინდელი ახალაიას დამორჩიებული სამხედრო პოლიცია, რომელიც ამათ ბინძურ საქმეებს ,,აპრავებდა“. ამის მტკიცებულებები არსებობს, ასე რომ ჰაერზე არ ვსაუბრობ.

პირველი დათხოვნიდან ზუსტად 3 თვეში აღმადგინეს, რადგან საქმეში ათასი ბრალული მტკიცებულება იყო თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსანთა მიმართ, ანუ თქვენ წარმოიდგინეთ, მეთაურის ღირსების შეურაცხმყოფელი და კონტრაქტის მრავალჯერადი დამრღვევი 3 თვეში აღდგა სამხედრო პოლიიის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტში!

– როგორ, თქვენი გათავისუფლების მერე აღდგენა მოხდა?

– დამიბარეს ღამის სამ საათზე, ვინმე მასტერასთან, რომელიც გამეცნო გია დგებუაძედ. მან მითხრა, რომ მე მართალი კაცი ვიყავი და რომ ის ჩემს საქმეს გაეცნო, თუმცა ავიაციის პოლკოვნიკების დასჯა სხვა საკითხი იყო და, რომ მე ეს არ უნდა მომეკითხა! ის მირჩევდა, რომ ჩემს ხელთ არსებული მასალა არ გადამეცა არავისთვის, კერძოდ, ჟურნალისტებისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში გამანადგურებდა. მას საუბარი ჰქონდა ჩემ მიერ გადაღებულ მასალებზე, რომლებიც ამხელდა სისტემურ დანაშაულს, როგორც კორუფციის, ისე სამხედრო დანაშაულებათა თვალზასრისით. მოკლედ, სამსახურში აღვდექი დგებუაძის პირადი კონტროლის ქვეშ.

– გაგრძელდა თქვენსა და ,,მასტერას“ შორის ურთიერთობა?

– 26 მაისის შემდეგ დამიბარა პირადად მან და დაზვერვის უფროსმა ენდელაძემ. მეუბნებოდნენ, რატომ არ ვწერდი პოლიტიკური შინაარსის ცნობებს. ვუთხარი, რომ სამხედრო პირი ვიყავი და არ მევალდებულებოდა პოლიტიკაში ჩამეყო ცხვირი. დგებუაძემ მითხრა, როცა სამშობლოს უჭირს, უნდა ჩაერიოო. ვუპასუხე, მაშინ ამას პოლიტიკური სექტორიდან ოპოზიცია მიხედავს-მეთქი. ამ სიტყვების შემდეგ ფეხები დამიდო ცხვრწინ და მითხრა: შენთან ყველაფერი გარკვეულიაო.

– გქონდათ შეხვედრა ახალაიასთან?

– რამდენიმე დღეში ახალაიას კაბინეტში აღმოვჩნდი, სადაც ახალაიას დღევანდელმა ვიაპარლამენტარმა ბუცხრიკიძემ უთხრა, რომ მე დავუპირისპირდი ავიაციის პოლკოვნიკებს. ახალაიამ მკითხა, თუ რას ვერჩოდი იმ პატიოსან ადამიანებს. ჩემი პასუხი იყო, რომ ისინი იყვნენ ქურდები, დიზელის საწვავის ქურდები. მაშინ ახალაიამ მკითხა, რომ ამის თქმა გმირობა მეგონა. ვუთხარი, რომ თუ გმირი არა, არც ლაჩარი იყავი. ამის მერე ცარიელი ფურცელი მომცა ხელში, თულაჩარი არ ხარ, მაშინ აგერ განცხადება დაწერე და წადი სამსახურიდანო. მე ხაზი გავუსვი პატაკს, წასვლის შესახებ არ დავწერ– მეთქი! ახალაიამ გადახედა ბუცხრიკიძეს: რამდენს ბედავს ეს, გაიყვანეთ სასწრაფოდო. გამიყვანა დაცვამ, ორ დღეში დამითხოვეს. მიზეზი ორი თვის მერე გავიგე, თურმე კადრების შემცირება მოიმიზეზეს.

– ანუ პოლიტიკური თვალსაზრისით გამართლების მიზეზს ვერ ხედავთ...

– ის რომ გენახათ, რა დარღვევები იყო, იქ უნდა გემსახურათ. ჩემი ამბების მოსმენის მერე განგვიცხადა პროკურორმა: მე ახალაიას სისტემაში ჯარისკაცთა დევნას და კორუფციას ვერ წარმოვიდგენო, მაგრამ ფაქტი სახეზე მქონდა და რეალურად ჩანდა ყველაფერი ჩემს თვალში.

– ამბობენ, რომ ძველი კრიმინალი კადრები ისევ რჩებიან სამინისტროში.

– კი, მასტერას კადრებს ახლაც მფარველობენ. ჩემი ინფორმაციის ფლობა რა მოსატანია: თავად გადაამოწმეთ, ქვედა ეშელონები დაითხოვეს, მასტერას ქვედანაყოფიდან ზედა ეშელონი იქ რჩება ანუ რა გამოდის? ქვედა ეშელონი დავალებას ვისგან მიიღებდა, თუ არა ზედა ეშელონისაგან? ეს იგივეა, ცხენს ვერ მოერიო და უნაგირი დაამტვრიო. თუ დრაკონის მოკვლა გინდა, რაღა კუდში ურტყამ, თავში დაარტყი!

– კონკრეტულად შეგიძლიათ დაასახელოთ ფაქტი?

– უფრო კონკრეტულად დაგისახელებთ: მასტერას მარჯვენა ხელს, ლევან გაბუნიას, ალასანიას მრჩეველი ვინმე გეგეჭკორი მფარველობს და ის მისი რეკომენდაციით სამხედრო დაზვერვაში დაწინაურდა. მექნება პრეტენზია გაბუნიას მიმართ, როცა ჯოჯოხეთს გაგატარებინებენ... აბა, რით აიხსნება ის, როდესაც პირად საქმეს დგებუაძესთან ერთდ ლევან გაბუნია გაარჩევს!

– არადა, თავდაცვა საკმაოდ გამართული სტრუქტურა იყო, ასე ჩანდა გარედან!

– გამართული? ეტყობა, შეფასებაში ძალიან აჭარბებთ! დღეს ჩვენ ქვეყანაში გამართული რთულად შეიძლება რამეს უწოდო. მითუმეტეს, იმ დაწესებულებას, სადაც უამრავი დარღვევა ხდება. დღემდე საუბარი მაქვს მუქარასა და პოლიტიკურ დაბლოკვაზე. ქვეყანა, რომელიც სამარცხვინოდ ომს აგებს, იქ არ შეიძლება არსებობდეს აზრი სამხედრო სისტემის გამართულებაზე! ომი არც ერთ დღეში იწყება, არც ერთ დღეში მთავრება და წაგებულ არმიას წლები, ათეულობით წლები, სჭირდება გგადალახოს ეს ყველაფერი. თქვენ კი გამართულობაზე საუბრობთ. არ მინდა, ჩავთვალო, რომ თქვენ პროვოცირებთ ამ საკითხით...

სადაც სეგო თეთრაძის თანაგამომიებელი ზურაბ გოგიჩაიშვილი იქნება შენი გამომიებელი, რომელიც დღესაც დასაქმებული იქნება და რომელიც მეუბნებოდა: ,, მეტყვის მასტერა? დაგიჭრ შენ. მეტყვის მასტერა? დავიჭერ იმათ!“

ძლიერ დემოკრატიაზე, თუ შეიძლება, ნუ ვისაუბებთ. ანდა როდესაც მინისტრის მდივანი 3 თვის მოცდის შემდეგაც გეტყვის, რომ ალასანიას გრაფიკი პრობლემატურია, სად ვეძებოთ სამართალი? უბრალოდ, დღეს თავდაცვის სამინისტრო ვაჭრობს როგორც ვენეციელი ვაჭარი. ის ვაჭრობს ათასი მეთოდით საკუთარ ჯარისკაცებთან და საკუთარ მოქალაქეებთან. ეს ცხადია და ეს რეალობაა.

მიკროავტობუსები გაფიცვას აპირებენ?

მათ კონდიცირების გადასახადი დაუწესეს

მერი ნამორაძე

რამდენიმე დღის წინ №26 მიკროავტობუსების გაფიცვას „თბილისის მიკროავტობუსმა“ იმით უპასუხა, რომ მძღოლებს „საზაფხულო მოსაკრებლის“ დაწესება ახარა. ანუ იმ ხაზებზე, სადაც დასვენების სეზონის დადგომის გამო მგზავრთა ნაკადი შემცირდა, მძღოლებს გასდასახადი უნდა შემცირებოდათ 20-30 პროცენტით. თუმცა, სამოქალაქო ჩართულობის ცენტრი ირწმუნება, რომ ეს მორიგი ტყუილი იყო მიკროავტობუსის შეფების მხრიდან და მოსაკრებლის შემცირების მაგივრად, მძღოლებს ახალი – კონდიცირების მოსაკრებელი დაუმატეს. გუშინ სამოქალაქო ჩართულობის ცენტრის წარმომადგენელმა, გიორგი ზერეკიძემ მერიასა და მიკროავტობუსის შეფობა ერთმანეთთან გარიგებაში დაადანაშაულა.

გიორგი ზერეკიძე:

– მინდა გაცნობოთ იმ შავბნელ საქმეებზე, რომელშიც გარიგებულები არიან თბილისის მერიის თანამშრომლები და კონკრეტულად თბილისის მერი და შპს „თბილისის მიკროავტობუსი“, რომლის ხელმძღვანელია დავით ასანიძე. ჩვენმა ორგანიზაციამ მოიპოვა ინფორმაცია, რომ შპს მიკროავტობუსის ხელმძღვანელი დავით ასანიძე და თბილისის მერიაში ტრანსპორტირების სამსახურის უფროსი აკაკი ჯოხაძე არიან გარიგებაში და გარიგება არის შემდეგი: მიკროავტობუსის მძღოლებს ავალდებულებენ, მათ გადაუხადონ კოლოსალური თანხა. ეს ყველაფერი იგეგმება და ტარიფებს უსაზღვრავენ მერიაში ბატონ გიგი უგულავასთან კაბინეტში. ასევე შპს-ს მფლობელობაშია ავტოფარეხები, სადაც მძღოლებს მანქანის შეკეთება სამაგი ფასი უჯდებათ, ვიდრე სხვაგან. მძღოლს არ აქვს საშუალება სხვაგან წავიდეს და შეაკეთოს მანქანა. ასევე ახლა დაუწესეს კონდიცირების გადასახადი, მაგრამ ეს თანხა არსად არ არის დაფიქსირებული. ჩვენი ორგანიზაცია მიმართავს ქალაქ თბილისის მერიას და შპს „თბილისის მოკროავტობუსის“ ხელმძღვანელს, დავით ასანიძეს, რომ მოგვაროს აღნიშნული პრობლემები მძღოლებთან, რითაც ხელი შეეწყობა ტარიფების დაწევას და მიეცემათ ჩვენს მოქალაქეებს საშუალება უფრო ნაკლებ ფასად გადაადგილდნენ მარშრუტებზე. ასევე მივმართავთ თბილისის მერს, გიგი უგულავას, თავი დაანებოს საქართველოს მოსახლეობის ხარჯზე თავისი ჯიბის გასქელებას, ასე ვთქვათ, და ტერორს. წინააღმდეგ შემთხვევაში ამას მოჰყვება საპროტესტო აქციები და მიკროავტობუსის მძღოლებისგან გაფიცვა, რითაც ისევ მოსახლეობა დაზარალდება, – აღნიშნა ზერეკიძემ.

თუმცა „თბილისის მიკროავტობუსს“ არანაირი სურვილი არ გააჩნია ტარიფის დაწევისა. შპს-ს მესვეურები დღემდე გაიძახიან და მოსახლეობას არწმუნებენ, რომ მიკროავტობუსების შენახვა ძვირი ჯდება და ტარიფის დაწევის შემთხვევაში, კომპანია ვერ იარსებებს. შე მამაცხონებულო, თუ მის შეკეთებას სამმაგ, ხელოვნურად გაზრდილ ფასს უსვამ მძღოლს, შენახვაც ძვირი დაჯდება, აბა რა იქნება. და ვის ხარჯზე? მოქალაქეების ჯიბის ხარჯზე. რომ დასცლოდათ, 80 თეთრი კი არა და 1 ლარამდე და ზოგიერთ ხაზზე მეტადაც აპირებდნენ ოქტომბრის არჩევნების შემდეგ მიკროავტობუსით მგზავრობის ტარიფის გაზრდას, მაგრამ ამის გასაქანი აღარ მიეცათ.

სხვათა შორის, შემოდგომაზე, როცა პირველად მოაწყვეს გაფიცვა მიკროავტობუსის მძღოლებმა, მაღალი ტარიფებისა და ავტოფარეხებში მომსახურების მაღალი გადასახადი გამო, ითქვა, რომ პრობლემა მოგვარდა და მძღოლების მოთხოვნები გათვალისწინებული იქნებოდა. როგორც ჩანს, შპს-მ მაშინ დაპირებით გააჩუმა მძღოლები, მაგრამ როდემდე გასტანს ეს პოლიტიკა, ან როდემდე აიტანენ მძღოლები ასეთ პირობებში ყოფნას, მალე გამოჩნდება.

– ახლახან გააკეთა ასანიძემ განცხადება და თქვა, რომ 30 პროცენტით დავუწიეთო მძღოლებს გადასახადი. ეს არის მორიგი ტყუილი და ბინძური პიარი. თანხა რეალურად არ დაწეულა, ისევ გაუსაძლის მდგომარეობაში არიან მძღოლები და მისულნი არიან იმ ზღვარზე, რომ შესაძლოა გაფიცვა მოაწყონ და ის ადამიანები დაზარალდებიან, რომლებიც გადაადგილდებიან მიკროავტობუსით, — აღნიშნა ზერეკიძემ.

რატომ აპირებენ მძღოლები გაქტიურდნენ ახლა და რატომ იყვნენ ჩუმად, თუ პრობლემები მოუგვარებელი რჩებოდა? როგორც ზერეკიძემ აღნიშნა, ბოლო წვეთი უკმაყოფილების ხელახლა გასაღვივებლად კონდიციონერის მოსაკრებელი აღმოჩნდა, რომელიც ახლა დაუწესეს მიკროავტობუსებს. ზერეკიძემ განმარტა, რომ რადგან მიკროავტობუსები შპს-ს მიკროავტობუსის მფლობელობაშია, აიძულებენ მძღოლებს, გადაიხადონ კონდიცირების გადასახადი:

– იქნებ არ რთავს მძღოლი კონდიციონერს? მაგრამ ვინაიდან ზაფხულია და შესაძლებელია კონდიციონერი იხმაროს, უწესებენ დახლოებით 15 ლარიან გადასახადს. ოფიციალურად ამას სთხოვენ, მაგრამ კომპანიას ეს თავის შემოსავლებში არსად აქვს ფიქსირებული. ოფიციალურ დოკუმენტებში ეს ფული არ არის ასახული. თან ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, რომ მძღოლები აცხადებენ – თუ ჩვენ შეგვიმცირეს თანხები, 50 თეთრამდე დავწევთ ტარიფსო. მგონი, ყველას ინტერესში უნდა იყოს ეს, ვისაც სურს ქვეყნის წინსვლა და საზოგადოებისთვის შემამსუბუქებელი დანაკლები გადასახადი იყოს, მაგრამ მათ არ ეტყობათ, რომ არ სურთ, რადგან ფიქრობენ მხოლოდ საკუთარ ჯიბეზე და ოჯახებზე. შპს-ს ხელმძღვანელობას მოვუწოდებთ, რომ სწორად წარმართოს კომპანიის საქმიანობა და შესაბამისად იქნება სტაბილური სიტუაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში იქნება გაფიცვა, – დასძინა ზერეკიძემ.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებს სარდაფების რეგისტრაციის უფლება მიეცათ

მერი ნამორაძე

ყოფილი ხელისუფლების ერთობ დიდი ინტერესი თითო გოჯი მიწის მიმართ სარდაფების საკუთრების უფლების რეგისტრაციის გაუქმებაშიც გამოიხატა. სარდაფების საკუთრებაში რეგისტრაციის უფლება 2008 წელს წაართვეს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებს. ეს ხარვეზი უკვე გამოსწორებულია. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებს და მათ წევრებს დღეიდან შესაძლებლობა აქვთ საჯარო რეესტრში სარდაფებზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია განახორციელონ. ცვლილებები გუშინ ჟურნალისტებს სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა ეკატერინე დანელიამ და საჯარო რეესტრის სააგენტოს ხელმძღვანელმა ეკატერინე კერესელიძემ გააცნეს.

როგორც დანელიამ აღნიშნა, 2008 წლიდან საქართველოს ყოფილი მთავრობის გადაწყვეტილებით, საჯარო რეესტრი სარდაფების საკუთრების უფლების რეგისტრაციას არ ახორციელებდა ამ მოტივით, რომ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კუთვნილ სარდაფზე შესაძლოა სახელმწიფოს ჰქონოდა საკუთრების რეგისტრაციის მოთხოვნის ინტერესი. კომერციული მიზნებისთვის გამოყენების შესაძლებლობის არსებობისას, აღნიშნულ ფართზე სახელმწიფო ახორციელებდა მისი საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციას და შემდეგ მის პრივატიზებას ახდენდა.

„მთავრობა აღნიშნულ ფართს ირეგისტრირებდა, როგორც ინდივიდუალური მესაკუთრე და შემდეგ ახდენდა მათ პრივატიზებას, თუკი მას ჰქონდა კომერციული ღირებულება. მსგავსი პრაქტიკა, ძირითადად, იმ ქალაქებში იყო გავრცელებული, სადაც უძრავი ქონების ბაზარი იყო განვითარებული და უძრავი ქონების კომერციულ ფასად გაყიდვა იყო შესაძლებელი“, – განაცხადა დანელიამ.

როგორც ეკატერინე დანელიამ განმარტა, ქონების რეგისტრაციასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ხარვეზები გამოსწორებულია. მისი თქმით, ძირითად პრობლემას სარდაფების დეფინიციის არარსებობა ქმნიდა. დანელიას განცხადებით, მთავრობის დადგენილებაში განხორციელებული ცვლილებით განისაზღვრა ის საინჟინრო-ტექნიკური პარამეტრები, რომლებიც აუცილებელია სარდაფის სტატუსის მინიჭებისთვის. კერძოდ, დადგენილებაში სარდაფი განმარტებულია, როგორც მიწისქვეშა სართულში განთავსებული სათავსო თუ სადგომი, რომლის ჭერის ამოწევის საშუალო სიმაღლე მიწის ზედაპირიდან 70 სმ-ს არ აღემატება.

დანელიას თქმით, მოცემული განმარტების საფუძველზე, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრებისთვის და საჯარო რეესტრისთვის მარტივდება სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი უძრავი ქონების იდენტიფიცირება და მისი საკუთრების უფლების რეგისტრაცია. როგორც დანელიამ აღნიშნა, 2008 წლიდან დღემდე ეკონომიკის სამინისტროში შესულია 600-მდე განცხადება სარდაფის, როგორც სამეურნეო სათავსის საკუთრების უფლების რეგისტრაციაზე თანხმობის მისაღებად.

საჯარო რეესტრის სააგენტოს ხელმძღვანელმა ეკატერინე კერესელიძემ განაცხადა, რომ დაინტერესებულ პირებს უკვე შეუძლიათ წარადგინონ უწყებაში სარდაფის აზომვითი ნახაზი და შესაბამისი დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს, რომ უძრავი ქონება სარდაფის კრიტერიუმებს შეესაბამება. დამადასტურებელი დოკუმენტი გაცემული უნდა იყოს იმ აზომვითი კომპანიის მიერ, რომელმაც მოცემული ქონების აზომვა განახორციელა. მათ კი, ვისაც შესაბამისი განცხადება უკვე შეტანილი ჰქონდათ თავის დროზე საჯარო რეესტრში, სარდაფზე რეგისტრაციის მოპოვება ძველი აზომვითი ნახაზის ან სარდაფის კრიტერიუმების ამსახველი შესაბამისი დოკუმენტაციით შეუძლიათ. რაც შეეხება სახელმწიფოს მიერ პრივატიზების შედეგად უკვე გასხვისებულ სარდაფებს, მათი საკითხი მყიდველის უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად აღარ გადაიხედება.

რაც შეეხება ე.წ. იტალიურ ეზოებში სარდაფების რეგისტრაციის საკითხს, ამჟამად მუშავდება საკითხი, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ქონება საერთო მოხმარების ფართში შევა და აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს ინტერესი მსგავსი ტიპის ფართებთან აღარ ექნება.

სვანეთის განახლებული მუზეუმი საერთაშორისო სემინარს უმასპინძლებს

ეკა ირემაშვილი

24-27 ივლისს სვანეთის განახლებულ მუზეუმში საქართველოს ეროვნული მუზეუმი საერთაშორისო სემინარს გამართავს. ეროვნული მუზეუმის წარმომადგენლის ანა ვერულაშვილის ცნობით:

– საერთაშორისო სემინარი საქართველოში გოეთეს ინსტიტუტის მხარდაჭერით, ასევე ბერლინის სახელმწიფო მუზეუმებთან და რუსიის კულტურული მემკვიდრეობის ფონდთან თანამშრომლობით ტარდება. კონფერენციაში ქართველ და გერმანელ კოლეგებთან ერთად მონაწილეობას მიიღებს სამუზეუმო სფეროს 30-მდე სპეციალისტი აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, რუსეთიდან, უკრაინიდან, ბელორუსიიდან, ყაზახეთიდან, უზბეკეთიდან. სემინარის განმავლობაში სტუმრები განიხილავენ საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფუნქციონირებას, როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ინოვაციურ მოდელს, გაეცნობიან ახალციხის, ვანის და სვანეთის მუზეუმებს.

სემინარი „სამუზეუმო სფეროს პროფესიონალთა ფორმირების ცენტრის ფარგლებში ჩატარდება.

– აღნიშნული ცენტრის შექმნას წინ უძღოდა 2012 წლის სექტემბერში თბილისში საერთაშორისო კონფერენცია „რას ნიშნავს მუზეუმი დღეს? წარსულის შენარჩუნება და მომავლის შექმნა“, ამ წარმომადგენლობით ფორუმში მონაწილეობდნენ გოეთეს ინსტიტუტის პრეზიდენტი კლაუს დიტერ ლემანი და მსოფლიოს წამყვანი მუზეუმების ლიდერები. გადაწყდა, შექმნილიყო პროგრამა, რომელიც იმუშავებდა მოდელზე თუ როგორ შეიძლება იქცეს პოსტსაბჭოთა მუზეუმი თანამედროვე, სამეცნიერო, ინოვაციურ, შემოქმედებით და დამთავლიერებლებისათვის საინტერესო ინსტიტუციად, რომელიც აქტიურადაა ჩართული ქალაქის ურბანულ და სოციალურ ცხოვრებაში, – ამბობს ეროვნული მუზეუმის წარმომადგენელი.

პროექტის მხარდამჭერია გოეთეს ინსტიტუტი საქართველოში, რომელიც შტეფან ვაკციცის ხელმძღვანელობით აქტიურად უჭერს მხარს სამუზეუმო საქმიანობას რეგიონში.

– სამუზეუმო სფეროს პროფესიონალთა ფორმირების ცენტრი საქართველოს ეროვნული მუზეუმის ბაზაზე, ბერლინის მუზეუმების წარმომადგენლებთან მჭიდრო თანამშრომლობით ფუნქციონირებს. ამ პროექტს ეროვნული მუზეუმის დირექტორი დავით ლორთქიფანიძე ხელმძღვანელობს. ცენტრის შემდეგი სემინარი კი თბილისში 2013 წლის ნოემბრის ბოლოს გაიმართება, – აცხადებს ანა ვერულაშვილი.

ეროვნული მუზეუმის თბილისის ისტორიის მუზეუმმა უკვე უმასპინძლა გამოფენას „თაობათა დიალოგი“, რომელიც საქართველოში ლიტვის საელჩოსთან ერთად მოეწყო.

– ამ გამოფენაზე წარმოდგენილია 1960 წლიდან 2012 წლის ჩათვლით ლიტვაში მოღვაწე პროფესიონალი ფოტოგრაფების ნამუშევრები, რომლებიც ლიტვის ყოველდღიურობას, ქვეყანაში არსებულ ცვლილებებს ასახავენ. ისინი ლიტვური ფოტოგრაფიის კლასიკოსებად არიან მიჩნეულნი. ლიტვაში ამ პერიოდში, ფოტოგრაფთა სამი თაობა მოღვაწეობს და სამივეს საკუთარი ხედვა, ვიზუალური ენა და სტილი გააჩნია. პოლიტიკურმა და სოციალურმა სინამდვილემ, ყოველდღიურობამ და მოვლენებმა თავისი ასახვა ჰპოვა 30 ფოტოგრაფის ნამუშევრებში. დამოუკიდებლად იმისაგან, თუ გამოსახვის რა საშუალებას იყენებენ, მათ აერთიანებთ დამოკიდებულება ცხოვრებასთან, ისტორიულ რეალობასთან, იქნება ეს სასკოლო დღის დასასრული, ბაზარი, ოჯახური თავყრილობა, თუ მკვეთრი პორტრეტები. ფოტოგრაფთა ახალი თაობა 1980-92 წლებში ჩამოყალიბდა და მათი შემოქმედება ხასიათდება მეტი ანალიზით, თამაშის წესებით, რომლებიც თავად შექმნეს. ფოტოგრაფთა ბოლო თაობის წარმომადგენელთა ნამუშევრები კი გამოირჩევა გათვლილი, გააზრებული მიდგომით, გარესამყაროს ანალიზით. გამოფენა ,,თაობათა დიალოგი“ წარმოადგენს ლიტვა-საქართველოს ურთიერთობების კიდევ ერთ, ახალ კულტურულ ეტაპს. გამოფენა 20 აგვისტომდე გაგრძელდება, – აღნიშნა ანა ვერულაშვილმა.

ეროვნული მუზეუმის ეზოში პროექტის „კულტურა დროის გზაჯვარედინზე, ხელოვნება, როგორც იეზიდების კულტურის დაცვისა და აქტუალიზაციის მეთოდი“ პრეზენტაცია შედგა.

ღონისძიების ორგანიზატორების თქმით, მუზეუმის განახლებული ეზოს მინიმალისტური სტილი და პროექტის ტექნო-ესთეტიკა კარგად ესადაგება ერთმანეთს და მთლიანობაში ეთნიკურ-მატერიალური კულტურის ინოვაციური, თანამედროვე სახით დემონსტრირების საშუალებას იძლევა, რაც გულისხმობს მუზეუმის ეზოში დეფილეს, ელექტრონული მუსიკის ცოცხლად შესრულებას, ფოტოგამოფენასა და ვიდეო-არტის ჩვენებას.

ღონისძიებისათვის იეზიდების უძველესი სამოსისა და ზოგადად სიმბოლიკის გავლენით დიზაინერმა გელა კუპრაშვილმა ახალი კოლექცია შექმნა. თბილისელი იეზიდი მუსიკოსების მიერ ცოცხლად შესრულებული ფოლკლორი კი ელექტრო-მუსიკოსმა დიმა დადიანმა გამიქსა და მისგან სინგლი და კოლექციის ჩვენებისთვის კომპოზიცია შექმნა. ტატო კოტეტიშვილმა ექსპერიმენტული ფოტო-სესია ჩაატარა, არტისტმა დავით ჩიხლაძემ კი პროექტისთვის ერთეკრანიანი ვიდეო-ინსტალაცია „ტაუსიმელეკ“ წარადგინა. პროექტით დაგეგმილ აქტივობებში მონაწილეობდნენ თავად თბილისელი ეზიდები.

– ეს პროექტი არის ქართველი არტისტებისა და თბილისელი იეზიდების ერთი დიდი კოლაბორაციული ნამუშევარი, რომელიც საფუძვლიანად გააძლიერებს საზოგადოებაში ერთიანობის შეგრძნებას, და გახდება ერთგვარი მოდელი სხვა ეთნიკური თემებისათვის, – განაცხადა ერთ-ერთმა ორგანიზატორმა გელა კუპრაშვილმა.

პროექტის ავტორები და უშუალო იმპლემენტატორები არიან არტჯგუფი – დიზაინერი გელა კუპრაშვილი, მუსიკოსი დიმა დადიანი, ფოტოგრაფი ტატო კოტეტიშვილი, პერფორმერი დავით ჩიხლაძე, კურატორი თეონა ჯაფარიძე. პროექტი განხორციელდა „საქართველოს იეზიდთა სახლთან“ ერთობლივი თანამშრომლობით. პროექტი მომზადდა „ეროვნული ინტეგრაციის გაძლიერება საქართველოში“ პროექტის მცირე გრანტების მექანიზმის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებენ „საქართველოს გაეროს ასოციაცია“ და ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით.

ნინო ბურჯანაძე: „ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ხელისუფლებამ ამ ადამიანებს აგრძნობინოს, რომ ისინი ამ ქვეყნის შვილები არიან და მათზე ზრუნავენ“

„დემოკრატიული მოძრაობის“ თავმჯდომარე და პრეზიდენტობის კანდიდატი ნინო ბურჯანაძე, გუშინ, თევდორე მღვდლის ქუჩაზე, ყოფილი რკინიგზის საავადმყოფოს სამშობიაროსახლში კომპაქტურად ჩასახლებულ სოციალურად დაუცველ დევნილ მოსახლეობას შეხვდა.

ნინო ბურჯანაძის განცხადებით, მას მოსახლეობამ თავად სთხოვა ენახა, თურა აუტანელ პირობებში უწევთ ცხოვრება.

„ამ ადამიანების უმძიმესი ყოფის შესახებ, მე შემთხვევით გავიგე. მათ მთხოვეს მოვსულიყავი და მენახა თურა-გორ ცხოვრობდნენ და მათივე თხოვნა იყო ჟურნალისტების მეშვეობით დაგვფიქსირებინა ის უმძიმესი მდგომარეობა, რომელშიც ეს ადამიანები იმყოფებიან.

მართლაც ეს, საცხოვრებლად უვარგისი ნაგებობაა. არ ვიცი როგორ ახერხებენ ეს ქალბატონები, რომ ბავშვებიც მოვლილები ჰყავდეთ და ამ გაჭირვების მიუხედავად, აღფრთოვანებული ვიყავი, რომ აქ მცხოვრები მოსახლეობა ღიმილით შეგვხვდა.

მე ვნახე ოთახი, სადაც უბრალოდ შეუძლებელია ცხოვრება. სოციალურმა აგენტმა, იმის გამო, რომ მოქალაქემ ნაგავსაყრელზე იპოვა რაღაც სამშენებლო მასალა და მისი ხელით გააკეთა რემონტი, ოჯახს 120 ლარიანი დახმარება მოუხსნა.

დარწმუნებული ვარ, რომ ხელისუფლებას ნამდვილად აქვს რესურსი, ასეთი ადამიანებისათვის სპეციალური პროგრამა შეიმუშაოს, რათა, ამ ადამიანებს, შესაძლებლობა ჰქონდეთ, ელემენტარულად ფართი დაიკანონონ, ან სოციალურად დაუცველებისათვის დროებითი საცხოვრებლები აშენდეს.

ფაქტია, რომ ამ ადამიანებს ყურადღება სჭირდებათ. ჩვენ შევთანხმდით, რომ არც მოქალაქეობის დატოვებაზე, არც სხვა ქვეყნისათვის მიმართვაზე საუბარი არ იქნება და ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ხელისუფლებამ ამ ადამიანებს აგრძნობინოს, რომ ისინი ამ ქვეყნის შვილები არიან და ხელისუფლება მათზე ზრუნავს“ – განაცხადა პრეზიდენტობის კანდიდატმა.

ნინო ბურჯანაძესთან ერთად, სოციალურად დაუცველი მოსახლეობა, „დემოკრატიული მოძრაობის“ მთავარი საბჭოს წევრმა თამარ ცინცაბაძემ, „სახალხო კრების“ აღმასრულებელი საბჭოს წევრმა გია ბურჯანაძემ, „დემოკრატიული მოძრაობის“ თბილისის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა გიგლა ბარამიძემ, დიდუბე ჩუღურეთის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა, ასევე „დემოკრატიული მოძრაობისა“ და „სახალხო კრების“ სხვა წევრებმა მოინახულეს.

ნიუსპრესი

განცხადებები

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო განმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგენმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის განმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის განმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრჩებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასაკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის განმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის განმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.



ᲡᲐᲑᲐᲜᲙᲝ ᲠᲔᲙᲕᲘᲖᲘᲢᲔᲑᲘ:
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000

თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ᲮᲝᲑᲘᲡ ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡ ᲮᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲗᲐ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲕᲐᲠᲘ ᲘᲚᲣᲛᲔᲜᲘᲐ ᲐᲜᲐ (ᲛᲣᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ)

ქართული გუნდების საკონტროლო მატჩები

ქუთაისის „ტორპედომ“ მეორე უცხოურ შეკრებაზე გამგზავრებამდე საკონტროლო მატჩი საკუთარ „ცენტრალურზე“ პირველლიგელ ხონის „იმერეთთან“ გამართა.

ხელოვნური განათების ფონზე მიმდინარე დღევანდელ ამხანაგურ შეხვედრაში, რომელსაც 500-მდე გულშემატკივარი დაესწრო, ჟერარდ სარაგოსა მულეტმა 18 ფეხბურთელი გამოსცადა, მათ შორის დებიუტი ჰქონდათ: ერეკლე სულთანიშვილს, ლუკა კიკაბიძესა და ომარ პატარკაციშვილს. ანგარიში 27-ე წუთზე საჯარიმოს გარედან ნიკა ფირცხალავას დარტყმით გაიხსნა, ბურთი სტუმარ მცველს მოხვდა და რიკოშეტის შედეგად კარში აღმოჩნდა – 1:0. 43-ე წუთზე, მეკარესთან პირისპირ გასულმა გურამ ხვიჩიამ წონასწორობა აღადგინა – 1:1. მეორე ტაიმში ორივე გუნდის შემადგენლობაში ბევრი ცვლილება განხორციელდა. 47-ე წუთზე, გიგაურის მიერ მოწოდებული კუთხურიდან ზაზა ჭელიძემ თავით ზუსტად გადაგზავნა ბურთი მეტოქის კარში – 2:1. 74-ე წუთზე კი დავით გოდერიძის თავურიც შედეგიანი გამოდგა. საბოლოოდ, ფრე 2:2.

ხვალ, ქუთაისური გუნდი მოსამზადებელი ეტაპის გასავლელად თურქეთისკენ აიღებს გეზს.

უმაღლეს ლიგაში აღზევებულმა ლანჩხუთის „გურიამ“ ამხანაგური მატჩი გამართა აზერბაიჯანის პრემიერლიგის ბინადარ „სუმგაითთან“. თამაში დაბა ურეკში ჩატარდა და ფრედ 0:0 დასრულდა. 1-ლი ტაიმი თანაბარი გამოდგა, თუმცა მეორე ტაიმში „გურიამ“ ტემპს მოუმატა და რამდენიმე მომენტიც შექმნა, მაგრამ ბურთი ხან მცირედით ასცდა კარს, ხანაც მეკარე იყო მოწოდების სიმაღლეზე.

კლუბში არიან ახალწვეულები – ედიკ საჯაია, ალექსანდრე კოშკაძე, თენგიზ ჩიკვილაძე, ვანო კილაძე, რეზო გოცირიძე. რამდენიმე მოთამაშე გასინჯვაზე იმყოფება. გუნდში ელოდებიან სხვა ფეხბურთელებსაც და საბოლოოო შემადგენლობას დაკომპლექტებისთანავე გაგაცნობთ.

გუნდს ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს – დავით მახარაძე. იგი „გურიაში“ 1998-99 წლებში თამაშობდა და 27 მატჩში 21 გოლი გაიტანა.

რაც შეეხება კლუბის ფინანსურ მდგომარეობას, საუბარი რუს ინვესტორზეა. გრიგოლეთის ბაზის ტერიტორიის გაწმენდა უკვე დაიწყო და დაგეგმილია საწვრთნელი ბაზის აშენება. გარდა ამისა, ლანჩხუთის სტადიონზე გასახდელები და ვიპ-ლოჟა მოწესრიგდება. მანამდე გუნდი სეზონის სტარტზე თამაშებს ფოთში გამართავს.

27 ივლისს, ლანჩხუთში, კიევის „დინამოსა“ და ლანჩხუთის „გურიას“ ვეტერანი ფეხბურთელების ამხანაგური მატჩის ჩატარება იგეგმება.

პირველმალიგელმა ბათუმის „დინამომ“ საკონტროლო მატჩი ასევე აზერბაიჯანული ლენქორანის „ხაზარის“ დუბლებთან გამართა და 4:1 იმარჯვა. მატჩი ბათუმის „ადელის“ სტადიონზე გაიმართა, სადაც აზერბაიჯანული გუნდია დაბანაკებული. აღსანიშნავია, რომ ხუთივე გოლი მეორე ტაიმში გავიდა. ბათუმელთაგან თავი ჩიმაკაძემ, აშვეთიამ, ქორიძემ და მაკარიანმაც გამოიჩინეს.

კობა ჟორჟიკაშვილმა ეს შემადგენლობა ათამაშა: პირველი ტაიმი: პიცანი, თოდაძე, გოგიაშვილი, ქორიძე, მაკარიანი, ვარშანიძე, მახარაძე, მუჯირი, თევდორაძე, აბუსელიძე, ჩიმაკაძე;

მე-2 ტაიმი: მამინაშვილი, ჭიღვარია, გოგიაშვილი (ქორიძე), გოგიტიძე, ალავიძე, მახარაძე (ვარშანიძე), მუჯირი (მაკარიანი), ბაციკაძე, აშვეთია, ხუბუა, ჩიმაკაძე (თევდორაძე).

ევროპული კრახი გრძელდება

საქართველოს ასაკობრივ ნაკრებთა კრახი ევროპაში გრძელდება. ჯერ იყო და 20-წლამდე ასაკის ნაკრებმა მოუგებლად დაასრულა ევროპის ჩემპიონატი, ახლა მათ კვალს უკვე 18-წლამდე ნაკრები დაადგა, ამასთან, ბ დივიზიონში.

მიხეილ ბერუაშვილის გაწვრთნილი გუნდი ბოლო მატჩის ბოლო მეოთხედის წინ 60:55 უგებდა ნორვეგიას, თუმცა შეხვედრა 13 ქულის სხვაობით – 67:80 დათმო. გუნდს ბოლო 10-წუთეულში ხელ-ფეხი შეეკრა და მიუხედავად იმისა, რომ მთელი თამაშის განმავლობაში იგებდა, გადამწყვეტ პერიოდში არაფერი გამოუვიდა და ჯგუფურ ეტაპზე ასპარეზობა მოუგებლად დაასრულა.

არადა, იყო მომენტები, როცა საქართველოს უპირატესობა 10-ს სცდებოდა. ბერუაშვილის გუნდს 16 ქულით გამარჯვება უნდოდა, რომ ჯგუფში მე-4 ადგილი დაეკავებინა და შესაბამისად, ბრძოლა 9-16 ადგილებისთვის გაეგრძელებინა. ნორვეგიელების დამარცხების შემთხვევაში 3 გუნდს – საქართველოს, ნორვეგიას და ავსტრიას ქულების თანაბარი ოდენობა უგროვდებოდათ და ურთიერთშეხვედრებში ჩაგდებულ-მიღებული ბურთები გადაწყვეტდა თუ ვინ რომელ ადგილს დაიკავებდა. არ გამოვიდა – საქართველო დამარცხდა და ბოლო ადგილზე დარჩა.

მატჩს, ქართველებმა ჩინებულად დაიწყეს, თუმცა ძალები ბოლომდე არ გაჰყვათ. ბერუაშვილის გუნდმა მეტოქეზე მეტი ორქულიანი და სამიანი ჩააგდო და მიზეზი, რის გამოც წააგო, საჯარიმო სროლები გახლდათ, რაც მთელ ტურნირზე აქილევსის ქუსლად გასდევდათ. ნორვეგიელებმა 33 ცდიდან 22 საჯარიმო ჩააგდეს, როცა ქართველებმა მხოლოდ 8 სროლა შეასრულეს და 4 ჩააგდეს. მოხსნებშიც უდიდესი უპირატესობა ჰქონდათ სკანდინავიელებს – 60:31.

საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონი ესტონეთთან მატჩით გახსნა. მიხეილ ბერუაშვილის გუნდის მეტოქე ბალტიისპირეთის მძლავრი წარმომადგენელი გახლდათ, რომელთანაც ქართველები 16 ქულით – 57:73 დამარცხდნენ.

საქართველოს ნაკრებმა პირველი მეოთხედი 10:18 დათმო და მიუხედავად იმისა, რომ მეორე პერიოდიდან თამაში გამოასწორა, ჩამორჩენის აღმოფხვრა ვეღარ მოახერხა. ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი, რის გამოც ქართველებმა წააგეს, უხეიროდ შესრულებული საჯარიმო სროლები გახლდათ.

თავად განსაჯეთ: 19 ცდიდან საქართველოს ნაკრების წევრებმა მხოლოდ 5 საჯარიმო ჩააგდეს. სხვა კომპონენტებში ქართველები ესტონელებს ბევრით არაფრით ჩამოუვარდებოდნენ და რამდენიმე მაჩვენებელში ჯობდნენ კიდეც. პირველი ტაიმის შემდეგ სხვაობა ბალტიისპირელთა სასარგებლოდ 9 ქულას შეადგენდა, თუმცა, როცა საჯარიმოებს ვერ აგდებ, მოგების პრეტენზიაც ვერ გექნება.

ქართველებმა ვერაფერი მოუხერხეს ესტონელთა 210-სანტიმერტიან ცენტრ კარლ კასკს, რომელმაც 25 წუთში 22 ქულა მოაგროვა. ტანმაღალმა ბალტიისპირელმა 11 ცდიდან 9 ორქულიანი ჩააგდო.

მეორე მატჩში ჰოლანდიელები ქართველებს ასე იოლად ვერ მოერივნენ, თუმცა მიზანს მაინც მიაღწიეს – 71:60 მატჩის საბოლოო ანგარიში.

მატჩის ბედი შორმა სროლებმა გადაწყვიტა. ორივე გუნდმა 20-20 ორქულიანი ჩააგდო, თუმცა ჰოლანდიელებმა 3-ით მეტი სამქულიანი მიითვალეს. საქართველოს ნაკრების წევრებმა კი 21 ცდიდან მხოლოდ 2 შორი ტყორცნა ჩააგდეს.

პირველი მეოთხედი ჰოლანდიელებმა 19:9 მოიგეს და ამის შემდეგ ამ ლიდერობას ინარჩუნებდნენ. ქართველებმა რამდენჯერმე მოახერხეს ჩამორჩენის 5-6 ქულამდე შემცირება, თუმცა ბოლო მეოთხედში გადამწყვეტი შტურმისთვის ძალები აღარ შერჩათ და 11 ქულით დამარცხდნენ.

ნაკრებმა მორიგი მატჩი ავსტრიასთან დამთმო. მიხეილ ბერუაშვილის გუნდის აქილევსის ქუსლი სიმაღლეც არის და ავსტრიელებთან სწორედ ამის გამო დაიჩაგრნენ. ქართველებმა ვერაფერი მოუხერხეს მეტოქის 213-სანტიმეტრიან ცენტრ იაკობ პოლტს, რომელმაც 25 ქულითა და 16 მოხსნით საქართველოს ნაკრების დამარცხებაში ლომის წილი დაიდო.

ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონში ასპარეზობისას, საქართველოს ნაკრებმა ავსტრიასთან ყველაზე ნაკლები ქულით წააგო. ბერუაშვილის გუნდი პირველი მეოთხედის შემდეგ 1 ქულით ჩამორჩებოდა (27:28), თუმცა მე-3 პერიოდი ჩააგდო და წასაგებად გაიწირა. აღნიშნული მეოთხედი ქართველებმა 5:16 წააგეს და გადამწყვეტი ათწუთეულის წინ 12 ქულით ჩამორჩნენ.

ბოლო პერიოდში საქართველოს ნაკრები ბევრს ეცადა, მაგრამ მაქსიმუმი, რაც მოახერხა, ჩამორჩენის 9 ქულამდე შემცირება იყო. საბოლოოდ ქართველებმა 55:64 წააგეს და ჯგუფიდან გასვლის შანსი სწორედ აქ გადაიწურეს.

მიხეილ ბერუაშვილის გუნდმა მეოთხე მატჩი გერმანიასთან 62:86 წააგო. ქართველებმა გერმანელებს წინააღმდეგობა პირველ მეოთხედში გაუწიეს, რომელიც ფრედ – 17:17 დასრულდა. მეორე და მესამე პერიოდები გერმანელებმა 10-10 ქულით, შესაბამისად 20:10 და 25:15 მოიგეს, რითაც გამარჯვებულის ვინაობა გაარკვიეს.

ქართველები განსაკუთრებით სამწამიან ზონაში დაიჩაგრნენ, სადაც გამუდმებით ჯარიმდებოდნენ. საჯარიმოს სროლებით გერმანელებმა 18 ქულა მოიპოვეს, ქართველებმა კი მხოლოდ – 2.

	საბოლოო			ცხრილი:
1.ესტონეთი	5	4	1	346-301 9
2.ჰოლანდია	5	4	1	335-290 9
3.გერმანია	5	4	1	353-282 9
4.ნორვეგია	5	2	3	303-325 7
5.ავსტრია	5	1	4	259-325 6
6.საქართველო	5	0	5	301-374 5

ბერუაშვილის გუნდი ახლა ბრძოლას 17-22 ადგილებისთვის აგრძელებს. საქართველოს ნაკრები საკვალიფიკაციოში ა ჯგუფის ბოლოადგილოსან დანიასა და ავსტრიასთან მოხვდა. ამ უკანასკნელთან პირველ ჯგუფურ ეტაპზე ნათამაშები – 55:64 მარცხი გადაჰყვა. ანუ ქართველები მხოლოდ დანიას შეხვდებიან, ხოლო დანია ავსტრიას გაეჯიბრება და ადგილებიც 1-დან მე-3-ს ჩათვლით განაწილდება. არის მეორე სამგუნდიანი საკვალიფიკაციო ჯგუფიც – სლოვაკეთი, შოტლანდია, ლუქსემბურგი. შესაბამისად, ჯგუფების პირველადგილოსნები ერთმანეთს მე-17 ადგილისთვის შეხვდებიან, მეორეადგილოსნები – მე-19-სთვის, ხოლო მესამეზე გასული გუნდები ერთმანეთს ტურნირის ბოლოსწინა – 21-ე ადგილისთვის დაუპირისპირდებიან.

საქართველოს ნაკრები მომავალ მატჩს დანიასთან 25 ივლისს გამართავს.

ბარსას ახალი მწვრთნელი ჰყავს

კატალონიურ „ბარსელონას“ ახალი მწვრთნელი ჰყავს – „ნიუელზ ოლდ ბოიზის“ ყოფილი მთავარი მწვრთნელი ხერარდო მარტინო „ბარსას“ ახალი თავკაცია. კატალონიურმა კლუბმა არგენტინელს სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. მარტინოსთან ერთად სამწვრთვნელო შტაბში დამხმარეებად ელვიო პაოლოროსო და ხორხე პაუტასო იმუშავებენ.

მარტინომ ყოფილი კლუბი არგენტინის ჩემპიონი გახადა, ადრე კი პარაგვაის ნაკრები მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატზე მეოთხედფინალში, ხოლო 2011 წელს კოპა ამერიკის ფინალში გაიყვანა. შეთავაზებები ჰქონდა „მალაგასა“ და „რეალ სოსიედადისაგან“, მაგრამ უარი თქვა წინადადებაზე, რადგან იმ მომენტისთვის ლიბერტადორესის თასზე ასპარეზობდა, სადაც ნახევარფინალში პენალტების სერიაში აჯობა „ატლეტიკო მინეიროს“ და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა.

სანამ „ბარსას“ ვარიანტი გამოჩნდებოდა, მარტინო შესაძლოა „სანტოსის“ მწვრთნელიც გამხდარიყო.

შეგახსენებთ, რომ მარტინომ „ბარსას“ თავკაცის პოსტზე ტიტო ვილანოვა შეცვალა, რომელმაც კატალონიური კლუბი ჯანმრთელობის გაუარესების გამო დატოვა.

ფეხბურთი

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ფორტუნა-კოტბუსი 1:0

ხუსეთი. პრემიერლიგა

ცსკა-კრ.სოვეტოვი 2:1

სატურნირო ცხრილი:					
1.სპარტაკი	2	2	0	0	4-1	6
2.ამკარი	2	1	1	0	3-1	4
3.დინამო	2	1	1	0	4-3	4
4.ლოკომოტივი	2	1	1	0	4-3	4
5.როსტოვი	2	1	1	0	4-3	4
6.ცსკა	2	1	1	0	4-3	4
7.ყუბანი	2	1	1	0	3-2	4
8.ზენიტი	1	1	0	0	2-1	3
9.რუბინი	1	0	1	0	1-1	1
10.ვოლგა	2	0	1	1	3-4	1
11.კრასნოდარი	2	0	1	1	3-4	1
12.ანჟი	2	0	1	1	3-4	1
13.ტერეკი	2	0	1	1	2-3	1
14.ურალი	2	0	1	1	2-4	1
15.კრ.სოვეტოვი	2	0	0	2	2-4	0
16.ტომი	2	0	0	2	1-4	0

ჩეხეთი. გამბრინუსლიგა

ბოლესლავი-პრჟიბრჟამი 1:1

პოლონეთი. ექსტრაკლასა

ლეჩნა-პოდბესკიჟიე 2:2

უკრაინა. პრემიერლიგა

ზორია-მეტალურგი(ზ) 0:0

დანია. სუპერლიგა

ესბიერგი-ნორდსიელანდი 4:0

შვედეთი. ალსვენსკა

ჰეკენი-აიკი 2:3

ფეიდეგები

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

დილა დანიაში

გორის „დილა“ ევროპის ლიგის მე-2 საკვალიფიკაციო რაუნდის საპასუხო მატჩისთვის დანიაში, ქალაქ ოლბორგში გაემგზავრა.

მოგეხსენებათ, პირველი მატჩი თბილისში „დილას“ გამარჯვებით, 3:0 დასრულდა. საპასუხო შეხვედრა ოლბორგში, სტადიონ „ნორდისკე არენაზე“, 25 ივლისს, ჩვენი დროით 22:15 სთ-ზე დაიწყება.

დანიაში მატჩს პოლონელ მსაჯთა ბრიგადა მოემსახურება. მთავარი არბიტრი რობერტ მალეკი იქნება.

გუნდის მთავარმა მწვრთნელმა გიორგი დევდარიანმა განმეორებითი მატჩისთვის შემდეგი ფეხბურთელები იახლა: რევიშვილი, შეყრილაძე, ალადაშვილი, გურული, თომაშვილი, ხიზანეიშვილი, ღონღაძე, სადაღაშვილი, კობახიძე, გვალია, გაბარაევი, ბოლქვაძე, დოლიძე, გორელიშვილი, აბურჯანია, ილურიძე, მოდებაძე, ალექსიძე.

გამგზავრების წინ გუნდის მთავარმა მწვრთნელმა და რამდენიმე ფეხბურთელმა მომავალ მატჩთან დაკავშირებით კომენტარები გააკეთეს.

გიორგი დევდარიანი:

– მომავალ დაპირისპირებაში ველოდებით ბრძოლას. ვიცით, რომ შემოგვიტევენ, ექნებათ გულშემატკივართა მხრიდან მხარდაჭერა და ამისთვის ჩვენ მზად ვართ.

ნუკრი რევიშვილი:

– თბილისის მატჩისგან განსხვავებით, აბსოლუტურად სხვა დაპირისპირება გველის. წარმომიდგენია, როგორ შემოგვიტევენ პირველივე წუთებიდან. საწყის წუთებში უნდა შევინარჩუნოთ სიმშვიდე და ვფიქრობ, ჩვენთვის ყველაფერი კარგად დასრულდება.

კახაბერ ალადაშვილი:

– ძალიან რთული თამაში გველოდება და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ მომდევნო ეტაპზე გავიდეთ. პირველი თამაშის შედეგიდან გამომდინარე, აუცილებლად უნდა დავძლიოთ ეს ბარიერი.

გიორგი გურული:

– იქ აბსოლუტურად სხვა თამაშს ველით. პირველი შეხვედრის ანგარიში, რა თქმა უნდა, მისაღებია, მაგრამ იქაც ისეთი მობილიზებით გვმართებს მატჩის ჩატარება, როგორც თბილისურ დაპირისპირებაში ვაჩვენეთ. ვფიქრობთ, დასახულ ამოცანას მივაღწევთ.

„არმიის“ კემპი წარმატებით დასრულდა

როგორც უკვე ვწერდით, სპორტკომპლექს „არენაში“ საკალათბურთო კლუბ „არმიას“ ინიციატივით, 3 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა ასაკობრივი ჯგუფების კემპი. დარეგისტრირებული მონაწილეების რაოდენობამ ორგანიზატორთა მოლოდინს გადააჭარბა. კემპში მონაწილეობის სურვილი 148 ნორჩმა კალათბურთელმა გამოთქვა.

სამდღიანი კემპი დატვირთული იყო ფიზიკური მომზადებით, ვარჯიშებითა და დასკვნით დღეს თამაშებით. ახალგაზრდებს ვარჯიშებს კლუბ „არმიის“ სამწვრთნელო შტაბი უტარებდა.

დასკვნითი დღისთვის უკვე შერჩეულ კანდიდატებთან ჩატარდა ბოლო ვარჯიში და თამაში, რომელშიც 44 ბავშვი მონაწილეობდა, თუმცა, როგორც შემდგომში „არმიის“ მთავარმა მწვრთნელმა კოტე ტუღუშმა აღნიშნა, ეს საბოლოო რიცხვი არაა და 18-წლამდელებში კიდევ იქნება შემცირება.

კოტე ტუღუში, არმიას მთავარი მწვრთნელი:

– „არმიის“ დაარსების პირველივე დღიდან ახალგაზრდების შეკრების დიდი სურვილი გვქონდა და კარგა ხნის მანძილზე ვამზადებდით ამ ივენთს. ეს ყველაფერი კალათბურთის ხელშეწყობის მიზნით გვინდოდა ჩაგვეტარებინა. მსგავსი პროექტებისგან განსხვავებით, სადაც ხდება სხვადასხვა გუნდებიდან საუკეთესობის არჩევა, არ გვინდოდა იდენტური პოლიტიკის გატარება და კემპში მონაწილეობა ნებაყოფლობითი იყო. კემპმა ჩვენს ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და იმაზე ბევრად მეტი ბავშვი დარეგისტრირდა, ვიდრე ველოდით. 16-წლამდელებში – 54, 18-წლამდელებში – 94, რაც თავისთავად სოლიდური მაჩვენებელია. საკმაოდ რთული ამოცანის წინაშე ვიყავით – იყო ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა და არჩევა გაგვიჭირდა. დღეს უკვე ოცი 16-წლამდელი და ოცდაოთხი 18-წლამდელია, თუმცა რამდენიმეს გავუშვებთ, ხოლო დანარჩენები 10 აგვისტოდან „არმიის“ ვარჯიშებში ჩაერთვებიან. კემპი მთლიანად ჩვენი კლუბის მიერ არის ორგანიზებული. სასიხარულოა, რომ ძალიან ბევრი საინტერესო და ნიჭიერი ახალგაზრდა მოვიდა. იმედია, მოლოდინს გაამართლებენ და მომავალ სეზონში ჩვენი კლუბის სახელს დაიცავენ.

„ელიტ მოდელ ლუქ 2013“ საქართველოს მოივლის

ეკა ირემაშვილი

სამოდელო სააგენტო „იმიჯ ცენტრის“ ხელმძღვანელი ია კიწმარიშვილი მორიგი სილამაზის კონკურსისთვის იწყებს ლამაზმანების შერჩევას. „ელიტ მოდელ ლუქ ჯორჯია 2013“ რეგიონალურ ტურებს ჩაატარებს და საუკეთესოთა შორის საუკეთესოებს შეარჩევს.

პროექტის ტრადიციული მხარდამჭერია „კიკალა სტუდიო“. ია კიწმარიშვილს „ელიტ მოდელ ლუქ ჯორჯიას“ შარშანდელი გამარჯვებული ლიკა მეტრეველიც დაეხმარება.

– კომპანია „აისი მოდელ მენეჯმენტ“-ის მიერ საერთაშორისო სამოდელო კონკურსის „ელიტ მოდელ ლუქ“-ის შესარჩევი ტური უკვე მეშვიდეთ ტარდება საქართველოში. ეს არის უნიკალური შესაძლებლობა გახდე მსოფლიო მოვლენის ნაწილი. ელიტის წარმომადგენლები საქართველოში აწარმოებენ ახალი სახეების ძიებას იმისათვის, რომ მისცენ მათ შესაძლებლობა დაიკავონ საპატიო ადგილი მსოფლიო აღიარებულ ტოპ მოდელთა შორის. „ელიტ მოდელ ლუქ“-მა საქართველოში წინა 5 წლის განმავლობაში აღმოაჩინა თამარ შედანია, ანნა კოვაჩი, მარიტა ჯანაშია, სოფო შერგელაშვილი, ნონიკო კახაძე და ლიკა მეტრეველი, რომლებიც უკვე წარმატებით მოღვაწეობენ ადგილობრივ და საერთაშორისო ასპარეზზე, – განაცხადა ია კიწმარიშვილმა.

მისივე თქმით, წელს 21 ივლისიდან 7 სექტემბრამდე გაიმართება რეგიონალური შესარჩევის კასტინგები შემდეგ ქალაქებში: ქუთაისი, გორი, გურჯაანი, ზუგდიდი, ბათუმი, თბილისი.

– ეს კონკურსი არის პროფესიულობის, სილამაზის და ელეგანტურობის საუკეთესო კომბინაცია. უკვე მიმდინარეობს მსურველების ონლაინ რეგისტრაცია ღონისძიების

ვებ გვერდზე და „ფეისბუქის“ გვერდზე. რეგიონალური ტურების ბოლოს, 7 სექტემბერს თბილისი მოლში გაიმართება ნაციონალური კასტინგი, რის შედეგადაც შეირჩევიან კონკურსანტები, რომლებიც გააგრძელებენ მონაწილეობას ფინალურ შოუში გამარჯვების მოსაპოვებლად. ფინალურ შოუზე გამარჯვებულებს ირჩევს თავად „ელიტ მოდელ ლექ“-ის წარმომადგენელი პარიზიდან, რომელიც სპეციალურად ამ მისიით ყოველწლიურად ჩამოდის საქართველოში. კომპანია „აი სი მოდელ მენეჯმენტი“ კონკურსში მონაწილეობისათვის იწვევს 14-დან 22 წლამდე ასაკის მინიმუმ 170 სანტიმეტრი სიმაღლის გოგონებს და 16-დან 24 წლამდე ასაკის მინიმუმ 180 სანტიმეტრი სიმაღლის ვაჟებს. წელს „ელიტ მოდელ ლუქ ჯორჯია 2013“ რეგიონული კასტინგები გაიმართება ქუთაისის ოპერის თეატრში, გორის კინოთეატრში „გამარჯვება“, 26 ივლისს გურჯაანის კულტურის ცენტრში, 29 ივლისს ზუგდიდში არტ გალერეაში,

17 აგვისტოს ბათუმის ინტურისტში, 18 აგვისტოს ოზურგეთის თეატრში, 7 სექტემბერს თბილისი მოლში, – განმარტავს ია კიწმარიშვილი.

როგორც სამოდელო სააგენტო იმიჯ ცენტრის“ ხელმძღვანელი აცხადებს:

– „ელიტ მოდელ ლუქ“-ის უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი აძლევს საშუალებას დამწყებ მოდელებს, მიაღწიონ წარმატებას უმოკლესი გზით, გახდნენ პროფესიონალები და დაიწყონ წარმატებული საერთაშორისო სამოდელო კარიერა. ყოველწლიურად 70 ქვეყნის 800 ქალაქიდან კონკურსში 350.000 გოგონა იღებს მონაწილეობას. მსოფლიო ფინალის გამარჯვებულებს ელით სამოდელო კონტრაქტი საერთაშორისო სააგენტო „ელიტ მოდელ მენეჯმენტ“-თან და 300.000 ევროს საპრიზო ფონდი. ეს არის რეალობად ქცეული ოცნება: პროექტი გახლავთ მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟული პროფესიული სამოდელო კონკურსის „ელიტ მოდელ ლუქ“-ის შესარჩევი ტური საქართველოში. ამ კონკურსმა აღმოაჩინა მსოფლიოში ისეთი ცნობილი ტოპ-მოდელები, როგორებიც არიან ლინდა ევენჯელისტა, სინდი კროუფორდი, კლაუდია შიფერი, ჟიზელ ბუნდჭენი, ნაომი კემპბელი, ალესანდრა ამბროზიო და სხვები.

ია კიწმარიშვილმა და მისმა სამოდელო სააგენტომ ასევე გამოაცხადა კონკურსი „მის საქართველო 2013“-ის კონკურსანტებისთვის.

„მის საქართველოს“ ორგანიზატორი კომპანია „იმიჯ-ცენტრია“. ის არის მსოფლიოში აღიარებული სილამაზის საერთაშორისო კონკურსების „მის სამყაროს“, „მის იუნივერსის“, „მის ინტერკონტინენტალისა“ და „მის ტურიზმის“ ექსკლუზიური წარმომადგენელი საქართველოში.

– კონკურსი „მის საქართველო“ ყოველწლიური პროექტია, რომელიც უკვე მეთერთმეტედ ტარდება და დიდი პოპულარობით სარგებლობს საქართველოს მოსახლეობაში. პროექტი „მის საქართველო“ ემსახურება ქვეყნისათვის ისეთ მნიშვნელოვან მიმართულებების განვითარებას, როგორიცაა საქართველოს კულტურის, ფოლკლორის პოპულარიზაცია საერთაშორისო ასპარეზზე. ტურიზმის განვითარება, ჯანმრთელი ცხოვრების წესის პროპაგანდა ახალგაზრდებში, მოდისა და ხელოვნების სფეროების განვითარება, სხვადასხვა ტიპის ღონისძიებების განხორციელება. ქართული და საერთაშორისო ბრენდების და პროდუქციის პოპულარიზაცია და მათი ცნობადობის ხელშეწყობა, – ამბობს ია კიწმარიშვილი.

მისივე განმარტებით, „მის საქართველო 2013“ იქნება მასშტაბური ღონისძიება, რომელიც ხორციელდება ტელეკომპანია „იმედის“ და ღონისძიების სხვადასხვა პარტნიორების მხარდაჭერით.

– ამ კონკურსში მონაწილეობის მიღების საშუალება აქვთ 17-25 წლამდე ასაკის გოგონებს. რეგისტრაცია მიმდინარეობს კომპანია „იმიჯ-ცენტრი“-ს ოფისში. ფინალურ კასტინგზე ტრადიციულად დაგეგმილია 20 გოგონას შერჩევა, რომლებიც გააგრძელებენ „მის საქართველო 2013“-ის ტიტულისთვის ბრძოლას. კონკურსის გამარჯვებული დაჯილდოვდება მთავარი პრიზით – ავტომობილით. უკვე მესამედ, ღონისძიების მთავარ პრიზს აწესებს კომპანია „ტოიოტა ცენტრი თბილისი“ და გამარჯვებულ „მის საქართველო 2013“-ს გადაეცემა ახალი მოდელის, ელეგანტური ავტომობილი „ტოიოტა რავ 4“, – აცხადებს „იმიჯ ცენტრის“ ხელმძღვანელი.

„მის საქართველო 2013“-ის გამარჯვებული ტოპ-5 გოგონა კი სილამაზის საერთაშორისო კონკურსებზე გაემგზავრება.

25 ივლისს კი კომპანია „იმიჯ ცენტრი“, დიზაინერი თინათინ მაღალაშვილი და „მის საქართველო 2012“ თამარ შედანია საქველმოქმედო დეფილეს მოაწყობენ. ,,სილამაზე-სიკეთისათვის“ – ასე ეწოდება საღამოს, რომელსაც ლისის ტბა უმასპინძლებს.

– საქველმოქმედო საღამოზე წარმოდგენილი იქნება ღონისძიების ორგანიზატორის, დიზაინერ თინათინ მაღალაშვილის მიერ შექმნილი საზღვაო კოლექცია. დეფილეში მონაწილეობას მიიღებენ „მის საქართველო 2012“ თამარ შედანია და „იმიჯ-ცენტრი“-ს წამყვანი მოდელები. პროექტი „სილამაზე-სიკეთისათვის“ ტარდება „მის საქართველო“-ს ეგიდით, რომლის ფარგლებშიც წლის განმავლობაში იგეგმება სხვადასხვა ტიპის საქველმოქმედო ღონისძიებები, – განაცხადა ია კიწმარიშვილმა.

25 ივლისს დაგეგმილი საქველმოქმედო აქციის მიზანია ონკოლოგიური სენით დაავადებულ ბავშვთა დახმარება. პროექტის ფარგლებში მოზიდული თანხები მიმართული იქნება სოლიდური სიმსივნით დაავადებულ ბავშვთა საზაფხულო დასვენების დასაფინანსებლად.

ღონისძიების ორგანიზატორები ეწვევიან დავით გაგუას კლინიკას, სადაც მოინახულებენ იმ ბავშვებს, ვისთვისაც ტარდება აღნიშნული საქველმოქმედო აქცია. შეხვედრაზე მოხდება ბავშვებისათვის საჩუქრების გადაცემა და ბერი ანდრიას ფონდის, რომელიც კურირებს სოლიდური სიმსივნით დაავადებულ 21 ბავშვს, ხელმძღვანელთან ქალბატონ თინათინთან შეხვედრა. შეხვედრის ფარგლებში განიხილება ფონდის დახმარების სამომავლო გეგმები.

– მოგმართავთ თხოვნით, გამოიჩინოთ გულისხმიერება და გაგვიწიოთ პარტნიორობა ბავშვების დასახმარებლად თქვენთვის მოსახერხებელი ფორმით – ფულადი ან მატერიალური შემოწირულობის სახით. მატერიალური შემოწირულობისათვის შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ მისამართზე ნიკო ნიკოლაძის 6, ფულადი შემოწირულობისათვის კი მიმართეთ ბერი ანდრიას სახელობის ფონდს. ასევე ჩართულია სპეციალური ნომერი 09 01 500 535 და ზარის ღირებულება 1 ლარია, – აცხადებენ ღონისძიების ორგანიზატორები.

მარინე მიზანდარი: „თურქეთში ვიზიტი წარმატებულია“

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ლიერდა იშხნის იატაკის დამცავი ფენა ინერტული მასის დამატებითი ფენებით. აღსანიშნავია ისიც, რომ სამუშაოები იშხანში აღარ ხორციელდება პროფესიონალი არქეოლოგების ზედამხედველობის გარეშე, – განაცხადა მარინე მიზანდარმა.

მისივე ინფორმაციით, რიგით მესამე სამუშაო ვიზიტი თურქეთში საკმაოდ წინგადადგმული ნაბიჯია:

– ამ ვიზიტის შედეგად, შედგა შეთანხმება, რომ იშხნის დასავლეთ მკლავის ჩრდილოეთ მინაშენზე განხორციელდება ახლად აღდგენილი საპირე წყობის სათანადო დამუშავება, რაც არსებულ მდგომარეობას გამოასწორებს. ასევე ქართული მხარის რეკომენდაციის შედეგად იშხანში მომუშავე სამშენებლო კომპანიამ თხოვნით მიმართა შესაბამის სამსახურს სტამბოლში, რათა იშხანში მივლინებულ იქნას კედლის მხატვრობის კონსერვაციის სპეციალისტი. ქართული მხარის რეკომენდაციის შედეგად პროექტის შესრულების ვადა გახანგრძლივდა, რაც იშხნის უკეთესი რესტავრაციის შესაძლებლობას იძლევა. რაც შეეხება ოშკის სამონასტრო კომპლექსს, აქ ფიზიკური სამუშაოები უნდა დაწყებულიყო 2013 წლის აგვისტოში, თუმცა პროექტის სრულყოფისა და შეცდომებისაგან თავის დაზღვევის მიზნით, თურქეთის მხარემ პროექტის დასრულების ვადა 2013 წლის დეკემბრამდე გაახანგრძლივა. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ქართველი ექსპერტების იშხნის და ოშკის რესტავრაციის პროცესში ჩართულობას თურქულ მხარესთან იურიდიული დოკუმენტის არარსებობა აფერხებს. დოკუმენტი შემუშავებულია, მაგრამ ჯერჯერობით კვლავ ხელმოწერილი არ არის და იგი პრეზიდენტის ადმინისტრაციაშია გაჩერებული. ასე რომ, ჩვენ არ გაგვაჩნია ხელშეკრულება და იურიდიული ფორმატი თურქეთთან თანამშრომლობისათვის, რაც ართულებს ჩვენი სპეციალისტების ჩართულობას. თურქეთმა გამოიჩინა კეთილი ნება, ისინი ასე უყურებენ, რომ მათი ინტერესიც არის. ამ სამუშაოებში ძალიან დიდი წვლილი აქვს შეტანილი საქართველოში თურქეთის ელჩს მურათ ბურხანს. იშხანი არის საზიარო ძეგლი საქართველოსა და თურქეთს შორის. იმედი გვაქვს, რომ იშხანსა და ოშკში მიმდინარე პროცესები გაგრძელდება. საჭიროა 2-3 სპეციალისტი ჩადიოდეს და აკვირდებოდეს იშხნის რესტავრაციის პროცესს, აქ იგულისხმება ჩართულობა, როცა შენს აზრს ითვალისწინებენ. იმასაც გეტყვით, რომ ქართველი სპეციალისტების 2 კაციანი ჯგუფი იშხნის რესტავრაციის პროცესის შესაფასებლად, ისტორიულ ტაო-კლარჯეთში სავარაუდოდ 3 კვირაში გაემგზავრება.

თურქეთში საქართველოდან მივლინებულ 7 კაციან დელეგაციაში იმყოფებოდა კულტურის სამინისტროს წარმომადგენელი ბესიკ მაცაბერიძეც, რომლის თქმით:

– იშხნის რესტავრაციის ჯგუფი დაკომპლექტებულია სხვადასხვა უწყების სპეციალისტებისაგან – პროცესში ჩართულია ართვინის გუბერნიის კულტურის დეპარტამენტი, ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის ერზრუმის რეგიონალური სამსახური. ასევე იმ კომპანიის წარმომადგენლები, რომლებიც რესტავრაციით არიან დაკავებული. ჩვენ ვნახეთ მზაობა თურქული მხარის, რომ ეს სამუშაოები შეასრულოს რაც შეიძლება კარგად. უკეთესი ხარისხით და ჩვენი რეკომენდაციების გათვალისწინებით. ისინი გულისყურით იყენებენ მასალას, რაც გათვალისწინებულია რესტავრაციისათვის. შედგა საქმიანი შეხვედრა. ქართველი ექსპერტების სრულფასოვან ჩართულობას იურიდიული დოკუმენტი სჭირდება. ეს არის გარანტი ჩვენი რესტავრატორების ჩართულობის ამ პროცესში.

თურქეთიდან დაბრუნებული საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი მერაბ ბოჭოიძე აღნიშნავს, რომ:

– თურქულმა მხარემ იშხანთან დაკავშირებით რიგი რეკომენდაციები გაითვალისწინა. დეკორატიული იატაკი, რომელიც მგრძნობიარეა მექანიკური დაზიანების მიმართ, დაცული იქნა ინერტული მასალის დამატებითი ფენის მოწყობით. ჩვენ იქ თავისუფლად დავდივართ და არ გვეშინია, რომ იატაკს დავაზიანებთ. ის ხარაჩოები, რომელიც აგებული იყო დასავლეთის მკლავში და ედებოდა ფერწერას, საფრთხეს უქმნიდა ფერწერის ჩამოშლას ან დაზიანებას. ხარაჩოები დაიშალა და ახლიდან აღდგა ისე, რომ დაცულია ინტერვალი და დატანებული აქვს შემარბილებელი მასალა ქეჩის სახით. ეს გარკვეულად უზრუნველყოფს იზოლაციას ხარაჩოსა და კედელს შორის. ძეგლის გაწმენდით სამუშაოებს ზედამხედველობს გამოცდილი არქეოლოგი, რესტავრატორები მუშაობენ ხარისხიანი და ძვირადღირებული მასალით, რაც ძალიან ბევრს ნიშნავს რესტავრაციაში. არ ხმარობენ ცემენტს და იყენებენ კირს. ვნახეთ კირის რამდენიმე სახეობა, რომელსაც იყენებენ სხვადასხვა დანიშნულებით. ამავე დროს, ისიც უნდა ითქვას, რომ ძეგლის რესტავრაციისას მეთოდოლოგიური შეცდომები იქნა დაშვებული, გამოყენებული იყო არც მთლად თუ ისე დახვეწილი მეთოდით რესტავრაცია იშხნის ჩრდილოეთის მინაშენზე. ამან უარყოფითი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე. რესტავრაცია არ არის გამართლება, რესტავრაცია არის მთელი კონსერვაცია. ახალი მასალები მაქსიმალურად დაბალანსებულად და მოკრძალებულად უნდა ვიხმაროთ. უკეთესი იქნებოდა, საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის და მეთოდოლოგიის დამუშავების და დოკუმენტაციის მომზადების დროს, გარკვეულად ნაკლები ჩარევა განხორციელებულიყო, მეტი სიძველე და მეტი ინფორმაციული შრე დაეტოვებინათ. ეს ბოლომდე ვერ გამოსწორდება, მაგრამ შენიშვნების გათვალისწინებით შემცირდება.

იშხანში ჩასული ქართველი სპეციალისტების ჯგუფში, კულტურის სამინისტროს წარმომადგენლის გარდა, შედიოდა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს გენერალური დირექტორი მერაბ ბოჭოიძე და ჩუბინაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის და საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების საბჭოს წარმომადგენლები. ყველა მათგანმა ხაზი გაუსვა იმას, რომ იშხნის რეკონსტრუქციის პროექტის მიმდინარეობისას ქართველი სპეციალისტთა რეკომენდაციებს გათვალისწინება ხდება და ტაძრის რეკონსტრუქცია მიმდინარეობს მაღალი ხარისხის მასალებით. რესტავრაციის პროცესში გამოყენებული იქნება კირქვა და არა ცემენტი.

– ტაძრის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგური ნივთები ამჟამად შეგროვებულია და გადატანილია რიზეს მუზეუმში, – განაცხადა მარინე მიზანდარმა.

შეხვედრაზე ოშკთან დაკავშირებით ითქვა, რომ წელს სამუშაოები ტაძარზე არ დაიწყება.

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. მოკლემეტრაჟიანი ქართული კინოკომედია; 2. ქართული იუმორისტული ჟურნალი; 3. არქიტექტურული ნაგებობის მხატვრული სამკაული, ორნამენტი; 4. მხარის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო გერმანიაში; 7. ბუნებრივი ნაკრძალი კახეთში; 8. ბროწეულის წვენისგან მომზადებული საწებელი; 12. ჩრდილოეთ ირლანდიის დედაქალაქი; 14. ქართველი ფრენბურთელი მამაკაცი ოლიმპიური ჩემპიონი; 16. მოქმედების უნარი, ძალა, დონე; 17. ოპერეტების „სილვა“, „მარიცა“-ს მუსიკის ავტორი; 19. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 20. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი ავსტრალიელი მსახიობი მამაკაცი.

თარაზულად: 5. დანაშაულის განმეორებითი ჩადენა; 6. ქართველი ტელეჟურნალისტი მამაკაცი; 9. რაიმეს ზედაპირის დაშლა, ნგრევა; 10. სამკაულების დასამზადებლად გამოყენებული ფისიანი ქვანახშირის ერთ-ერთი სახეობა; 11. სოფელი სოხუმის მახლობლად; 13. ბატის წმინდა, რბილი ბუმბული ბალიშის დასამზადებლად; 15. ავსტრალიაში გავრცელებული ქოჩრიანი თუთიყუში; 18. ხრახნული კონვეირი; 21. ეკლესიის მნათეს ძველი ქართული სახელწოდება; 23. ყვითელგულიანი მინდვრის თეთრი ყვავილი; 23. ლოგარითმის წილადური ნაწილი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოიდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ჰორაციო; 2. ლვოვი; 3. ტოპონიმი; 4. ხიხანი; 5. გოგლიძე; 6. მაზანდა; 11. ჯინსი; 13. სიმენსი; 14. ფილიგრანი; 15. კონტრაქტი; 17. ლოპესი; 18. ალპები; 19. პუმა.

თარაზულად: 7. ბორანი; 8. პოლიქრომია; 9. ზანავი; 10. მოძახილი; 12. კონსილიუმი; 14. ფრესკა; 16. კლემენსი; 18. არლეკინო; 20. შპიგი; 21. ერი; 22. ტექსტურა; 23. ზაქი; 24. ჭაბუკიანი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. მაღრაძე; 2. ქიზიყი; 3. პროქტიტი; 4. რადიკალი; 7. ქამელეონი; 8. წვეულება 12. ბარაკონი; 14. ვოლფრამი; 16. ბეითალი; 17. ჟენშენი; 19 აზია; 20. ვაჩა.

თარაზულად: 5. სალამური; 6. ჯვრისწერა; 9. კახასა; 10. ყლორტი; 11. ცეკვა; 13. მარსი; 15. ტოლედო; 18. ჰერტა; 21. ფანატიზმი; 22. ანდანტე; 23. ფაიფური.

ვინ ჩაშალა ზემფირას კონცერტები?

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ვალის თითქმის ჩაშლა, რომლის თავიდან აცილება მოხდა მხოლოდ იმიტომ, რომ მე მომიწია სასწრაფოდ დამატებითი ათი ათასობით ევროს ჩადება ფესტივალის ორგანიზებაში. თქვენმა თანმიმდევრულმა და შეუწყვეტელმა ტყუილებმა და არაკოლეგიალურობამ, რომლებსაც ადასტურებს ბევრი ქართული კომპანიის წარმომადგენელი, მხარდაჭერის გარეშე დარჩა ფესტივალი. ამან გამოიწვია ჩემი ოჯახის სრულიად უსახსროდ დარჩენა, რის გამოც მომიწია საქართველოს დატოვება.

სწორედ თქვენი ოჯახის კომპანია „თიკეთპრო ჯორჯია“ აკონტროლებდა ფესტივალთან დაკავშირებულ ყველა ფულად გადარიცხვებს. სწორედ თქვენი უმოქმედობის გამო კომპანიას გაუჩნდა ფინანსური დეფიციტი. ამის მიუხედავად, ჩემი რეპუტაციის საშუალებით, რომელსაც თქვენ ცდილობთ, რომ ჩრდილი მიაყენოთ, ყველა ჯგუფი, რომელიც ფესტივალში მონაწილეობდა, მათ შორის ზემფირა, მზად იყვნენ, რომ ჩვეულებრივზე დაბალ ფასებში ჩაეტარებინათ კონცერტი.

მე კონცერტში პირადად 110 ათასი ევრო ჩავდე, მაშინ როდესაც, თქვენ 1500 ევრო ჩადეთ და ისიც პირველივე ბილეთების გაყიდვებით ამოიღეთ, მათ შორის ზემფირას კონცერტის ბილეთების გაყიდვებით.

მოგიწოდებთ, რომ პატიოსნად გასცეთ პასუხი დასმულ კითხვას და აღიაროთ მომხდარის გამო თქვენი პასუხისმგებლობა, მოუხადოთ საჯარო ბოდიში ჩემს ორგანიზაციას და შეწყვიტოთ ჩემი სახელის და კომპანიის დისკრედიტაცია“.

ამ ღია წერილის გამოქვეყნებამდე კირილ ხიმჩევმა განმარტა, რომ „ლაივ კონცერტსი“ არ არის ზემფირას კონცერტების ორგანიზატორი და არ იღებს ფინანსურ ვალდებულებას. მან საქართველოში ზემფირას კონცერტების გაუქმებასთან დაკავშირებით, ოფიციალური განცხადებაც გაავრცელა:

„საქართველოში ზემფირას კონცერტების ორგანიზებასთან დაკავშირებით გავრცელებული ცრუ ინფორმაციის პასუხად, გაუწყებთ, რომ კომპანია „ლაივ კონცერტსი“ არ არის ამ კონცერტების ორგანიზატორი და არ იღებს ფინანსურ ვალდებულებას არც შემსრულებლების და არც ბილეთების მყიდველების წინაშე. ამიტომ, კომპანიის მისამართით ნებისმიერი ოფიციალური ბრალდება უსაფუძვლო და სასამართლო გარჩევის საგანია.

ბილეთების დაბრუნებასთან დაკავშირებით უშუალოდ იმ კომპანიას უნდა მიმართოთ, რომელიც საქართველოში ზემფირას კონცერტებს უწევდა ორგანიზებას“.

რუსეთში მოღვაწე მომღერლის ზემფირას კონცერტები საქართველოში 22 და 24 ივლისს უნდა ჩატარებულიყო. კონცერტების ჩაშლის შესახებ ოფიციალური განცხადება მომღერლის საიტზე ოფიციალურად გამოქვეყნდა:

„16 ივლისს შემატყობინეს, რომ კონცერტები საქართველოში ხმის და განათების აუცილებელი აღჭურვილობის არარსებობის გამო ჩაიშალა. ახალმა ამბავმა გული ამიცრუა და გამანაწყენა. საქართველო, ვწუხვარ! უფრო დეტალურ ინფორმაციას კომპანია ქ.ე.თ.-ი მოგაწვდით. მე უკვე შვებულება დამეწყო“.

კონცერტი „ლაივ კონცერტსის“ ორგანიზებით უნდა ჩატარებულიყო და მომღერალს მსმენელის წინაშე უახლესი ალბომის „ჟიტ ვ ტვაიომ გალავე“ პრეზენტაცია უნდა მოეწყო. მომღერალი ბენდთან ერთად საქართველოში 12-კაციანი შემადგენლობით უნდა ჩამოსულიყო და ორსაათიანი კონცერტი გაემართა. ამ ალბომით მომღერალმა საკონცერტო ტურნე თებერვლის თვიდან დაიწყო და რუსეთის, უკრაინისა და ბალტიისპირეთის 23 ქვეყანაში მოასწრო მისი წარდგენა. ივნისში მომღერალმა ახალ ალბომთან ერთად ევროპაში იმოგზაურა და ივლისში საქართველოში გასტროლიც დაგეგმა.

კომპანია „ლაივ კონცერტსის“ დირექტორმა კირილ ხიმჩევმა რამდენიმე თვით ადრე განაცხადა, რომ ზემფირას საქართველოში დაბრუნების დიდი სურვილი ჰქონდა, რადგან იგი შეყვარებულია ქართველ მსმენელზე. ბათუმის პიაცაზე კონცერტის ჩატარების იდეაც სწორედ მომღერალს ეკუთვნის. კომპანიის ხელმძღვანელი მცხეთაში ჩატარებული ფესტივალის „ოაზისი“ ორგანიზატორიც არის, სადაც 60-მდე ახალგაზრდა დააკავეს.

ზემფირა კონცერტებს საქართველოში ხშირად მართავს. მისი ბოლო კონცერტი ჩვენთან შარშან ჩატარდა. ამ პერიოდში კირილ ხიმიჩევი მომღერლის ტურ-მენეჯერი იყო. მის შემოქმედებას საქართველოში საკმაოდ ბევრი გულშემატკივარი ჰყავს. მომღერალი არასოდეს მალავს, რომ ძალიან უყვარს საქართველო და ქართველი მსმენელი, ამიტომაც ყოველთვის დიდი სიამოვნებით ჩამოდის ჩვენს ქვეყანაში. მომღერალმა სურვილი გამოთქვა, რომ ახალი ალბომი ევროპის შემდეგ საქართველოშიც წარედგინა, თუმცა ტექნიკურმა მიზეზებმა მისი კონცერტები ჩაშალა.

ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნდა სპეციალური განცხადება, რომლის მიხედვითაც კონცერტი მისი ორგანიზატორის კირილ ხიმჩევის გამო გაუქმდა:

„ჩვენთვის, ყველასთვის, სამწუხაროდ მოხდა ასეთი ფაქტი, რომ კონცერტის ორგანიზატორი „ლაივ კონცერტს“-ის დამფუძნებელი და დირექტორი (კირილ ხიმჩევი) გაიქცა! ის ასევე იყო „ოაზის ფესტივალ მცხეთა“-ს ორგანიზატორი, რომელსაც დაუგროვდა ძალიან ბევრი ვალი, რის გამოც მიატოვა ზემფირას კონცერტის ორგანიზება და გაიქცა სავარაუდოდ თავის სამშობლოში, ლატვიაში! შეგიძლიათ ეძებოთ! ვინაიდან და რადგანაც ზემფირას პროდიუსერები დაუკავშირდნენ ქართულ მხარეს, რომლებმაც შარშან ჩაატარეს ზემფირას კონცერტი „ტრიუმფში“. ქართული მხარე დღემდე ცდილობდა ამ კონცერტების გადარჩენას და ახლაც ცდილობს, მიდიოდა მოლაპარაკებები კონცერტის თარიღის შეცვლაზე, რადგანაც 22 ივლისამდე ვერ ხერხდებოდა აპარატურის თბილისში ჩამოტანა! რადგანაც ქართველ ორგანიზატორებს კარგი დამოკიდებულება აქვთ მომღერლის კოლექტივთან, ისინი ცდილობდნენ ერთობლივად როგორმე ამ კონცერტების შენარჩუნებას!“

ამ ბრალდებებს უსაფუძვლო და ტყუილი უწოდა „ლაივ კონცერტსის“ ხელმძღვანელმა და ღია წერილებიც გამოაქვეყნა. ზემფირას კონცერტებზე დასასწრები პირველი 300 ბილეთი 6 ივნისიდან განსაკუთრებულ ფასად 45 ლარად გაიყიდა, შემდგომ კი ბილეთების ფასი გაიზარდა და 60 ლარი გახდა. 13 ივნისიდან კონცერტის ორგანიზატორებმა ვიაიპი ბილეთების რეალიზაცია დაიწყეს. მსმენელმა სოციალურ ქსელში უკვე გამოთქვა უკმაყოფილება კონცერტის ჩაშლასთან დაკავშირებით. ზემფირას ფანების ნაწილი კი ფილარმონიასთან შეიკრიბა, კონცერტების გაუქმება ხმაურით გააპროტესტა და საღაროში ბილეთში გადახდილი საფასურის დაბრუნება მოითხოვა. კირილ ხიმჩევი აცხადებს, რომ ბილეთში გადახდილი ფული ზემფირას ფანებს „ემეს კომპანიმ“ უნდა დაუბრუნოს. დაუბრუნებენ თუ არა მსმენელებს შეძენილი ბილეთის საფასურს ჩაშლილი კონცერტის ორგანიზატორები, ჯერჯერობით უცნობია.

კონცერტის ქართული მხარის ორგანიზატორის, კომპანია ემეს კომპანის წარმომადგენელი მაკო საბანაძე აცხადებდა, კონცერტის ორგანიზებით მთლიანად ლატვიური მხარე, კონკრეტულად კი კომპანია „ლაივ კონცერტსი“ იყო დაკავებული. მათივე განცხადებით, „ლაივ კონცერტსის“ დირექტორი კირილ ხიმჩევი კონტაქტზე არ გამოდის, ტელეფონი გამორთული აქვს და მას ვერავინ უკავშირდება.

აშშ-მ სირიის ინტერვენციის ვარიანტები წარადგინა

შტაბების ხელმძღვანელების გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარემ, გენერალმა მარტინ დემპსიმ აშშ-ს მიერ სირიის ომში ჩართვის სცენარზე ისაუბრა, შეაფასა და მისი პლუსები და მინუსები გამოყო. ინფორმაციას ამის შესახებ „ბი-ბი-სი“ ავრცელებს.

გენერალი სენატორებისადმი გაგზავნილ წერილში წერს, რომ ამგვარი სცენარით მოვლენების განვითარება ომისა და მრავალმილიარდიანი ხარჯების მანიშნებელი იქნება. დემპსის მონაცემებით, აშშ-ს აქვს სირიაში აქტიური მოქმედების შემდეგი ვარიანტები:

ამბოხებულების სწავლება, შეიარაღება და სხვა მხარდაჭერა. შეზღუდული ავიადარტყმები. არასაფრენი ზონის შემოღება. ქვეყანაში ბიფერული ზონების შექმნა. სირიის ქიმიურ იარაღზე კონტროლის დამყარება.

დემპსის თქმით, ზემოთ ჩამოთვლილთაგან პირველი ვარიანტი დაახლოებით წელიწადში 500 მილიონი აშშ დოლარის ხარჯებს მოითხოვს, სხვა ვარიანტები კი თითო ერთ მილიარდს წელიწადში.

აღსანიშნავია, რომ ვაშინგტონი ჯერჯერობით უარს აცხადებს სირიის სამხედრო კონფლიქტში ჩარევის სავარაუდო განხილვაზეც კი.

„ყველა ჩვენგანი სრული სერიოზულობით ეკიდება ძალის გამოყენების შესაძლებლობას და ეს კი სხვა არაფერია, თუ არა ომი“, – წერს დემპსი და აღნიშნავს, რომ აშშ-მ ავღანეთსა და ერაყში დაგროვილი გამოცდილება უნდა გაითვალისწინოს.

მისივე თქმით, სირიაში სამხედრო ძალების ჩართვის გადაწყვეტილება არ უნდა იქნეს მიღებული ნაჩქარევად და გაუაზრებლად.

– მას შემდეგ, რაც კონგრესის წინააღმდეგობა შემცირდა, პრეზიდენტ ობამას შეუძლია, სირიის ოპოზიციის შეიარაღების გეგმა წინ წასწიოს, – „სი-ენ-ენის“ ცნობით, აღნიშნულის შესახებ ორშაბათს ამერიკელმა ოფიციალურმა პირმა განაცხადა. აღნიშნულს კი წარმომადგენელთა პალატის დაზვერვის კომიტეტის უფროსის მაიკ როჯერსის განცხადება უძღოდა: „ჩვენ ვფიქრობთ, ახლა იმ მდგომარეობაში ვიმყოფებით, როდესაც წინსვლა შეგვიძლია“.

თეთრმა სახლმა ივნისში გამოაცხადა, რომ ის ამბოხებულებისათვის სამხედრო დახმარების გაწევას აპირებდა. ოპოზიციის შეიარაღებასთან დაკავშირებით შეშფოთება რესპუბლიკელმა და დემოკრატმა სენატორებმა გამოთქვეს – არსებობს საფრთხე, რომ შეიარაღება შეიარაღებული ისლამისტების ხელში აღმოჩნდეს, მაგალითად, ისეთის, როგორიც „ნუსრას ფრონტია“.

სენატის დაზვერვის კომიტეტის წევრები შეთანხმდნენ, რომ ადმინისტრაციას შეიარაღების გეგმის განხორციელება შეუძლია. ოპოზიციის მხარდამჭერები იმედოვნებენ, რომ ამერიკის მიერ ამბოხებულების შეიარაღება აგვისტოში დაიწყება. მეამბოხეების შეიარაღების შესახებ კომიტეტების სესიები დახურულია.

ალექსეი ნავალნის რეიტინგი გაიზარდა

ალექსეი ნავალნის ცნობადობა ბოლო პერიოდში გაიზარდა: თუ თვის დასაწყისში იგი გამოკითხულთა 71%-სთვის იყო ცნობილი, დღეისათვის ეს მონაცემი 80%-მდე გაიზარდა. აღნიშნულის შესახებ რუსეთის მასშტაბით სოციალურ-პოლიტიკური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელმა სტეპან ლვოვლმა განაცხადა.

გამოკითხულთა 94%-სთვის ცნობილია მოახლოებული მოსკოვის მერის არჩევნების შესახებ. რეიტინგში მოსკოვის მერის თანამდებობაზე სერგეი სობიანინი ლიდერობს 54%-ით. მას ალექსეი ნავალნი მოჰყვება 9%-ით. 4% უჭერს მხარს ივან მელნიკოვს, 2% – სერგეი მიტროხინს.

სოციოლოგების აზრით, ნავალნის პოლიტიკურ ფიგურად გადაქცევა მოხდა და მას მიხეილ პროხოროვის ამომრჩეველთა დიდი ნაწილი უჭერს მხარს, რომელმაც არჩევნებში მონაწილეობა ვერ შეძლო.

შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ ნავალნის დიდი თანხების მითვისების გამო 5 წელი მიუსაჯეს, თუმცა მეორე დღეს თავდებით გაათავისუფლეს.

განაჩენის ძალაში შესვლამდე საპატიმროდან გათავისუფლებულია ასევე „კიროვლესის“ საქმეში კიდევ ერთი ბრალდებული ოფიციროვი. როგორც ნავალნი აცხადებს, იგი მოსკოვის მერის წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობას გააგრძელებს, თუმცა, რა ფორმით, ჯერჯერობით უცნობია.

დაცვის მხარეს განაჩენის გასაჩივრება 28 ივლისამდე შეუძლია.

მოსკოვის მერი არჩევნები 2013 წლის 8 სექტემბერს გაიმართება.

ეგვიპტეში შეტაკებებს ექვსი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა

ეგვიპტეში ყოფილი პრეზიდენტის მუჰამედ მურსის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის მომხდარი დაპირისპირების შედეგად ექვსი ადამიანი დაიღუპა. „ბი-ბი-სის“ ცნობით, შეტაკებები კაიროს უნივერსიტეტთან მოხდა, სადაც მურსის მომხრეები მჯდომარე საპროტესტო აქციას აწყობდნენ.

შეტაკების შედეგად დაშავდა 33 ადამიანი.

მუჰამედ მურსის მოწინააღმდეგეები და მომხრეების საპროტესტო აქციებს მართავენ. ეგვიპტის დროებითმა პრეზიდენტმა ადლი მანსურმა გასულ კვირას განაცხადა, რომ მალე ქვეყანაში საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდებოდა, თუმცა მას კონკრეტული თარიღი არ დაუსახელებია.

ეგვიპტის უკვე ყოფილი პრეზიდენტი მუჰამედ მურსი ეგვიპტის არმიამ თანამდებობიდან ცოტა ხნის წინ გადააყენა. მუჰამედ მურსის წინააღმდეგ საპროტესტო აქციები ეგვიპტეში 30 ივნისს დაიწყო, რომელიც შემდეგ შეტაკებაში გადაიზარდა.

ამ ფონზე, მუჰამედ მურსის ქალიშვილმა განაცხადა, რომ სამხედროებმა მამამისი გაიტაცეს.

მურსის ოჯახის პრესკონფერენციის დროს მათმა ადვოკატმა განაცხადა, რომ სამხედროები ადამიანის უფლებებს უხეშად არღვევენ – მათ ექსპრეზიდენტი ბრალდების წარდგენის გარეშე ჰყავთ დაკავებული.

მოამზადა

ვერა მამულაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

ნუგზარ ცერცვაძე ოჯახით იუწყება ცოლისდის

მარინა ჩინჩალაძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

TV პროგრამა

ოთხშაბათი
24 ივლისი

07.30 "ჩვენი დილა" (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) **12.35** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" (პ/ე) **15.00** ან/სერ. "ტარატაბონგი" **15.05** ტ/სერ "**ჭორრიკანა**" **17.00** "აღმოაჩინე საქართველო" **17.30** "AQUA – GEORGIA" **18.00** დ/ფ "მეცნიერების ისტორია" **19.05** ტ/სერ "**მაგდა ემი**" **21.00** "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" **22.00** ტ/სერ "**ნიკიტა**" **23.00** "საფეხბურთო დღიური" **23.30** მხ/ფ "**რიპლის თამაში**" (ჯ.მალკოვიჩი) **01.30** "დღეს ორის ნახევარზე"

08.00, 10.00, 21.00 "ბრიფინგის დრო" **09.00, 19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **10.30** "არგუმენტების დრო" (სამშ. გ/ჩვ) **12.00** საქართველოს პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია (პ/ტ) **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. "**დაუვიწყარი**" **11.20** სერ. "**ბაფიის ქვრივი**" **12.30** იმედის დღე (პ/ე) **14.40** ღამის შოუ (გ/ჩ) **16.00** სერ. "**დამალული სიმართლე**" **17.50** სერ. "**მაგნატები**" **18.50** სერ. "**აკრძალული სიყვარული**" **21.00** სერ. "**დაბრუნება**" **22.00** იურმალა **2013 00.45** მხ/ფ. "**მოწინააღმდეგე მხარეები**" (ო.ტაბაკოვი)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**სიყვარული მშვენიერია**" **11.00** სერ. **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** იღბლიანი ბორბალი. **17.00** სერ. "**ნამდვილი გრძნობა**" **18.45** სერ. "**ცრემლების გვირვინი**" **20.05** სერ "**ერთგულების ძალა**" **22.00** ნანუკას შოუ. **23.00** სერ. "**სიცრუის თეორია**" **00.30** მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** საგალობელი **06.20** მხ/ფ "**დიდი ვალსი**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 21.55, 22.55, 00.30** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35, 21.25** ლექსით ქებათა ქება **10.40** ჩვენი ფონდი **11.00** მოკ/ფ "**ბაკურხეველი ხევსური**" **11.25** მგზავრები წუთისოფლისა **12.05** ამინდი **12.10** დროის ჩანაწერები **12.40** ღია აუდიტორია **13.20** ქრისტიანული სწავლება **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.45** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** ისტორიის გაკვეთილი **16.00** კონცერტი - ანს. "მთიები" **16.50** კვირიაკე **18.05** ტელეზღაპარი **18.30** დეკორატიული ფლორა **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**მარტოობის ორდენის კავალერი**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** ეპოქის სახელები **21.55** ფოტოგალერეა **22.25** ქართული ალბომი **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "უბისა" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე(გამ.) **02.15** ნიამორი

მაესტრო **7.00, 23.30, 1.00, 3.00, 6.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმები **8.20, 9.15** მაგთიფანი (გამ.) **9.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **10.00** მაღვიძარა (კოლაჟი) **11.00, 15.30, 6.30** ფარული კამერა **12.30** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი" (გამ.) **14.40** "ყოველდღიური აბები "(გამ.) **16.00 სერიალი "შტორმი" 18.05, 0.00, 3.30** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **19.00 სერიალი "1001 ღამე" 22.00, 1.30, 4.30** თოქ-შოუ "კვირის არგუმენტები"

tv 9 **8.00, 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 21.00, 0.00** ახალი **8.05, 9.05, 10.05** ახალი დილა **11.05, 20.00 სერიალი "ბაბილი შხამი" 12.30, 17.30** როგორ შევხვდი დედაშენს **13.10, 14.30, 5.00** ცხელი შუადღე **15.30** რაც დარჩა სათქმელი გამ **16.10** გრიფის გარეშე გამ **17.10, 23.30, 7.00** დოკ/ფ **18.00, 1.50** ღია თამაში **22.00, 3.50** მთავარი კითხვა **0.20** მხ/ფ

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფო ზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

24 ივლისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი	1,6532
ევრო	2,1792
ინგლისური გირვანქა სტერლინგი	2,5337
100 რუსული რუბლი	5,1145

ამინდის პროგნოზი 24 ივლისისთვის

ბრიტანეთის სამეფო ოჯახში უფლისწული დაიბადა

ბრიტანეთის სამეფო ოჯახში უფლისწული დაიბადა. ახალშობილი 3,8 კგ-ს იწონის.

ახალშობილი სამეფო ტახტის რიგით მესამე მემკვიდრე ხდება.

– კემბრიჯის ჰერცოგინია ქეითი და ახალშობილი თავს კარგად გრძნობენ, – იტყობინება ბრიტანეთის სამეფო კარი.

სამეფო კარის კომუნიკეში ნათქვამია, რომ მშობიარობას კემბრიჯის ჰერცოგი, დედოფლის უფროსი შვილიშვილი უილიამი ესწრებოდა.

ბიულეტენი ქეითისა და ახალშობილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ტრადიციისამებრ, ბუკინგემის სასახლესთან არის გამოფენილი.

ბუკინგემის სასახლის წარმომადგენლის განცხადებით, დედოფალი და ედინბურგის ჰერცოგი მოხარულნი არიან შვილთაშვილის დაბადების გამო.

პრინცმა ჩარლზმა სპეციალური განცხადება გააკეთა და აღნიშნა: „მოხარული ვარ, რომ გავხდი ბაბუა“.

სამეფო კარის სიხარული ასევე გაიზიარა ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა დევიდ კამერონმა: „მიხარია, რომ ჰერცოგსა და ჰერცოგინიას ვაჟიშვილი შეეძინათ. ამ მოვლენას იზეიმებს მთელი ქვეყანა. ისინი შესანიშნავი მშობლები იქნებიან“.

ახალგაზრდა მშობლებს შვილის დაბადება ოპოზიციის ლიდერმა ედ მილიბენდმაც მიულოცა და უილიამსა და ქეითს შვილის ბედნიერება და ჯანმრთელობა უსურვა.

„მე მოხარული ვარ, რომ შემიძლია მივულოცო კემბრიჯის ჰერცოგსა და ჰერცოგინიას. მათ და მათ შვილს ვუსურვებ ბედნიერებასა და ჯანმრთელობას“.

ვიდეოზე გამოსახულია, თუ როგორ გამოხატავენ თავიანთ ემოციებს პრესის მუშაკები და რიგითი ლონდონელები ბავშვის დაბადების შეტყობინებისას.

გ. მ.

ასტროპროგნოზი 24 ივლისისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!
წარმატებული დღეა

ვერძი — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **კურო** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ტყუპები** — დღეს ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **კირჩხიბი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ლომი** — გზიდან ფულს მიიღებთ, შეიძლება ვიღაც ჩამოვიდეს. **ქალწული** — ნუ აყვებით სხვებს, საკუთარ თავს მიხედეთ. **სასწორი** — კარგად დაფიქრდით და გადაწყვეტილება ისე მიიღეთ. **ღრიანკალი** — ახალი პროექტი გაამართლებს, იაქტიურეთ. **მშვილდოსანი** — რისკი არ არის გამართლებული, ეს დღე მშვიდად გაატარეთ. **თხის რქა** — ნურავის ენდობით, მხოლოდ საკუთარ თავს დაეყრდენით. **მერწყული** — შეხვედრა შედგება, მაგრამ საქმე დასრულებული არ არის. **თევზები** — შენაძენით კმაყოფილი დარჩებით, ახალ ამბავსაც გაიგებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

კროსვორდი

შვეულად: 1. შებოლილი ძეხვი; 2 ფშავ-ხევსურეთის ძველი სახელწოდება; 3. შვეიცარიელი ჩოგბურთელი მამაკაცი; 4. ფოტოაპარატების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 5. ლიტერატურის თეორია; 6. გადასხდელ სახურავიანი მსუბუქი ეტლი; 11. ჟოკეის წკეპლა; 13. თვითმფრინავის, გემის დაქირავება გარკვეული პირობითა და ვადით; 14. ვაზის მავნებელ მწერი; 15. ჩინეთის ისტორიის კულტურის, ეკონომიკის შემსწავლელი მეცნიერებათა ერთობლიობა; 17. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური სამხრეთ კორეაში; 18. აღმოსავლური ხელჩართული ორთაბრძოლის ერთ-ერთი სახეობა. 19. ღამის ფრინველი.

თარაზულად: 7. პლანეტა მარსის ქართული სახელწოდება; 8. გვარის ისტორია, საგვარეულო ნუსხა; 9. სანადირო თოფებისა და ავტომატური შაშხანების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 14. ფრანგი მწერალი, რომან „ანგელოზების ამბოხება“-ს ავტორი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 16. მონათა აჯანყების მეთაური ძველ რომში; 18. მსოფლიოში ყველაზე დიდი თვითნაბადი ალმასი; 20. ძველებური სანათი მოწყობილობა; 21. შლამიანი დანალექი მდინარის, ტბის ფსკერზე; 22. ნეფე-დედოფლის თანმხლები პირები ქორწილში; 23. აღმოსავლური ტკბილეული; 24. მაღალი ტემპერატურის საზომი ხელსაწყო.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



მარინე მიზანდარი: „თურქეთში ვიზიტი წარმატებულია“

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე მარინე მიზანდარი თურქეთში ქართველი სპეციალისტების მესამე ოფიციალურ სამუშაო ვიზიტს წარმატებულს უწოდებს.

18-19 ივლისს ქართველი სპეციალისტები თურქეთში, იშხნის რესტავრაციის პროცესის შესაფასებლად გაემგზავრნენ. 7 კაციანი დელეგაცია თბილისში უკვე დაბრუნდა და კონკრეტული დასკვნებიც წარმოადგინა. ამ თემაზე მარინე მიზანდარმა ჟურნალისტებთან შეხვედრა გამართა და ვიზიტთან დაკავშირებით დეტალურად ისაუბრა.

– ქართველ სპეციალისტთა ტაოკლარჯეთში ვიზიტს დადებითად ვაფასებ. ქართველ ექსპერტთა პირველი და მეორე სამუშაო შეხვედრის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები თურქეთის მხარის მიერ დიდწილად გათვალისწინებულია. ბოლო ვიზიტისას ქართველი ექსპერტები გაეცნენ ძეგლზე არსებულ ვითარებას. მათ თურქ კოლეგებს მეთოდური და ტექნიკური ტიპის მითითებები და რეკომენდაციები დაუტოვეს, რომლებიც მოგვიანებით ოფიციალური სახით თურქეთის მხარეს გადაეგზავნება. ამ ვიზიტს წინ უძღოდა ხანგრძლივი მოსამზადებელი სამუშაოები. შედგა ორი ქვეყნის - თურქეთის და საქართველოს კულტურის მინისტრების სატელეფონო საუბარი, ასევე კულტურის მინისტრების მოადგილეების შეხვედრა. შედგა სპეციალისტების შეხვედრები ძეგლზე რეკომენდაციების შემუშავების მიზნით. ამ ეტაპზე, შეიძლება ითქვას, რომ ქართველ ექსპერტთა პირველი და მეორე სამუშაო შეხვედრის შედეგად შემუშავებულია რეკომენდაციები თურქეთის მხარის მიერ დიდწილად უკვე გათვალისწინებულია. ასევე დამუშავებულია იშხანის საინჟინრო-კონსტრუქციული გაძლიერების პროექტი, რომელიც აქამდე არ არსებობდა. თურქი სპეციალისტების მიერ გად-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ვინ ჩაშალა ზემფირას კონცერტები?

ეკა ირემაშვილი

ვინ ჩაშალა ზემფირას კონცერტები საქართველოში? ამ კითხვაზე პასუხს დღემდე აქტიურად მოითხოვენ მომღერლის ქართველი ფანები. ქართული კომპანია „ემეს კომპანი“ კონცერტის ჩაშლაში „ლაივ კონცერტსის“ ხელმძღვანელს კირილ ხიმჩევს ადანაშაულებს. კონცერტების ჩაშლის გახმაურებასთან ერთად „ფეისბუქში“ გავრცელდა ინფორმაცია, რომ კირილ ხიმჩევი გაიქცა და სწორედ მან ჩაშალა ზემფირას კონცერტები თბილისსა და ბათუმში. თავის მხრივ კი, კირილ ხიმჩევი მორიგ განცხადებას ავრცელებს. ამჯერად ის ღია წერილით მიმართავს „ემეს კომპანის“ ხელმძღვანელს მაკა საბანაძეს. „ახალი თაობა“ ამ ღია წერილს უცვლელად გთავაზობთ:

„მაკა, საქართველოში ჩემი სამთვიანი ყოფნის დროს, ბევრი პროფესიული კითხვა გამიჩნდა თქვენს მიმართ. თუმცა, თქვენ პირდაპირ პასუხს თავს არიდებდით და ხან ქმარს მიგზავნიდით მოსალაპარაკებლად, ხან უბრალოდ იტყუებოდით თქვენი მოვალეობების შესრულების თაობაზე. ამიტომ, ჩემს მიმართ გამოთქმული ბრალდებების საპასუხოდ გთხოვთ მიპასუხოთ შემდეგ კითხვაზე:

ფესტივალი „ოაზისის“ და ასევე ზემფირას კონცერტების ორგანიზატორი არის „თიკეთპრო ჯორჯია“, რომლის დირექტორი და მფლობელი არის თქვენი მეუღლე ვალერი კაკულია. რატომ შეგყავთ შეცდომაში საქართველოს საზოგადოება იმის ძახილით, რომ ფესტივალის ვალების და ზემფირას კონცერტის ჩაშლაზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება ლატვიურ კომპანია „ლაივ კონცერტსს“?

თქვენ ამაყად გამოაცხადეთ თქვენი კომპანია ემეს კომპანი (მაკა საბანაძე კომპანი) ფესტივალის თანაორგანიზატორად და თქვენი თავი გამოცდილ (15 წლიანი სტაჟით) და კარგი კავშირების მქონე სპეციალისტად ქართულ ბაზარზე. თქვენ თანაორგანიზატორის რანგში აიღეთ ვალდებულება, მოგეძიათ 100 ათას ლარიანი დაფინანსება ორივე ღო-

ნისძიებისთვის (ამას მოწმობს ჩვენი საქმიანი მიმოწერა). თქვენ ვერ მოიძიეთ ვერაფერი, რამაც გამოიწვია ფესტივალის კომერციული ჩავარდნა, რადგან ველარ მოხერხდა უკრაინიდან იმ აღჭურვილობის დროზე ჩამოტანა, რომელიც ზემფირას კონცერტისთვის იყო საჭირო.

შეგახსენებთ, რომ თქვენმა დანაშაულებრივმა უმოქმედობამ გამოიწვია ფესტი-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

ბელგიას ახალი მეფე ჰყავს

ბელგიის ახალმა მეფე ფილიპმა მოსახლეობას მიმართა. მონარქის რანგში ეს მისი პირველი მიმართვაა. ის მოსახლეობის წინაშე დედოფალ მატილდასთან ერთად წარდგა.

მონარქის სიტყვას წინ უსწრებდა სადღესასწაულო ფეიერვერკი ბრიუსელში.

„ჩვენ ვიამაყებთ ჩვენი ქვეყნით. გაუმარჯოს ბელგიას!“ – განაცხადა მონარქმა.

ბელგიის სამეფო დამოუკიდებელი გახდა 1830 წელს. მსოფლიო ომების დროს გერმანიის აგრესიის ობიექტი იყო. 1945 წლიდან ევროპული თანამშრომლობის (ბენილუქსი, ევროპის საბჭო, ნატო, ევროპის კავშირი) ცენტრია.

1980 წელს შეიქმნა მმართველობის რეგიონული სტრუქტურები ფლანდრიის, ვალონიისა და ბრიუსელისათვის. 1992 წელს გამოცხადდა, რომ შემოღებული იქნებოდა ფედერაციული სისტემა. 1994 წელს მიღებულ იქნა ახალი კონსტიტუცია.

გ. მ.

მორიგი სკანდალი საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონში“

იმერულ კლუბში მორიგი სკანდალია. თორნიკე გორგიაშვილი გუნდის სეზონისწინა სამზადისზე არ გამოცხადდა და არც თურქულ შეკრებაზე გაჰყოლია ფეროელებს.

როგორც გაირკვა, გორგიაშვილმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას მიმართა და „ზესტაფონთან“ მოქმედი კონტრაქტის გაუქმება მოითხოვა. მის მიზეზი ფეხბურთელებისთვის სამი თვის სახელფასო დავალიანებაა. ფიფას წესებით კი, თუ კლუბმა ერთი თვის ხელფასი მაინც არ მისცა ფეხბურთელს, მოთამაშეს აქვს უფლება, კონტრაქტის გაწყვეტა მოითხოვოს.

თუმცა, არის კიდევ ერთი დეტალი: „ზესტაფონმა“ გორგიაშვილს ხელფასი დაგვიანებით გადაუხადა. ამ შემთხვევაზე კი, ფიფას წესდებაში არაფერი წერია.

ამ საქმესთან დაკავშირებით, 26 ივლისს ფეხბურთის ფედერაციის ფეხბურთელთა სტატუსის კომიტეტის სხდომა გაიმართება და კომიტეტის წევრების გარდა, მოდავე მხარეებსაც მიიწვევენ.

მ. ჟ.

ლურჯი წითელი ყვითელი შავი